

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

Shota Rustaveli Theatre and Film
Georgian State University

**სახელოვნებო მეცნიერებათა
ქიბანი**

№ 2 (95), 2024

ART SCIENCE STUDIES



გამომცემლობა „კენტავრი“
თბილისი
2024

ISSN 2720-8109 (web)
ISSN 1512-4215 (print)

UDC(უაკ) 7(051.2)
ს-364

სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი # 2 (95), 2024

სარედაქციო საბჭო:

ლელა ოჩიაური

კინომცოდნე, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი

ნათო გენგიური

ხელოვნებათმცოდნე, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

გიორგი ცხიტიშვილი

თეატროლოგი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ამავე უნივერსიტეტის დიმიტრი ჯანელიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი

რევაზ ჟიჟინაძე

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ასოცირებული პროფესორი

ნიკო კვარაცხელია

საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი

ლიტერატურული რედაქტორი
თაშთა ქაჭანია

ტექნიკური რედაქტორი
ია ლოდია

დამკაბადონებელი
ეკატერინე ოქროპირიძე

კორექტორი
მანანა სანადირაძე

გამომცემლობის ხელმძღვანელი
მეკა ჰასაძე

Art Science Studies #2 (95), 2024

Editorial Board:

LELA OCHIAURI

Film critic, Doctor of Arts, Professor of Shota Rustaveli Theater and Cinema State University of Georgia

NATO GENGIURI

Doctor of Arts, Professor at Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University

GEORGE TSKITISHVILI

Doctor of Arts, Professor of Shota Rustaveli Theater and Film Georgia State University, Director of Dimitri Janelidze Scientific Research Institute of the same university

REVAZ CHICHINAZE

Associate Professor of Media and Mass Communication Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University

NIKO KVARATSKHELIA

Professor of school of business, computing and social sciences in St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia

Literary Editor
TAMTA KAJAIA

Technical Editor
IA LODIA

Book Binding
EKATERINE OKROPIRIDZE

Proofreader
MANANA SANADIRADZE

Head of Publishing House
MAKA VASADZE

კრებულისათვის მოწოდებული მასალა უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი სამეცნიერო აპარატით. თან უნდა ახლდეს მონაცემები ავტორის სამეცნიერო კვალიფიკაციის შესახებ ქართულ და ინგლისურ ენებზე, აგრეთვე ნაშრომის ინგლისურენოვანი რეზიუმე.

კრებულის სტამბური გამოცემა ეგზავნება სხვადასხვა საერთაშორისო კვლევით ცენტრს.

ნაშრომები მოგვაწოდეთ და ცნობებისათვის მოგვმართეთ: 0102, თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #40, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, II კორპუსი.

ტელ/ფაქსი: +995 (32) 2999411 (240)
მობ: +995 (77) 288 762
+995 (93) 628 884

E-mail: kentavri@tafu.edu.ge
Web: www.tafu.edu.ge

Materials supplied for the volume should be provided with corresponding scientific appliance. Paperwork concerning author's academic qualification and summary of work should be attached in Georgian and English languages.

Printed version of the volume is sent out to various international research centers.

Works should be supplied under the following contact:
0102, Tbilisi, Davit Agmashenebeli Avenue #40, Shota Rustaveli Theatre and Film Georgian State University, Second Block

Tel/Fax: +995 (32) 2999411 (240)
Mob: +995 (77) 288 762
+995 (93) 628 884

E-mail: kentavri@tafu.edu.ge
Web: www.tafu.edu.ge

© საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, გამომცემლობა „კენტავრი“, 2024
© Shota Rustaveli Theatre and Film Georgian State University Publishing House „Kentavri“, 2024

სარჩევი

თეატროლოგია

თამთა თავდიშვილი თავისუფალი მოძრაობა	15
ქეთევან ხოხიაშვილი ესპილეს „ორესთას“ ინტერპრეტაცია იუჯინ ო'ნილის პიესათა ციკლში „გლოვა შვენის ელემტრას“	20

კინომცოდნეობა

ეკატერინე კონტრიძე კინოსცენარისტის სამუელ კუპრაშვილი და მისი დაკარგული ისტორია	31
ქეთევან პატარაია კარელ ჩაპეკის „რეკორდი“ სამეგრელოში	39

ხელოვნებათმცოდნეობა

რუსუდან დოლიძე დიმიტრი შავარდნაძის შემოქმედება მოდერნისტული მხატვრობის კონტექსტში	49
---	----

მედიის კვლევები

თეა ჭანტურია ციფრული მედიოლოგია როგორც კულტურის ფორმა	63
--	----

ხელოვნების ფილოსოფია

სოფიო მოდებაძე ხელოვნების არსისა და დანიშნულების საკითხი ფილოსოფიაში	75
--	----

კულტურული ძეგლები და ხელოვნების მემკვიდრეობა

ნაირა გალახვარიძე
კურატორობის კრედიტობა და ახალი ეკონომიკა87

ნიკო კვარაცხელია
ქართული მონუმენტური ქანდაკების ჩვენების საკითხები
საქალაქო ძეგლებში96

ნათია კობალეიშვილი
კინოსაფესტივალო დინამიკა საქართველოში104

გიორგი ფხაკაძე
კულტურის სფეროს სტრატეგიული დაგეგმარების
მნიშვნელობა ქალაქის, რეგიონის განვითარებაში113

დოდო ჭუმბურიძე
კულტურის სფეროში შემოქმედებითი და
სამეწარმეო იდეების მართვა124

CONTENTS

THEATRE STUDIES

Tamta Tavdishvili FREE MOVEMENT	130
Ketevan Khokhiashvili THE INTERPRETATION OF AESCHYLUS'S ORESTEIA TRILOGY IN EUGENE O'NEILL'S PLAY CYCLE MOURNING BECOMES ELECTRA	131

FILM STUDIES

Ekaterine Kontridze SCREENWRITER SAMUEL KUPRASHVILI AND ITS LOST HISTORY	133
Ketevan Pataraiia CHAPEK'S „RECORD“ IN SAMEGRELO	135

ART STUDIES

Rusudan Dolidze DIMITRI SHEVARDNADZE'S OEUVRE IN THE CONTEXT OF MODERNIST PAINTING	137
--	-----

MEDIA STUDIES

Tea Chanturia DIGITAL TECHNOLOGY AS A FORM OF CULTURE	145
--	-----

PHILOSOPHY OF ART

Sophio Modebadze A QUESTION OF THE ESSENCE AND PURPOSE OF ART IN PHILOSOPHY	147
---	-----

ART MANAGEMENT AND CULTURAL TOURISM

Naira Galakhvaridze	
CURATORIAL PRACTICE AND THE NEW ECONOMY	149
Niko Kvaratskhelia	
ISSUES OF DISPLAYING GEORGIAN MONUMENTAL SCULPTURE IN CITY TOURISM	151
Natia Kopaleishvili	
FILM FESTIVAL DYNAMICS IN GEORGIA	153
Giorgi Pkhakadze	
THE IMPORTANCE OF STRATEGIC PLANNING OF THE SPHERE OF CULTURE IN THE DEVELOPMENT OF THE CITY AND REGION	155
Dodo Tchumburidze	
MANAGEMENT OF CREATIVE AND ENTREPRENEURIAL IDEAS IN THE FIELD OF CULTURE	157

ხელოვნების მკვლევართა XVI
საერთაშორისო კონფერენციის
თავისუფელი სეშციების მასალები

MATERIALS FROM THE OPEN
SESSIONS OF THE 16TH INTERNATIONAL
CONFERENCE OF ART RESEARCHERS

თეატროლოგია

თამთა თავდიშვილი,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
ხელმძღვანელი – ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი დავით
კობახიძე

რეზიუმე

21-ე საუკუნის სათეატრო ენა ინტერნაციონალურობას მოითხოვს. სხეული არის საუკეთესო ინსტრუმენტი მსოფლიო ხალხთა კომუნიკაციის არავერბალური გზით დასამყარებლად.

ჩვეულებრივ, დრამატულ სპექტაკლებში სიტყვას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

თუმცა, თუ ამ დროს სხეულს დავუკვირდებით, თითოეულ კუნთს პირდაპირი კავშირი აქვს ემოციასთან და ზუსტად გადმოსცემს მსახიობის შინაგან მდგომარეობას. სხეული, როგორც უტყუარი ინდიკატორი, გვარწმუნებს შემსრულებლის გულწრფელობაში. თავისუფალი სხეული კი არის ბაზა იმ კუნთოვანი სისტემისთვის, რომელსაც არტისტი სხვადასხვა მოცემულობაში მისთვის სასარგებლოდ და მრავალფეროვნად გამოიყენებს. იმპროვიზებული მოძრაობა იძლევა საშუალებას, რომ ფსიქო-ფიზიკური მოქმედებების ჯაჭვი შევისწავლოთ, დავაკვირდეთ არსებულ მოცემულობას და შესაძლებლობების დიაპაზონი გავაფართოოთ.

როდესაც სხეული ფიქრისგან დამოუკიდებლად მოძრაობს, კუნთები გაცილებით მარტივად ტრანსფორმირდებიან, რაც მას ახალი მდგომარეობის აღმოჩენის საშუალებას აძლევს. მოხსენებაში განვიხილავთ ფსიქოსომატური მოძრაობების მნიშვნელობას და აუცილებლობას მომავალი მსახიობის აღზრდის თანამედროვე მეთოდულ კონსტრუქციულ იქნება კუნთოვანი მეხსიერებისგან გათავისუფლებული სხეული, რომელსაც მარტივად შეუძლია განვითარება და ახალ გარემოებებთან ადაპტირება.

თავისუფალი მოძრაობა

საკვანძო სიტყვები: თავისუფალი სხეული, თავისუფალი მოძრაობა, იმპროვიზაცია, იმპროვიზებული მოძრაობა

თავისუფალი სხეული არის თავისუფალი ამოცანების დასაბამი. ეს არის შეუქცევადი პროცესი, როცა გონებისა და სხეულის თავისუფლებამ შემსრულებელი შეიძლება დააბრუნოს პირველ საწყისთან, ანუ ნამდვილ „მე“-სთან. მსახიობის აღზრდის თანამედროვე სწავლებებში ხშირად ვხვდებით სისტემებს, რომლებიც კონსტრუქციულად ჩაბეტონებულ სასწავლო მეთოდებს სთავაზობენ სტუდენტს. ჩემთვის სასწავლო პროცესი წარმოადგენს ზრდის, განვითარებისა და დაკვირვების გზამკვლევს, რომელიც საკუთარი თავის შემეცნებით იწყება. თეატრი და, ზოგადად, მსახიობის პროფესია, როგორც ყველასთვის ცნობილია, წარმოადგენს დღევანდელი პირდაპირ აღქმას, რაც სწავლების დროს აუცილებლად მოიაზრებს მოქნილ და აწმყოსთან თავსებად სამუშაო მოდელს. ამისთვის კი სწავლების პირველ საფეხურებზე მკაცრად დაბეჭილებული სავარჯიშოების ნაკრები საკმარისი არაა, მეტიც – ეს ყველაფერი, შესაძლოა, ბევრი უნარის დათრგუნვისა და დაშტამპვის მიზეზი გახდეს.

ამ სოციალურ გარემოში მცხოვრები სტუდენტი (როგორც თითოეული ჩვენგანი), სამწუხაროდ, ძალიან ბევრი პიროვნული ბარიერის მატარებელია. თავდაცვის მექანიზმით მათივე შექმნილი კომფორტის ზონა, ხშირ შემთხვევაში, ამ პროფესიისთვის შეუსაბამო და შემბოჭავი ფაქტორია. მესმის, რთული და წარმოუდგენელი სამუშაო ჯგუფში ინდივიდუალური პრობლემების კვლევა და დამუშავება, მაგრამ ასევე ერთობ საშიშია მათი კომფორტის ზონის შენარჩუნება, რომელიც ყოველივე ახლის საფუძვლიან მიღება/გადააზრებას ხელს უშლის. ჩემი მიზანია, ხელოვნურად (რაც შემთხვევაში ბუნებრივად) აშენებული ბარიერების ნგრევა და, საკუთარი თავის შეცნობის მიზნით, სტუდენტის კომფორტის ზონის გარღვევა, ერთგვარი „დისკომფორტის“ შექმნა, რათა შემდეგ მათი თვითდაკვირვების გაფართოებით შეიქმნას პროფესიული განვითარების დიდი არეალი, რომელიც ფართო მასშტაბის შეუზღუდავი შესაძლებლობების მომცველი იქნება.

ეს წარმოადგენს საკუთარი თავისთვის აშენებული ფარის ჩა-

მოშლას, სადაც სხეულზე დაკვირვება პიროვნული სიშიშვლის ზღვარზე გადის, სადაც ტრანსცენდენტურ მდგომარეობაში მყოფი „აქ და ახლას“ პრინციპით უკუაგდებას ყოველგვარ შექმნილ წარმოდგენებს საკუთარ თავზე; უარყოფს სხვებისგან და გარემოსგან შექმნილ თავის პიროვნულ სურათს და იწყებს თავისი რეალური პორტრეტის ფსიქოტიპის შეცნობას უკიდევანო თავისუფლებაში, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ უბრალო, დაუდგენელი მოძრაობების შედეგად წარმოიქმნება. ამ აღწერამ, დიდი შანსია, გაგახსენოთ პოლონელი რეჟისორის, ეჟი გროტოვსკის მიდგომა თავისი ლაბორატორიის მსახიობებთან მუშაობის პროცესში.

„ეს მეთოდი, რომელზეც ვმუშაობთ, არ წარმოადგენს ნასესხები მეთოდების უბრალო ჯამს (თუმცა, ხანდახან შეიძლება, მათი ელემენტები ჩვენს საჭიროებებს მოვარგოთ), არ მსურს მსახიობს წინასწარ გაწერილი მოქმედებები დავასწავლო. უნარების შეგროვების დედუქციურ მეთოდს არ ვიყენებ. აქ ყველაფერი ორიენტირებულია სტუდენტში მომავალი მსახიობის უნარების მომწიფებაზე, რაც გამოიხატება ხოლმე უკიდურესისაკენ მიდრეკილებით, სრული გაშიშვლებით, ყოველივე ინტიმურის შემოძარცვით - ამ პროცესს მსახიობი სრულად უძღვნის თავს და არ ეტყობა ეკონომისა თუ კმაყოფილების, სიამოვნების ნიშანწყალიც კი. ეს არის „ტრანსის“. ტექნიკა. მსახიობის სულიერი და სხეულებრივი ძალების გაერთიანება, რომელიც აღმოცენდება მისი არსებისა და ინსტიქტის ყველაზე მიუწვდომელი, დაფარული შრეებიდან და სინათლედ გადმოღინდება, როგორც უეცარი გასხივოსნება“¹

როდესაც სუბიექტი გამოხატავს მსახიობის პროფესიის დაუფლების სურვილს, აუცილებელია, რომ პროფესიის შესწავლის პირველივე ეტაპზე ტრანსფორმირდეს და შეემზადოს იმ ცვლილებებისთვის, რომლებიც მას საკუთარ თავში ახალი შესაძლებლობების აღმოჩენისა და განვითარების საშუალებას მისცემს. ამის მზაობას კი ის ყოველი ლექციიდან უნდა მიეჩვიოს. ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა გავყვეთ თვითგამორკვევის პროცესს და მივიღეთ ჭეშმარიტ მდგომარეობამდე. უპირველესად, ვიპოვოთ საკუთარი თავი და შემდეგ ჩვენში არსებული რეალური სურვილები, ასევე მზაობა, თუ რისი ვაკეთება გვსურს ამ პროფესიაში და ამ პროფესიისთვის.

სწორედ ამ მდგომარეობამდე მისასვლელი გზა, პირველ ეტაპზე, არის თავისუფალი მოძრაობა, რადგან ის სტუდენტებს საშუა-

¹ გროტოვსკი, ლარობი, 2022, გვ. 18.

ლებას აძლევს, სხეულის მეშვეობით გონებრივ ტყვეობას დააღწიონ თავი და იმოგზაურონ მათთვის საჭირო და საინტერესო წარმოსახვით სამყაროში.

ეს არის პროცესი, რომელიც ყველას აძლევს საშუალებას, დაუკავშირდეს თავის შინაგან, ყოველგვარი სტრესისგან თავისუფალ ალტერ ეგოს და დაამყაროს მასთან ენერგეტიკული კავშირი, იგრძნოს მისი ვიბრაცია სომატურ თუ ფიზიკურ დონეზე.

შესაძლოა, პარალელი გაივლოს თავისუფალ მოძრაობასა და იმპროვიზებულ ქმედებას შორის, რომლებიც არსით გადაჯაჭვული პროცესებია. იმპროვიზაცია არის მოძრაობის სპონტანურად შექმნის პროცესი. მოძრაობის განვითარება ხელს უწყობს მრავალფეროვან შემოქმედებით ძიებას, მათ შორის, სხეულის ასახვას ფორმისა და დინამიკის სქემის საშუალებით. იმპროვიზებული მოძრაობა კი არის კუნთების მეხსიერებისა და ინტელექტუალური უნარების გაერთიანება, რომელიც მსახიობის სხეულებრივ შესაძლებლობებს გაცილებით მოქნილს, მრავალფეროვანსა და დახვეწილს ხდის, უმუშავებს ნებისყოფისა და სცენაზე არსებული სირთულეების მარტივად დაძლევის უნარს.

ეს არის თავისუფალი, ნაკლებად სტრუქტურირებული, ტექნიკური დოკუმენტისგან დაცლილი და იმპულსური ფორმა, რომელიც შთაგონებას იღებს ყოველდღიური საცეკვაო პრაქტიკისა და გამოცდილებისგან. ეს არის მოძრაობის შესრულების ინდივიდუალური ტექნიკა, რომელსაც, კოდიფიცირებულ საცეკვაო სისტემებთან ერთად, შეუძლია დრამატული და დამაფიქრებელი შინაარსის გაღვივება.

იმპროვიზაცია არა მხოლოდ ახალი მოძრაობის შექმნას გულისხმობს, არამედ ასევე განისაზღვრება, როგორც სხეულის ჩვეული მოძრაობის ნიმუშებისგან გათავისუფლება. მუშაობის ეს ფორმა მიზნად ისახავს პიროვნების ფარული ამრების თუ ფიქრების უფრო ღრმა გააზრებას ინსტინქტური, არაპროგნოზირებადი, თავისუფალი მოძრაობის აქცენტის საშუალებით, რომელიც იმპროვიზაციას უდევს საფუძვლად და შეუძლია ავთენტური გრძობებისა და შთაგონების შესწავლა.

ამგვარად, ჩვენი დაკვირვების მთავარი მოვლენა არის თავისუფალი მოძრაობის მნიშვნელობა და აუცილებლობა სტუდენტის მსახიობად აღზრდის პირველ ეტაპზე. უპირველესად განსასაზღვრია ამ პროცესის არსებობის საჭიროება და შემდეგ გასაშლელია

უშუალოდ მოქმედების რუკა. განსხვავებულ მეთოდებზე დაყრდნობით, თავისუფალი მოძრაობის გააზრების სხვადასხვა ვარიანტი არსებობს. ჩვენ შემთხვევაში საქმე გვაქვს მრავალმხრივ მიდგომასთან, რომელიც, სიტუაციიდან გამომდინარე, რამდენიმე მეთოდის ნაზავს წარმოადგენს. იქნება ეს ოშოს ადაპტირებული კუნდალინის მედიტაციით თუ უბრალოდ ქორეოგრაფიული ჯაზის იმპროვიზებით სხეულებრივი ჩარჩოების რღვევა, ნებისმიერ შემთხვევაში, ამ ქმედებას მივყავართ სტრესისგან თავისუფალი სხეულისა და გონების ფორმირებამდე, ეს კი ვფიქრობ, აუცილებელი საწყისი ათვლის წერტილია იმ პროფესიულ გზაზე დასადგომად, რაც პიროვნული ძიების პროცესიდან ნამდვილი შემოქმედებითი უნარების (რომლებიც დაცლილი იქნება ყოველგვარი ზედაპირულობისგან) ერთობლიობამდე მიგვიყვანს.

ბიბლიოგრაფია:

- გროტოვსკი ე., ლარიბი თეატრისკენ, თბ., 2022.

ქეთევან ხოხიაშვილი,
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო
უნივერსიტეტის დოქტორანტი
ხელმძღვანელები: ამერიკისმცოდნეობის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი – ქეთევან ანთელავა,
ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი – ირაკლი ცხვედიანი

რეზიუმე

ამერიკული თეატრი დიდად დავალებულია ძველბერძნული დრამატურგისგან. ანტიკური ტრაგედიის რეცეფცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს ცნობილი ამერიკელი დრამატურგის, იუჯინ ო'ნილის მხატვრულ სამყაროშიც. ო'ნილი თავის პიესებში ამუშავებს ძველბერძნული ტრაგედიის ისეთ დომინანტურ თემატიკას, როგორცაა დისფუნქციური ოჯახი, მისი დემინტეგრაცია და საზოგადოებისაგან იზოლაცია/მარგინალიზაცია, ინცესტი, შვილის მკვლელობა და შურისძიება. სწორედ ძველბერძენი ტრაგიკოსებისაგან ისწავლა მან პერსონაჟთა ღრმა ფსიქოლოგიური პორტრეტების ხატვა, ქოროს გამოყენება და, საზოგადოდ, ტრაგედიის მხატვრული სამყაროს აგების ზოგადი პრინციპები.

ო'ნილის ტრილოგია „გლოვა შვენის ელექტრას“ (1931) ესქილეს „ორესტეას“ თანამედროვე ინტერპრეტაციაა – მოქმედება, ტროას ომის ნაცვლად, გადატანილია ამერიკის სამოქალაქო ომის (1861-1865) ბოლოს. ო'ნილი პარალელებს ავლებს საკუთარ და ესქილეს პერსონაჟებს შორის როგორც სახელთა ჟღერადობის, ასევე ფსიქოლოგიური პორტრეტების თვალსაზრისით – გენერალი ეზრა მანონი აგამემნონია, ქრისტინე – კლიტემნესტრა, ორინი – ორესტესი, ლავინია – ელექტრა, კაპიტანი ადამ ბრანდტი – ეგისტუსი, ხოლო კაპიტანი პიტერ ნაილსი – პილადესი. ორივე ტრილოგია საერთო თემატიკას ამუშავებს – ესაა მკვლელობა, ადიულტერი, ინცესტი და შურისძიება. ო'ნილის პიესებში ბერძნული ქოროს ფუნქციას ქალაქის მაცხოვრებელთა ჯგუფი ასრულებს. სტრუქტურული თვალსაზრისითაც ო'ნილის ტრილოგია „ორესტეას“ მიხედვითაა მოდელირებული – ესქილეს „აგამემნონს“ ო'ნილის „შინ დაბრუნება“ შეესატყვისება, „ქოეფორებს“ – „დევნილები“, „ევმენისებს“ კი – „მოჯადოებულები“.

ამავე დროს, რასაკვირველია, ო'ნილის ტრილოგია, როგორც „ორესტეას“ მოდერნიზებული ვერსია, ბევრი ასპექტით განსხვავდება თავისი ძველბერძნული მოდელისაგან. თუ ესქილეს ტრაგედიაში პერსონაჟთა მოქმედებას მხოლოდ ბედისწერა განსაზღვრავს, ო'ნილის პიესათა ციკლში მათ მე-20 საუკუნის ისეთი ფსიქოლოგიური თეორიებიც უდევს საფუძვლად, როგორებიცაა, მაგალითად, ფროიდისეული ოიდიპოსისა და იუნგისეული ელექტრას კომპლექსები. რაც მთავარია, ბედისწერის ო'ნილისეულ გაგებას არაფერი აქვს საერთო ძველბერძნული ტრაგედიის ბედისწერასთან, როგორც ზებუნებრივ ფენომენტთან, ღვთაებრივ განგებასთან, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის ბედს. ო'ნილთან ბედისწერა, ფაქტობრივად, სხვა არაფერია, თუ არა ნატურალისტური დისკურსისათვის ნიშანდობლივი დეტერმინიზმი, როცა პერსონაჟის მოქმედება წინასწარაა განსაზღვრული მემკვიდრეობით მიღებული/თანდაყოლილი/გენეტიკური თვისებებით, ქვეცნობიერი იმპულსებითა და ბიოლოგიური ინსტინქტებით, ადამიანის ქცევის ციკლური ბუნებით.

მსქილეს „ორესტეას“ ინდივიდუალიზაცია იუჯინ ო'ნილის პიესათა ციკლში „გლოვა შვენის ელექტრას“

საკვანძო სიტყვები: ამერიკული დრამა, იუჯინ ო'ნილი, ძველბერძნული ტრაგედიები, ელექტრა, გლოვა შვენის ელექტრას, დრამატურგია, ამერიკული თეატრი

ამერიკული თეატრი დიდად დავალებულია ძველბერძნული დრამატურგიისგან. ანტიკური ტრაგედიის შემოქმედებითი რეცეფცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს ცნობილი ამერიკელი დრამატურგის, იუჯინ ო'ნილის მხატვრულ სამყაროშიც. ო'ნილი თავის პიესებში ამუშავებს ძველბერძნული ტრაგედიის ისეთ დომინანტურ თემატიკას, როგორიცაა დისფუნქციური ოჯახი, მისი დეზინტეგრაცია და საზოგადოებისაგან იზოლაცია/მარგინალიზაცია, ინცესტი, შვილის მკვლელობა და შურისძიება. სწორედ ძველბერძენი ტრაგიკოსებისაგან ისწავლა მან პერსონაჟთა ღრმა ფსიქოლოგიური პორტრეტების ხატვა, ქოროს გამოყენება და, საზოგადოდ, ტრაგე-

დიის მხატვრული სამყაროს აგების პრინციპები. „ტრაგიკულის“, როგორც მხატვრული კატეგორიის, მისეულ გაგებას თავად ო'ნილი ასე აყალიბებს – „[...] ბევრს ლაპარაკობენ ტრაგედიის შესახებ (მის პიესებში – ქ. ბ.) და მას უწოდებენ „საშინელს“, „დამთრგუნველს“, „პესიმისტურს“ – სიტყვებს, რომლებიც ჩვეულებრივ გამოიყენება ყოველივე ტრაგიკულის მისამართით. მაგრამ მე ვფიქრობ, ტრაგედიას ის მნიშვნელობა აქვს, რომელიც მას ძველმა ბერძნებმა მიანიჭეს. მათთვის იგი იწვევს ეგზალტაციასა და სიცოცხლისკენ სწრაფვას, აღძრავს სიცოცხლის მეტ წყურვილს, ათავისუფლებს ყოველდღიური არსებობის წვრილმანებისაგან და უფრო ღრმა სპირიტუალი შრეების წვდომისაკენ უბიძგებს მათ. სცენაზე ტრაგედიის ყურებისას ისინი შეიგრძნობდნენ საკუთარ განწირულ იმედებს, ხელოვნებაში გაკეთილშობილებულს“.¹

ო'ნილის ტრილოგია „გლოვა შვენის ელექტრას“ (Mourning Becomes Electra, 1931) ესქილეს „ორესტეას“ თანამედროვე ინტერპრეტაციაა – მოქმედება, ტროას ომის ნაცვლად, გადატანილია ამერიკის სამოქალაქო ომის (1861-1865) ბოლოს. ო'ნილი პარალელურად ავლენს ესქილეს პერსონაჟებთან როგორც სახელთა ჟღერადობის, ასევე ფსიქოლოგიური პორტრეტების თვალსაზრისით – გენერალი ებრა მანონი აგამემნონია, ქრისტინე – კლიტემნესტრა, ორინი – ორესტესი, ლავინია – ელექტრა, კაპიტანი ადამ ბრანდტი – ეგისტუსი, ხოლო კაპიტანი პიტერ ნაილსი – პილადესი. ორივე ტრილოგია საერთო თემატიკას ამუშავებს – ესაა მკვლელობა, ადიულტერი, ინცესტი და შურისძიება. ო'ნილის პიესებში ბერძნული ქოროს ფუნქციას ქალაქის მაცხოვრებელთა ჯგუფი ასრულებს. სტრუქტურული თვალსაზრისითაც ო'ნილის ტრილოგია „ორესტეას“ მიხედვითაა მოდელირებული – ესქილეს „აგამემნონის“ ო'ნილის „შინ დაბრუნება“ (“Homecoming”) შეესატყვისება, „ქოფეორებს“ – „დევნილები“ („The Hunted“), „ევმენისებს“ კი – „მოჯადოებულები“ (The Haunted).

ტრილოგიის სათაური, რომელიც ანტიკური მითის ალუზიაა, „დაუყოვნებლივ ამყარებს ინტერტექსტუალურ კავშირს ძველებერძნულ მითთან, ელექტრასთან“.² მართალია, ელექტრა სათაურშივე ფიგურირებს, მაგრამ კრიტიკოსთა ნაწილი მაინც მიიჩნევს, რომ მიუხედავად სათაურისა, ბოლომდე ნათელი არ არის, თუ ვინ არის

¹ Bigsby, American, 1989, p. 43.

² Carenio, The American, 1985, p. 9.

ტრილოგიის მთავარი გმირი.³ ამ მოსაზრებას გარკვეული საფუძველი აქვს: მართალია, ო'ნილის ჩანაფიქრით პიესათა ციკლის ცენტრალური ფიგურა ელექტრა უნდა ყოფილიყო ისევე, როგორც ორესტესი ესქილეს ტრილოგიაში, და საბოლოოდ სწორედ ლავინია, ამერიკელი ელექტრა, გვევლინება იმ პერსონაჟად, რომელმაც სამყარო მანონებისაგან უნდა გაათავისუფლოს და იმავდროულად, რაოდენ პარადოქსულადაც უნდა ჟღერდეს, თავადვე იქცეს მანონად ყოფნის უცნაურ აპოთეოზად. და მაინც, საბოლოო ანგარიშით, მანონების ოჯახის ყველაზე ტრაგიკული წევრი ლავინია კი არა, დედამისი ქრისტინეა – კლიტემნესტრას ერთგვარი რეინკარნაცია, რომელიც მთელი არსებით იბრძვის „მანონების წყევლისაგან“ თავდასახსნელად. მანონების ოჯახის ტრაგედია მარტო ლავინიას კი არა, დედამისის ტრაგედიაცაა უწინარეს ყოვლისა. მეორე მხრივ, არც ლავინიას როლის დაკნინება იქნებოდა მართებული – ჩვენ, ფაქტობრივად, მისი გადმოსახედიდან ვაფასებთ ტრაგიკულ, სიუჟეტურ მოვლენებს, ტრილოგიის სამივე ნაწილის თითოეული მოქმედება მასთანაა დაკავშირებული, რაც ლავინიას მოვლენების ეპიცენტრში მოაქცევს.

ტრილოგიის სათაური კომპლექსურია და ღრმად უკავშირდება როგორც ძველბერძნულ მითოლოგიას, ასევე ესქილეს ტრაგედიებს. ელექტრასთან მიმართებაში სიტყვების „გლოვა“ და „შვენის“ გამოყენება ხაზს უსვამს იმ მწუხარებას, გოდებას და აუნაზღაურებელი დანაკარგის გამო გლოვას, რომელიც საერთოა ყველა პერსონაჟისათვის. ლავინია, ანუ თანამედროვე ელექტრა, მთავარი ასოციაციური პარალელია ესქილეს ტრილოგიასთან. რა თქმა უნდა, აქ არ იგულისხმება მხოლოდ პერსონაჟი. ფაქტობრივად, ო'ნილის პიესათა ციკლი ელექტრას და ოიდიპოსის კომპლექსების მხატვრული განსხეულებაა ძველბერძნული ტრაგედიის თანამედროვე ინტერპრეტაციის საშუალებით.

რასაკვირველია, ო'ნილის ტრილოგია, როგორც „ორესტეს“ მოდერნიზებული ვერსია, ბევრი ასპექტით განსხვავდება თავისი ძველბერძნული მოდელისაგან. თუ ესქილეს ტრაგედიაში პერსონაჟთა მოქმედებას მხოლოდ ბედისწერა განსაზღვრავს,⁴ ო'ნი-

³ Young, *Electra*, 1982, pp. 15-17.

⁴ ესქილეს ტრილოგიის ქართულად მთარგმნელი, ლევან ბერძენიშვილიც ხაზგასმით აღნიშნავს „ბედისწერის ყოვლისშემძლეობას მთელ ტრილოგიაში“. იხ. ბერძენიშვილი, *ესქილე*, 2022, გვ. 24.

ლის პიესათა ციკლში მათ მე-20 საუკუნის ისეთი ფსიქოლოგიური თეორიებიც უდევს საფუძვლად, როგორებიცაა, მაგალითად, ზიგ-მუნდ ფროიდის ოიდიპოსისა და კარლ გუსტავ იუნგის ელექტრას კომპლექსები. რაც მთავარია, ბედისწერის ო'ნილისეულ გაგებას არაფერი აქვს საერთო ძველბერძნული ტრაგედიის ბედისწერასთან, როგორც ზებუნებრივ ფენომენტთან, ღვთაებრივ განგებასთან, რომელიც წინასწარ განსაზღვრავს ადამიანის ბედს. ო'ნილთან ბედისწერა, ფაქტობრივად, სხვა არაფერია, თუ არა ნატურალისტური დისკურსისათვის ნიშანდობლივი დეტერმინიზმი, როცა პერსონაჟის საცქიელი წინასწარაა განსაზღვრული მემკვიდრეობით მიღებული/თანდაყოლილი გენეტიკური თვისებებით, ქვეცნობიერი იმპულსებითა და ბიოლოგიური ინსტინქტებით, ადამიანის ქცევის ციკლური ბუნებით.

სამართლის გაგება ბერძნულ ტრაგედიაში გაცილებით მარტივია - აქ მოქმედებს ერთი პრინციპი: „თვალი თვალის წილ“ – ანუ დამნაშავე აუცილებლად ისჯება და სამართალი ზეიმობს. პერსონაჟები, ძირითადად, საკუთარი ძალით ცდილობენ სამაგიეროს გადახდასა და დამნაშავეის სათანადოდ დასჯას, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, ღვთაებრივი განგების ჩარევასაც ვხვდებით. დანაშაული ყოველთვის იწვევს მრისხანებასა და სასტიკ შურისძიებას, რაც ხშირად ხელს უშლის პერსონაჟების ღრმა ფსიქოლოგიური პორტრეტის შექმნას. ო'ნილი კი მეოცე საუკუნის ფსიქოლოგიური თეორიების (განსაკუთრებით ფროიდისა და იუნგის კონცეფციების) გათვალისწინებით წარმოაჩენს პერსონაჟთა რთულ, წინააღმდეგობრივ ბუნებას, მათი სულიერი სამყაროს სიღრმისეულ, დაფარულ შრეებს. დანაშაულისა და სასჯელის მტკივნეული გაცნობიერება მათში თვითგვემასა და სინდისის ქენჯნას იწვევს. აქ გაცილებით ღრმადაა გააზრებული დიალექტიკური ურთიერთკავშირი დანაშაულის კომპლექსსა და მასთან დაპირისპირებულ ადამიანის ბუნებას შორის, რომელიც მუდმივ ბრძოლაშია საკუთარ თავთან, საზოგადოებასთან, ღვთაებრივ სამართალსა და თავს დატეხილ უბედურებასთან. თუ კათარსისი ძველბერძნულ ტრაგედიაში ღვთაებრივი წონასწორობის აღდგენას, ანუ სამართლიანობის აღსრულებას უკავშირდება, ო'ნილთან იგი პერსონაჟთა განცდებს ემყარება, ისინი ფიქრობენ, რომ ყველაფერი დასრულებულია.

ანტიკური მითის მხატვრული ინტერპრეტაციისას ო'ნილი არ

მიმართავს მე-20 საუკუნის ლიტერატურაში მეტად გავრცელებულ ხერხს – კლასიკური სიუჟეტის პაროდირებას. ორივე ტრილოგიის პირველი პიესების – „შინ დაბრუნებისა“ და „აგამემნონის“ – საერთო თემაა შინ დაბრუნება: ბერძნულ ტრაგედიაში აგამემნონი ტროას ომიდან ბრუნდება, ო’ნილთან კი ებრა მანონი – აშშ-ის სამოქალაქო ომიდან. ორივე პერსონაჟი დაბრუნების მომენტიდანვე განწირულია მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოება ორივეს, როგორც ომის გმირს, დიდი ზარ-ზეიმით ხვდება:

AMES: Ayeh. This town’s real proud of Ezra.⁵

ამესი: ჰო, ეს ქალაქი ნამდვილად ამაყობს ეზრათი.⁶

„აგამემნონშიც“ მოქალაქეები ამაყობენ გამარჯვებული მეფით და დიდი პატივით ხვდებიან მას: „ჩემო ძვირფასო, ჩამოდი ეტლიდან, მაგრამ, ბატონო, მიწაზე არ დადგა ილიონის გამთელავი ფეხი“.⁷

იმ ტრაგიკულ მოვლენებს, რომლებიც აგამემნონისა და ეზრა მანონის დაბრუნების შემდეგ ვითარდება ორივე ტრილოგიაში, საფუძვლად ედება სისხლით ნათესაობის, სამართლიანობის, დანაშაულისა და სასჯელის მოტივები. ორივეგან მოვლენებს დაუოკებელი ვნება წარმართავს.

ომიდან დაბრუნებული აგამემნონი შეცვლილი ჩანს, თითქოს სალი აზრი დაბრუნებია და აცნობიერებს ღმერთების უზენაეს ძალას, ნათლად ხედავს ზღვარს ღმერთებისა და მოკვდავი ადამიანების შესაძლებლობებს შორის. მას კარგად ახსოვს ნადირობის ქალღმერთ არტემიდას მწარე გაკვეთილი,⁸ ამიტომ ის ადიდებს ღმერთებს და თავმდაბლობის მკაფიო ნიშნებს ავლენს: „მოკვდავი ვარ და ჭრელ სილამაზებზე ვერასოდეს გავივლი უშიშ-

⁵ O ‘Neill, *Electra*, 1959, p. 229.

⁶ ყველა ციტატის თარგმანი ო’ნილის ტექსტებიდან ეკუთვნის სტატიის ავტორს.

⁷ ესქილე, *ტრაგედიები*, 2022, გვ. 225.

⁸ ბერძნული მითი მოგვითხრობს, რომ ტროასკენ სალაშქროდ მიმავალი ბერძნული ხომალდები ბეოტიის საპორტო ქალაქ ავლისში იდგა, როდესაც ნადირობისას აგამემნონმა ოსტატურად მოიმარჯვა მშვილდი და ირემი მოკლა. ნასროლი იმდენად ზუსტი აღმოჩნდა, რომ აგამემნონმა დაიტრაბახა, მშვილდოსნობაში არტემიდას ვაჟობეო. განრისხებულმა ქალღმერთმა ბერძნების ფლოტს გრიგალი მოუვლინა და მათი ტროაში გამგზავრება შეუძლებელი გახდა. მისანამ კალქასმა განმარტა, რომ ქალღმერთი აგამემნონისგან ქალიშვილს, იფიგენიას ითხოვდა მსხვერპლად და ბერძენთა მხედართმთავარს ამ მსხვერპლის გაღება მოუხდა. იხ. ბერძენიშვილი, *ესქილე*, 2022, გვ. 22.

რად (...) ნოხებისა და ჭრელების გარეშეც ყვირის დიდება. სისულელე რომ არ მოგივიდეს თავში – სწორედ ესაა ღმერთების უდიდესი საჩუქარი“.⁹ და მაინც, როგორც ჩანს, ეს მორიგეებითი სახეცვლილება – ამპარტავნობა და პატივმოყვარეობა კვლავ მისი ხასიათის მთავარ თვისებებად რჩება. სწორედ მისი წინდაუხედავი ამპარტავნობით სარგებლობს კლიტემნესტრა, რომელიც მის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების დასაფარად სახლში დაბრუნებულს და სასახლისაკენ მიმავალს ხალიჩებს დაუგებს როგორც ღმერთს და არწმუნებს, რომ იგი, ომის გმირი, ნამდვილად იმსახურებს ასეთ პატივს. ხალიჩაზე უშიშრად გავლა მხოლოდ ღმერთების პრეროგატივაა, მოკვდავთ არასოდეს ეპატიებათ ასეთი ქედმაღლობა. აგამემნონი კიდევ ერთხელ გაებმება პატივმოყვარეობის მახეში. მან თითქოს კათარსისი განიცადა, თუმცა ის მაინც ადამიანია და საბედისწერო შეცდომებს უშვებს – ცოლი მარტივად ახერხებს, გახადოს იგი მისი უპირველესი მტრის, მისივე ამპარტავნობის მსხვერპლი.

ანალოგიურ კათარსისს განიცდის ეზრაც, თუმცა, როგორც აგამემნონი, ისიც ვერ დააღწევს თავს ცოლის მიერ დაგებულ ვერაგულ მახეს.¹⁰ ის ახერხებს და თრგუნავს საკუთარ ამპარტავნობას, რომელიც ყოველთვის თან სდევდა მის გვარს. როგორც მისი შავკანიანი მეზაღე აღწერს:

SETH (boastfully expanding): He’s able, Ezra is! Folks think he’s cold-blooded and uppish, ‘cause he’s never got much to say to ‘em. But that’s only the Mannons’ way. They’ve been a top dog around here for nearly two hundred years and don’t let folks forget it.¹¹

სეთი (კვებნით განმარტავს): ეზრა უნარიანია! ხალხს ჰგონია, რომ ის ცივისსხლიანი და ქედმაღალია, რადგან მათ ნაკლებად უყადრებს თავს. მაგრამ მანონები ასეთები არიან. ისინი ორასი წელია ბატონობენ და არც ხალხს აძლევენ ამის დავიწყების საშუალებას.

ომიდან დაბრუნებული ეზრა სხვანაირია, მან, თითქოს, სწო-

⁹ იქვე, იხ. ბერძენიშვილი, ესქილე, 2022, გვ. 22.

¹⁰ თუ, ჰომეროსის მიხედვით, კლიტემნესტრას აგამემნონის მკვლელობაში უშუალო მონაწილეობა არ მიუღია და მხოლოდ ირიბად შეუწყო ხელი დანაშაულს, დაუმალა რა ქმარს, რომ მის წინააღმდეგ შეთქმულება მზადდებოდა, ქრისტიანულ თავად მოკლა ეზრა მანონი – წამლის ნაცვლად საწამლაღი დააღვინა მას.

¹¹ O ‘Neill, Electra, 1959, p. 229.

რედ ახლა დაინახა ჭეშმარიტება:

MANNON (as if he had determined, once started, to go on doggedly without heeding any interruption): It was seeing death all the time in this war that got me thinking these things. Death was so common, it didn't mean anything. That freed me to think of life. Queer, isn't it? Death made me think of life. Before that life had only made me think of death!¹²

მანონი: (თითქოს გადაეწყვიტა მტკიცედ, გაეგრძელებინა ყოველგვარი შეფერხების გარეშე) ომმა და გამუდმებით სიკვდილის ყურებამ დამაწყებინა ამაზე ფიქრი. სიკვდილი იმდენად ჩვეულებრივი რამ იყო, რომ არაფერს ნიშნავდა. ამან გამათავისუფლა, რომ სიცოცხლეზე ფიქრი დამეწყო. უცნაურია, არაა? სიკვდილმა სიცოცხლეზე დამაფიქრა. მანამდე პირიქით, სიცოცხლე მაიძულებდა, სიკვდილზე მეფიქრა.

ორივე ნაწარმოების გმირების წინაშე მორალური დილემა დგას. აგამემნონმა თავისი დაუღვერობით, კვებნითა და ამპარტავნობით ქალღმერთი არტემიდა განარისხა. მან გადაკვეთა უხილავი ზღვარი ღმერთებსა და ადამიანებს შორის, რის გამოც დაისაჯა კიდევ. ქალღმერთმა კი მას მსხვერპლად ქალიშვილი მოსთხოვა. იგი, როგორც ტროასკენ მიმავალი ფლოტის მეთაური, ურთულესი დილემის წინაშე დგება: იყოს თავდადებული მამა თუ ღირსეული წინამძღოლი. ასეთ მორალურ დილემას ვხვდებით ო'ნილის ტრაგედიაშიც, რომელშიც პურიტანული სამართლის დარღვევა, ოჯახური ღირებულებების მოშლა, სასტიკი შურისძიება და დაუოკებელი ვნება ტრაგიკული მოვლენების საწინდარი ხდება. პერსონაჟები დისონანსში არიან რელიგიურ ღირებულებებთან და საპასუხოდ ისჯებიან კიდევ.

ორივე ტრილოგიის მეორე ნაწილში კვლავ შურისძიების მოტივი დომინირებს. ორინ მანონი, რომლის პრეფიგურაციაც ორესტესის პერსონაჟია, საკუთარი ხელით სიცოცხლეს გამოასალმებს ადამს, დედამისის საყვარელს. ამ მკვლელობის შემდეგ თავს იჩენს გადახვევა ესქილეს სიუჟეტიდან – ქრისტიანე, ორინის დედა, თავს იკლავს, კლიტემნესტრა კი საკუთარი ვაჟის ხელით აღესრულებს.

ესქილეს ტრილოგიის მესამე ნაწილში ღვთაებრივი წესრი-

¹² იქვე, O 'Neill, Electra, 1959, p. 268.

გი დაისადგურებს და, უამრავი უსამართლობის შემდეგ, ბალანსი აღდგება. თუმცა, ო'ნილთან ვერ ვხვდებით კათარსისს. მხოლოდ სიკვდილს შეუძლია ორინის ტანჯვის დასრულება, რადგან მას შეუძლებლად მიაჩნია სამართლიანობის აღდგენა რადიკალური ნაბიჯების გარეშე. ორივე ტრილოგიაში პერსონაჟთა ვნებები და შეცდომები განსაზღვრავს მათ ტრაგიკულ ხვედრს, თუმცა, თუ ძველბერძნულ ტრაგედიაში პერსონაჟის ტანჯვა აკეთილშობილებს მას, ო'ნილის ტრილოგიაში, მრავალი სირთულის გადალახვის მიუხედავად, პერსონაჟები ვერ აღწევენ კათარსისს.

ამრიგად, ო'ნილი თავის ტრილოგიაში „გლოვა შვენის ელექტრას“, ერთი მხრივ, ცდილობს, მიუახლოვდეს ტრაგედიის საწყისებს, ხოლო მეორე მხრივ, მითი გარდაქმნას (*sub specie tempus nostri*), ანუ მისი მოდერნიზაცია შემოგვთავაზოს კაცობრიობის მარად განმეორებადი კოლიზიების თანამედროვე ვარიაცია. ძველბერძნული ტრაგედიის რთული მხატვრული კონცეფციის ორიგინალური ინტერპრეტაციის საშუალებით, ო'ნილი ახერხებს პერსონაჟთა ღრმა ფსიქოლოგიური პორტრეტები დახატოს და ექსპრესიონისტული ელემენტების გამოყენებით კიდევ უფრო გაზარდოს ტრილოგიის ემოციური ეფექტი.

ბიბლიოგრაფია:

- ბერძენიშვილი ლ., ესქილე, ტრაგედიის მამა, წინასიტყვაობა წიგნში: ესქილე, ტრაგედიები, თბ., 2022.
- ესქილე, ტრაგედიები, თბ., 2022.
- Bigsby C. W., *A Critical Introduction to Twentieth-Century American Drama 1900-1940*, Vol. 1, Cambridge, 1989.
- Carenio Ana Maria De Melo, *The American Electra: O'Neill's Modern Version of the Myth*, MA Dissertation, Feveiro, 1985.
- O'Neill E., *Mourning Becomes Electra*, New York, 1959.
- Young W., *On Mother and Daughter in Mourning Becomes Electra*, *The Eugene O'Neill Newsletter*, vol. 6, no. 2., Boston, Massachusetts, 1982.

კინოშეფასება

ეკატერინე კონტრიძე,
საქართველოს შოთა რუსთაველი თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის
დოქტორი

რეზიუმე

30-იან წლების „წითელი დიდი ტერორის“ პერიოდში, რეპრესიებს მილიონობით უდანაშაულო ადამიანი ემსხვერპლა. საქართველოშიც ათასობით მოქალაქე დააპატიმრეს, გადაასახლეს და დახვრიტეს, მათ შორის საზოგადო მოღვაწეები და ხელოვანები, რომელთა ნიჭი და შემოქმედება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ქვეყნის ინტელექტუალური განვითარებისათვის – მიხეილ ჯავახიშვილი, ევგენი მიქელაძე, ტიცინ ტაბიძე, სანდრო ახმეტელი, პეტრე ოცხელი... მათი ტაბუდადებული ისტორიების შესწავლა მხოლოდ წლების შემდეგ გახდა შესაძლებელი. ბევრი სხვაც იყო, რომელთა შესახებ ჯერ კიდევ არაფერი ვიცით. მათგან ერთ-ერთი კინოსცენარისტი სამუელ კუპრაშვილი და მისი შემოქმედებაა.

სხვადასხვა მუზეუმსა და არქივში მოძიებული მასალების მიხედვით, გაგაცნობთ ყოფილ ბოლშევიკ, საქართველოს დემოკრატიული არმიის მებრძოლ, მწერალთა კავშირის კინოსექციის წევრსა და „სახკინმრეწვში“ სასცენარო განყოფილების თანამშრომელ სამუელ (ბაჭუა) დიანოზის ძე კუპრაშვილს.

კინოსცენარისტი სამუელ კუპრაშვილი და მისი დაკარგული ისტორია

საკვანძო სიტყვები: საბჭოთა იდეოლოგია, საბჭოთა რეპრესიები, სამშობლოს მოლაღატეები, სამუელ კუპრაშვილი

როგორც ცნობილია, საბჭოთა იდეოლოგიების საზოგადოებაზე გავლენის მოპოვების ერთ-ერთი მთავარი საშუალება ხელოვნება იყო. სისტემის პროპაგანდისტულ საქმიანობაში მწერლებს, პოეტებს, თეატრის წარმომადგენლებსა და კინემატოგრაფებს გადამწყვეტი როლი უნდა შეესრულებინათ.

„ერთიანი საბჭოთა სამშობლოს შენების“ იდეას მილიონობით ადამიანის სიცოცხლე წლების განმავლობაში ეწირებოდა... თუმცა, ყველაზე მძიმე და სასტიკი 1937-1938 წლები იყო.

30-იანი წლების ტერორი და რეპრესიები ეროვნულ ცნობიერებაზე შეტევისა და ერის გენოფონდის განადგურების ხანა იყო. რეპრესიებს შეეწირნენ – მიხეილ ჯავახიშვილი, ევგენი მიქელაძე, ტიციან ტაბიძე, სანდრო ახმეტელი, პეტრე ოცხელი და სხვა დიდი ქართველები, მათ შემოქმედებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ქვეყნისთვის. იყვნენ სხვა რეპრესირებულებიც, რომელთა შესახებ არაფერი ვიცით. მათ შორისაა პოლიტიკოსი, მწერალთა კავშირის კინოსექციის წევრი, „სახკინმრეწვის“ სასცენარო განყოფილების თანამშრომელი სამუელ (ბაჭუა) კუპრაშვილი.

სამუელ კუპრაშვილი დაიბადა 1890 წელს ტყიბულის რაიონ სოფელი ცუცხვათში, მღვდლის, დიანოზ კუპრაშვილის ოჯახში. იყო რუსეთის სამოქალაქო ომის მონაწილე, რევოლუციონერი და სტალინის თანამებრძოლი.

როგორც კინემატოგრაფზე, სამუელ კუპრაშვილზე ვიცოდით, რომ იგი, გიორგი ცაგარელთან ერთად იყო გიორგი მაკაროვის ფილმის „ნახვამდის“ სცენარის ავტორი. ეს შვიდნაწილიანი კომედიური ფილმი 1934 წელს ქართული კინოს თანავარსკვლავედის, მიხეილ გელოვანის, ნუცა ჩხეიძის, ცაცა ამირეჯიბის, კირილე მაჭარაძის, ლევან ხოტივარის, სანდრო შორუოლიანის, ცეცილია წუწუნავას, არკადი ხინთიბიძის, მიხეილ ქორელის, ვალერიან გუნიას მონაწილეობით გადაიღეს. ფილმი და სხვა ინფორმაცია მის შესახებ საქართველოს არქივებიდან გამქრალი იყო.

სცენარს ეროვნულ არქივში მივაგენი სახელწოდებით „მომავალ შეხვედრამდე, ანუ პასპორტი რეაქციის ეპოქიდან“.¹

სიუჟეტი ასეთია – მემკვიდრეობის გამო ძმასთან გაუთავებელი დავის მოსაგვარებლად, თავადი დავით ირმელი ვაჟს, თენგიზს, ქალაქში გზავნის. თენგიზი მოსამართლეებისთვის განკუთვნილ თანხას დუქანში გაფლანგავს. ქეიფის დროს, უგონოდ მთვრალს მოეჩვენება, რომ მეგობარი შემოაკვდა. შეშინებული დუქნიდან გარბის და მტკვარში ხტება. დაპატიმრებულ მემამბოხე სპირიდონ ლომიძეს ბრალად ედება მეფისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ შეთქმულება, სტამბის მოწყობა და პროკლამაციების ბეჭდვა. სპი-

¹ საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (შემდეგში სუიფსა), ფონდი 52 (კინოსტუდია „ქართული ფილმი“), ანაწერი 2, საქმე 127.

რიდონს 20 წლით პატიმრობა და ციმბირში გადასახლება ემუქრება, მაგრამ ის ციხიდან გაიქცევა და იმავე დროს, თითქმის იმავე ადგილას მტკვარში გადაეშვება. ორივეს სპირიდონის რევოლუციონერი მეგობრები გადაარჩინენ. თენგიზ ირმელს როსტოვში გააპარებენ, ვითომ სასჯელისთვის თავის არიდების მიზნით. რევოლუციონერი სპირიდონ ლომიძე კი თენგიზ ირმელის საბუთებით, თავისუფალი აღმოჩნდება. გარეგნული განსხვავების მიუხედავად, ყველა მოწმე ადასტურებს, რომ სპირიდონ ლომიძე თენგიზ ირმელია, თავადი დავით ირმელიც იძულებულია დაეთანხმოს ამ დაუჯერებელ ტყუილს.

სცენარი მსუბუქი ირონიით ხატავს ორი განსხვავებული გმირის – მემამბოხე რევოლუციონერისა და მოქეიფე, ზარმაცი თავადის ურთიერთშეცვლის მხიარულ ისტორიას. ასევე სარკაზმითაა მოთხრობილი სასამართლო სისტემისა და ჩინოვნიკების ბიუროკრატია, ქართველ თავად-აზნაურთა უმიზნო და ფუქსავატური ცხოვრება.

ეროვნულ არქივში ასევე ინახება სამუელ კუპრაშვილის განუხორციელებელი ლიტერატურული კინოსცენარები: „აბო“² (გიორგი მდივანთან ერთად); „კანონების კრებული“ და ანიმაციური ფილმის სცენარი – „ციალას ლაშქრობა“³ (კიტა ბუაჩიძესთან ერთად). არქივის დოკუმენტებში მოხსენიებულია მისი ლიტერატურული სცენარიც „ორი ზღვა“⁴, რომელსაც, სამწუხაროდ, ვერ მივაკვლიე.

ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულ 1924 წლის 13 დეკემბრით დათარიღებულ გაზეთში „საქართველოს კინო“ საინტერესო ინფორმაციაა: „სსსრ სახკინმრეწველობა ამზადებს სურათს „ამბაკო სამანიშვილი“, სცენარი – ბ. კუპრაშვილის, დადგმა – ა. წუწუნავასი“.⁵

სამუელ კუპრაშვილის რევოლუციური წარსულისა და არაერთი საინტერესო სცენარის მიუხედავად, მისი სახელი, როგორც აღვნიშნე, მივიწყებული იყო. 1936 წელს „ტროცისტისა და საზღვარგარეთის აგენტის“ ბრალდებით დააპატიმრეს და 1937 წელს 47 წლის ასაკში დახვრიტეს.

უშიშროების პარტიულ არქივში ნაპოვნი მასალების მიხედვით,

² სუიცსა, ფონდი 52 (კინოსტუდია „ქართული ფილმი“), ანაწერი 2, საქმე 4391.

³ სუიცსა, ფონდი 52 (კინოსტუდია „ქართული ფილმი“), ანაწერი 2, საქმე 4495.

⁴ სუიცსა, ფონდი 52 (კინოსტუდია „ქართული ფილმი“), ანაწერი 2, საქმე 4771.

⁵ განცხადება, გაზეთი „საქართველოს კინო“, 13 დეკემბერი, 1924, გვ. 4.

სამუელ კუპრაშვილის სულ სხვა პორტრეტი იხატება. უსამართლობისა და მეფის რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლი ახალგაზრდა მეფის რეჟიმის დროს პოლიტიკურ სასჯელს რუსეთის საპატიმროში იხდიდა. იყო რუსეთის სამოქალაქო ომის მონაწილე. შემდეგ ბოლშევიკური პარტია დატოვა და საქართველოში დაბრუნდა. 1921 წელს, იბრძოდა საქართველოს დემოკრატიული არმიის რიგებში. ოკუპაციისა და გასაბჭოების შემდეგ კვლავ პოლიტიკური საბაბით დააპატიმრეს. გათავისუფლების შემდეგ კი სამუდამოდ ჩამოშორდა პოლიტიკას...⁶

უშიშროების არქივში მივაგენი მის ხელნაწერს „ავტობიოგრაფია“, რომელშიც ვკითხულობთ: „1902 წელს დამითხოვეს ქუთაისის სასულიერო სასწავლებლიდან, ცუდი ყოფაქცევითვის. ჩემი ცუდი ყოფაქცევა გამოიხატებოდა შემდეგში: რამდენიმეჯერ დავაკლდი სავალდებულო ლოცვა-წირვას, ორჯერ დამიჭირეს საცეკვაო საღამოზე, ეს უკანასკნელი დანაშაული მიუტევებელი შეიქნა და დავრჩი სასწავლებლის გარეთ. ძალიან არც კი მინაღვლია შკოლიდან დათხოვნა, უკვე ცამეტი წლის ბიჭი ვიყავი 6-7 წელი სასწავლებელში გავატარე და ხეირიანად რუსული წერა-კითხვა კი არ ვიცოდი, მიუხედავად იმისა, რომ სწავლა რუსულ ენაზე იყო.“

სასულიერო საგნებით, ბერძნული ენით და მასწავლებლების ცემა-ტყეპით ისე მქონდა გამოლაყებული თავი, რომ ერთი შეხედვით არავითარ იმედს აღარ ვიძლეოდი, რომ სწავლისთვის გამოვდგებოდი, ასეთი აზრის იყო მამაჩემი ჩემზე, აღარც მიპირებდა სწავლას, წამიყვანა სოფლად და გამაგდო სათოხარში რამდენიმე თვის შემდეგ ისევ დედამ მოიბრუნა გული ჩემზე, აიძულა მამაჩემი დაექირავებია კერძო მასწავლებელი და მომამზადეს სამოქალაქო სასწავლებელში მისაღებათ. აქ საქმე უკეთ წავიდა, არც ისე უნიჭო გამოვდექი და მეოთხე კლასში დავიჭირე ეგზამენი“.⁷

რევოლუციური იდეებით დაინტერესებას ასე იხსენებს:

„მე, ლელო-ბურთის ერთ საუკეთესო მოთამაშედ ვითვლებოდი და მტერიც ბევრი მყავდა. თამაშის გათავების შემდეგ, გზაში ჩამისაფრებოდნენ და ხშირად მიუტყეპივარ; ერთი ასეთი შემთხვევის დროს გამომექომაგა ჩემზე მოზრდილი სასულიერო სემინარიის მოწაფე და გადამარჩინა ცემას.“

⁶ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის არქივი (შემდეგში შსს აკადემიის არქივი), ფონდი 8 (პარტიულ მუშაკთა ფონდი), საქმე 624, ანაწერი 2.

⁷ შსს აკადემიის არქივი, ფონდი 8, ანაწერი 2, საქმე 28, გვ. 35.

ჩემი უცნობი ქომაგი შემდეგ კიდევ მხვდებოდა, გამომელაპა-რაკებოდა... ერთი შეხვედრის დროს მითხრა: „ძალიან მჭირდება სამი აბაზი რისთვისაც ორ წიგნს ვიყიდო, თუ შენ გარეშე წიგნებს კითხულობ, იყიდე ჩემგან ეს წიგნებიო და მომაწოდა ორი წიგნი, ტოლსტოის „აღდგომა“ და პისარევის ერთ-ერთი ტომი. მე თუმცა ამ წიგნების ასავალ-დასავალი არ გამეგებოდა, მაგრამ თავი ისე ვაჩვენე, რომ ვითომც ძალიან ვყოფილიყავი გართული გარე-შე წიგნებით. გავიქეცი სახლში, დიდი ვაი-ვაგლახით გამოვართ-ვი დედას სამი აბაზი და მივურბენინე. მან წიგნები გადმომცა და მითხრა, როცა წაიკითხო, შენი აზრი მითხარი, როგორ მოგეწონე-ბა შინაარსიო.

მივითანე სახლში წიგნები, პისარევის ვერაფერი გავიგე, ტოლსტოი ძლივს ჩავათავე, ბევრი ვერც იქიდან გამოვითანე რა-მე, მრცხვენია ჩემი იდუმალ მეგობრის, მეშინია შეხვედრა... ერთ დღეს წამომამწყდა თავზე, ჩამომიგდო ლაპარაკი. მე გულწრფე-ლობის მეტი აღარაფერი დამრჩენოდა, ვუთხარი, რომ ერთი სულ ვერ გავიგე, მეორე კი სანახევროდ. პისარევზე ვერც მან მითხრა ბევრი რამე, „აღდგომის“ შინაარსი კი ბოლომდის გამირკვია.

სახლში მისვლისას ერთი აურზაური დამატყდა თავზე. სოფლი-დან მამაჩემი ჩამოსულიყო, ჩემს წიგნებში რომ ტოლსტოის ნაწარ-მოები ნახა, კინალამ ჭკუაზე შეშლილიყო, წიგნი ცეცხლში ჩაგდო და გაშმაგებული ჩემს მოსვლას ელოდა, სახლში რომ მივედი, სა-შინელი დღე დამაყენა. ...რა რიგ საწყენიც არ უნდა ყოფილიყო მა-მის გამოლაშქრება, მე კი დიდი ინტერესი აღმიძრა ღვთის, მეფის წინააღმდეგ“.

საბჭოთა კავშირის კვლევის ლაბორატორიის მიერ გამოცე-მული წიგნის „ჩემი მოგონებები“ ავტორი არაქელა ოქრუაშვილი⁸ ბატუა კუპრაშვილზე წერს: „ბატუა კუპრაშვილი ახლოს იცნობდა და მეგობრობდა ქართველ ანარქისტებთან, სოციალ-დემოკრა-ტებთან, მათ შორის, მენშევიკური და ბოლშევიკური ფრთის წარ-მომადგენლებთან, ესენი იყვნენ – სიმონ ტერ-პეტროსიანი (კამო), ილიკო იმერლიშვილი (მცხეთელი, იმერელი), ლადო ფეიქრიშ-ვილი (შავი ლადო, დიდი ლადო), ერასტი ჯორბენაძე, სერგო თა-ყაიშვილი, ხარება ჯიბუტი, გოგია კენკიშვილი (რეალური გმირები ფილმიდან „ხარება და გოგია“) და ალექსანდრე (ფორია) ცაგუ-რიშვილი“.

⁸ ოქრუაშვილი, ჩემი, 2017, გვ. 135.

დღეს ფორია ცაგურიშვილის სახელი ბევრს არაფერს გვეუბნება, მაგრამ 20-იან წლებში იგი საკმაოდ ცნობილი პიროვნება იყო. ფორია-ალექსანდრე ცაგურიშვილი, „ქართული ლეგიონის წევრი“, ხელისუფლებასა და უსამართლობასთან მებრძოლი გმირი ლიტერატურული გმირის – დათა თუთაშვიას ერთ-ერთი პროტოტიპი შეიძლება იყოს. რომანში „დათა თუთაშვია“ ვკითხულობთ: „საირმის ტყეებში მასპინძელი მყავდა. მასთან ვაპირებდი გამობამთრებას. დათა თუთაშვია წავიყვანე თან – საირმეზე არ ვყოფილვარო... დათას ვინაობა არ გამიმხელია, სხვა გვარით გავაცანი... ფორიად გავაცანი სეთურს დათა“.⁹

ფორია, იგივე ალექსანდრე, იგივე ქრისტეფორე ცაგურიშვილს საკუთარი „მოგონებები“ კინოსცენარისტ ბატუა (სამუელ) კუპრაშვილის (რადგან ბატუა კუპრაშვილი ერთ დროს ფორიას რამზის წევრიც ყოფილა), რუსთაველის თეატრის რეჟისორ სანდრო ახმეტელისა და პავლე საყვარელიძის თხოვნით დაუწერია (მოგონებები ინახება შსს-ს აკადემიის არქივში). ისინი პირადად შეხვედრიან ფორიას 1936 წელს ივლისში ბორჯომში და ფორიასთვის უკვე დასრულებული „მოგონებების“ წიგნად გამოცემის უფლება და სპექტაკლის დადგმის ნებართვა უთხოვიათ. სამწუხაროდ, ვერც წიგნის გამოცემა და ვერც თეატრისთვის პიესის დაწერა ვერ მოასწრეს, რადგან სულ მალე ბატუა კუპრაშვილი, ფორია ცაგურიშვილი და სანდრო ახმეტელი დახვრიტეს, პავლე საყვარელიძე კი იმავე წელს მოწამლეს“.¹⁰

უშიშროების არქივის სისხლის სამართლის განყოფილებაში მივაგენი ვინმე კ.გ. მგელაძის წერილს, რომელიც ბატუა კუპრაშვილთან ერთად საკანში იმყოფებოდა და რომელსაც თანამესაყვანეზ ანგარიშის წარდგენა დაევალა. მგელაძე ასე ახასიათებს კუპრაშვილს: „ბატუა კუპრაშვილი იმყოფებოდა ჩემთან ერთად კამერაში და ჰყვებოდა ყველაფერს, რასაც აკეთებდა მთელი ცხოვრების განმავლობაში. სახელდობრ: ის იყო ბოლშევიკური პარტიის წევრი, მაგრამ დატოვა ეს პარტია, რადგან ვერ გაიგო ლენინის ბრესტის მოლაპარაკების არსი. გარკვეული დროის შემდეგ, მას ისევ შესთავაზეს შემოსულიყო პარტიაში, მაგრამ ის არ შევიდა.

...მან დაუშვა შეცდომა, ნაციონალური საკითხის გადაჭრისას ის გვერდით გადგა. გამოდიოდა გაზეთი „რევოლუციური მაცნე“, რო-

⁹ სიმაშვილი, ქართული, 2014.

¹⁰ სიმაშვილი, ქართული, 2016, გვ. 1-35.

მელიც ბატუას აზრით სავსე იყო გამოვლილი ზღაპრებით პარტიის ისტორიიდან.მან იცოდა რა ამხანაგ სტალინის როლი ბოლშევიკური პარტიის ორგანიზების საქმეში, როგორც ცოცხალმა მოწმემ და აქტივისტმა, მაგრამ ის ჩუმად იყო და არაფერს არასდროს არ წერდა. ჩემს შეკითხვაზე, თუ რატომ დუმდა, მპასუხობდა: „მე არ მინდოდა პოლიტიკური ადამიანი ვყოფილიყავი, მომბებრდა მე პოლიტიკური ბრძოლა, მინდოდა აპოლიტიკური გავმხდარიყავი და გავხდი კიდეც“. სინამდვილეში ბატუა იყო სწორედ რომ პოლიტიკური ადამიანი, რადგან ქართველ ინტელიგენტებს შორის ის რეგულარულად საუბრობდა რევოლუციაზე, მაგრამ არასდროს არ ახსენებდა სტალინის როლს. არც არასდროს არაფერს წერდა და უბრალოდ, ჩუმად იყო...

... ის მუდმივად გარემოცული იყო ტროცკისტებით. მაგალითად, 1933 წელს მასთან მივიდა ნაცნობი ტროცკისტი ლიდია გასვიანი, რომელსაც მან ბინა შესთავაზა. ლიდიასთან მოვიდნენ მოსკოველი ტროცკისტები, ბატუამ ამ ტროცკისტულ კომპანიას საზეიმო შეხვედრა მოუწყო. უზარმაზარ კომპანიას ესწრებოდნენ ისეთი ქართველი ინტელიგენტები, როგორებიც არიან კოტია გამსახურდია, გერონტი ქიქოძე და სხვ. ბატუა ამ კომპანიის დროს იყო თამადა და ქართველი უკლონისტების ჯანმრთელობის სადღეგრძელოს სვამდა. აქ იყო წარმოთქმული ნაციონალისტური სიტყვები, რასაც ბატუა არ უარყოფს, მაგრამ ამ სიტყვებსა და სადღეგრძელოებში ის ვერაფერ ცუდს და ანტისახელმწიფოებრივ ხასიათისას ვერ ხედავდა. დღევანდელ დღემდე დარწმუნებულია, რომ ეს იყო ქართული კომპანიის ტრადიცია და არავითარი პოლიტიკა აქ არ იყო!

... კუპრაშვილი არის ძველი პადპოლნი ბოლშევიკი, რომელიც გაიბლანდა ნაციონალისტურ საკითხებში და დღევანდლამდე რჩება თავის მცდარ გადაწყვეტილებაში და თავის თავს „აპოლიტიკურს“ ეძახის.

... ვიცი, რომ პარტიის ზოგიერთი წევრები პარტიის ისტორიას არასწორად წერენ, მაგრამ მან არ გამოამჟღავნა ინიციატივა, ელიარებინა თავისი სიმართლე. ჩემი აზრით ის ამას შეგნებულად არ აკეთებდა.

... მე მას ვადანაშაულებ და გაცნობებთ ამას თქვენ.

კ. გ. მგელაძე 22.09.1936 ქ. თბილისი“¹¹

¹¹ შსს აკადემიის არქივი, (სისხლის სამართლის ფონდი), საქმე 36 2 24. 2, ტომი 2, გვ. 439.

1937 წელს „ხალხის მტერი“ ბატუა კუპრაშვილი დახვრიტეს, აკრძალეს კინოკომედია „ნახვამდის“ მისი თანაავტორობით, მისი მოთხრობები და განუხორციელებელი სცენარები „დაივიწყეს“, მისი ფოტოები და სახელი ისტორიიდან წაშალეს.

მოძიებული მასალები საკმარისი არაა მოვლენებსა და ადამიანებზე სამსჯელოდ. საკითხი კვლავ შეუსწავლელი რჩება, რადგან სამუელ კუპრაშვილის პირადი საქმე 1990-იან წლებში რუსეთის უშიშროების არქივებშია გადატანილი და თან იქაც „გრიფით საიდუმლო“ ადევს.

ბიბლიოგრაფია:

- ოქრუაშვილი ა., ჩემი მოგონებები, თბ. „უნივერსალი“, 2017.
- სიმაშვილი თ., ქართული ლეგიონის წევრი ალექსანდრე ცაგურიშვილი, თბ., 2014. <https://tengosimashvili.blogspot.com/2014/12/2014-27-iii.html>
- სიმაშვილი თ., ქართული ლეგიონის წევრები და ჯემალ ფაშას მკვლელობა, თბ., 2016. <http://adjara.gov.ge/uploads/Docs/88ee65764dd345ed83e218e11008.pdf>

საარქივო მასალები:

- გაზეთი „საქართველოს კინო“, 13 დეკემბერი, 1924.
- საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (შემდგომში სუიცსა), ფონდი 52 (კინოსტუდია „ქართული ფილმი“), ანაწერი 2, საქმე 127.
- სუიცსა, ფონდი 52 (კინოსტუდია „ქართული ფილმი“), ანაწერი 2, საქმე 4391.
- სუიცსა, ფონდი 52 (კინოსტუდია „ქართული ფილმი“), ანაწერი 2, საქმე 4495.
- სუიცსა, ფონდი 52 (კინოსტუდია „ქართული ფილმი“), ანაწერი 2, საქმე 4771.
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის არქივი (შემდგომში შსს აკადემიის არქივი), ფონდი 8 (პარტიულ მუშაკთა ფონდი), საქმე 624, ანაწერი 2.
- შსს აკადემიის არქივი, ფონდი 8, ანაწერი 2, საქმე 28.

ქეთევან პატარაია,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის
ხელოვნებათმცოდნეობის (კინომცოდნეობა) დოქტორი

რეზიუმე

ჩეხი მწერლის, კარელ ჩაპეკის, „მოთხრობები ორი ჯიბიდან“ XX საუკუნის 20-იან წლებში იწერებოდა. დაახლოებით ნახევარი საუკუნის შემდეგ, იუმორით მოყოლილი ამბავი სამართლიანი და თავმოყვარე ახალგაზრდა კაცის შესახებ, კინოში გააცოცხლეს სცენარისტმა ამირან ჭიჭინაძემ და რეჟისორმა გურამ პატარაიამ. ფილმში „რეკორდი“ შეცვლილია ჩაპეკის ამავე სახელწოდების მოთხრობაში მოცემული მოქმედების ადგილი და დრო. ამასთან, გავრცობილია ფაბულა, დამატებულია პერსონაჟები, დამუშავებულია გმირების ხასიათი. 70-იან წლების დასაწყისში, სამეგრელოს პატარა სოფელში განვითარებული ამბავი იმდროინდელი ადამიანების პორტრეტებს გვიხატავს. სიუჟეტში ჩანს, რომ მათთვის სახელს და ღირსებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს – წარმოთქმულ სიტყვას დიდ ყურადღებას აქცევენ. დურუს უშვერი სიტყვების მოსმენის შემდეგ ახალგაზრდა ჯოტიას გასაოცარი ძალა მიეცემა და აჯობებს რეკორდსმენებს ბირთვის კვრაში (მოთხრობაშიც ასეა), ამასთან, როცა თავისი გულისსწორის თვალში მატყუარად გამოჩენის საფრთხე დგება, იმავეს იმეორებს (ეს უკვე ფილმის ავტორების დამატებულია). ამირან ჭიჭინაძისა და გურამ პატარაიას მოფიქრებულია საინტერესო დრამატურგიული სვლები, სცენები, ხასიათები: თავისი უფროსის წინაშე შებლაღული სახელი უნდა აღიდგინოს მილიციელმა ხუტამ და ამიტომაც წამოიწყოს დიდი ექსპერიმენტი; ჩაუკეტავი „საკნიდან“ არ გამოდის ჯოტია, რადგან სიტყვა აქვს მიცემული და მის სატრფოსაც მოსწონს ეს: „უპირო კაცი არც მე მეყვარებაო“ – ამბობს; წინაპრების ვაჟკაცობით იწონებს თავს მოხუცი უჩა ბიძია; „სად ყავს თეოფილე გაბუნისა დურუს გასალახი შვილიშვილები?“ – აღშფოთებულია თეოფილე; ხალხის წინაშე ვერ იგინება დურუ ხუნჭუა, როგორ უნდა აკადროს ეს შეკრებილ საზოგადოებას, წინა დღეს სუფრაზე დამეგობრებულ ჯოტიას ან საკუთარ თავს?! ყველგან ღირსებას და სახელს იცავენ.

ფილმში კარგად ჩანს იმდროინდელი საზოგადოების ფასეულობები, ქცევები. როგორ აღიქმება ყოველივე ეს დღევანდელი გადასახედისა? როგორი იქნებოდა „რეკორდი“, დღეს რომ გადაეღოთ? შეიცვალა თუ არა ამ ფასეულობების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება და, შესაბამისად, ქართველი მაყურებელი? როგორ აღიქვამს იგი ამ ფილმს დღეს, როცა არათუ სხვისი, არამედ საკუთარი დედის გინებაც ჩვეულებრივ ამბად იქცა?

კარელ ჩაპეკის „რეკორდი“ სამეგრელოში

საკვანძო სიტყვები: ჩაპეკი, რეკორდი, პატარაია

ჩეხი მწერლის კარელ ჩაპეკის (1890-1938) შემოქმედებას ქართველი მკითხველი კარგად იცნობს. მას ეკუთვნის ფანტასტიკური ჟანრის ნაწარმოებები, იუმორისტული მოთხრობები, ფილოსოფიური ზღაპრები, პიესები, სატირული პამფლეტები, ანეკდოტები. „რეკორდი“ ერთ-ერთია მისი მოთხრობების კრებულიდან სახელწოდებით „მოთხრობები ორი ჯიბიდან“.

1974 წელს „რეკორდის“ მიხედვით სატელევიზიო მხატვრული ფილმი გურამ პატარაიამ გადაიღო და 1928 წელს დაწერილი ამბავი 70-იანი წლების სამეგრელოში გადაიტანა.

რეჟისორის ქალიშვილი სოფიო პატარაია ბესიკ გაფრინდაშვილის დოკუმენტურ ფილმში „რეკორდი“ 40 წლის შემდეგ „იხსენებს, როგორ წააკითხა მამამ ეს მოთხრობა და უთხრა, რომ ფილმის გადაღებას აპირებდა. „მე ვუთხარი: „მამა, არ გამოგივა ეს“. რატომო? „რა ვიცი, მე არ მეჩვენება არც სასაცილოდ, არც რალაცად...“. „იცი, რა გითხრა? მე ფილმი უკვე გადაღებული მაქვსო, – მითხრა“. „რეკორდი“ მართლაც არ ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ საინტერესო ფილმად შეიძლება იქცეს, რადგან სიუჟეტი, ფაქტობრივად, ორი ადამიანის დიალოგია, რომლის დროსაც, ძირითადად, ერთი ამბავს ჰყვება, ხოლო მეორე უსმენს.

მოთხრობა ასე იწყება:

„– ბატონო მოსამართლე, – ვახტმისტრი გეიდა პატაკს აძლევს უბნის მოსამართლე ტუჩეკს, – ნება მომეცით, მოგახსენოთ: სხეულის დაზიანების სერიოზული შემთხვევაა... ჯანდაბა, სიცხეც ამას ჰქვია!“

– მერე, მოეწყვეთ მოხერხებულად, – ურჩია მოსამართლემ.

გეიღამ შაშხანა კუთხეში მიაყუდა, ჩაფხუტი იატაკზე დაავადო, ქამარი მოიძრო და მუნდირი შეიხსნა.

– უფ, – ამოთქვა მან, – წყეული ბიჭი! ბატონო მოსამართლევ, ასეთი შემთხვევა ჯერ არ მქონია. შეხედეთ ერთი – ამ სიტყვებთან ერთად ვახტმისტრმა ასწია მძიმე შეკვრა, გახსნა გაკვანძული დიდი ლურჯი ცხვირსახოცი და იქიდან ამოიღო ადამიანის თავისოდენა ქვა, – არა, შეხედეთ ამას, – დაჟინებით გაიმეორა.

– და რა არის აქ განსაკუთრებული? – შეეკითხა მოსამართლე და ფანქრით მიუთითა ქვაზე, – უბრალო რიყის ქვაა“¹

არც რაიმე განსაკუთრებულია მოთხრობილი ამ ციტატაში. ვახტმისტრი გეიდა ჰყვება, როგორ ესროლა 19 წლის ვაცლავ ლისიციკიმ, აგურის ქარხნის მუშამ, ნ – კილოგრამიანი რიყის ქვა ფრანტიშეკ პუდილს, მიწათმფლობელს, მევახშესა და აზარტული თამაშების მოყვარულს, რომელსაც ქვა მარცხენა მხარში მოხვდა და მხარი და ლავიწი მოტეხა, მყესები გაუგლიჯა და ღია ჭრილობა დაუტოვა. მიზეზი კი იყო, რომ მდინარე საზავას ნაპირზე მდებარე მისი ბლის ბაღში მეზობლის ბიჭი გადაძვრა. ფრანტიშეკმა ბავშვი ხიდან ფეხით ჩამოათრია და ქამრით სცემა. ვილაცამ მეორე ნაპირიდან ორჯერ დაუძახა – ბიჭს თავი დაანებეო, – მაგრამ ფრანტიშეკმა – რა შენი საქმეაო, – გასძახა და შეაგინა. სწორედ ამ დროს მოხვდა ლისიციკის ნასროლი ქვა.

გურამ პატარაიამ სცენარის დაწერა კინოდრამატურგ ამირან ჭიჭინაძეს შესთავაზა. ისინი ტექსტზე დამოუკიდებლადაც მუშაობდნენ და ერთადაც. ამ პროცესს სოფიო პატარაია იხსენებს: „მე მახსოვს ის მომენტები, როდესაც მეგრულ კილოს იყენებდა მამა და მიდიოდა ამის გათამაშება. იყო სიცილი, ხორხოცი, ერთი ამბავი... აი, ამაში, ყველაფერში, ეს სცენარი იწერებოდა...“²

ეს სიმსუბუქე და ძალდაუტანლობა ეტყობა კიდეც სცენარს და ფილმს. რეჟისორის ქალიშვილი იმასაც ამბობს: „პრაქტიკულად, მე დიდი წვალეხა ვერ ვნახე: ვერც მსახიობების არჩევაში, ვერც კომპოზიტორის, ვერც მხატვრის... ანუ მამას ეს ყველაფერი უკვე

¹ ჩაპკვი, რეკორდი, 2008, გვ. 151.

² დოკუმენტური, რეკორდი.

გათვლილი ჰქონდა თვითონ“.³

ეკრანიზაციისას მაყურებელი ზოგჯერ ელის, რომ ეკრანზე ნაცნობ თუ საყვარელ ნაწარმოებთან მაქსიმალურად მიახლოებულ გარემოს, სიტუაციებს, პერსონაჟებს ნახავს და სხვაგვარ ინტერპრეტაციას არ იზიარებს. ზოგჯერ კი პირიქით, ენდობა ფილმის ავტორს და ბოლომდე მიჰყვება მას.

უმნიშვნელოა, რა ამბავია ფილმში ნაჩვენები – თანამედროვე თუ წარსულში მომხდარი, რეალური თუ გამოგონილი, რეალისტური თუ ფანტასტიკური. ამბის საფუძველი მრავალგვარი შეიძლება იყოს – ზეპირსიტყვიერებაში შემონახული ლეგენდიდან დაწყებული, გენიალური რომანით თუ პოემით დამთავრებული. არც გეოგრაფიული თუ ეთნიკური დეტალები ცვლიან რამეს. ავტორი, ნებისმიერ შემთხვევაში, თანამედროვეობაზე, მის გარშემო მიმდინარე მოვლენებზე საუბრობს და ეს ან პირდაპირ აისახება, ან სხვა დროსა და ადგილზე მომხდარ ამბავში ირეკლება.

ამბავი, სიუჟეტი მხოლოდ საშუალებაა, რომელსაც შემოქმედი სხვადასხვანაირად ამუშავებს და ინტერპრეტაციას აძლევს. ერთსა და იმავე ფაბულიდან სრულიად განსხვავებული ნაწარმოების ინტერპრეტაცია შეიძლება შეიქმნას. მნიშვნელოვანია მისი დამუშავება – ამბის გადმოცემის გზა, რას ამბობს ამით ავტორი ან რისი თქმა უნდა. სათქმელი დაკავშირებულია სიუჟეტთან, მაგრამ შეიძლება არ ეყრდნობოდეს ფაბულას. ზოგადად, ხელოვნების ნაწარმოები, კინოფილმი, ნათლად ან შეფარვით აჩვენებს იმ საზოგადოების ცხოვრების ფასეულობებს, რომლისთვისაც ის შეიქმნა.

რას წარმოადგენს „რეკორდი“, როგორც მოთხრობა და „რეკორდი“, როგორც ფილმი? მოთხრობასა და ფილმს თითქმის ნახევარი საუკუნე აშორებთ. მოთხრობის შექმნის პერიოდში ჩეხეთი (რომელიც პირველ მსოფლიო ომში ავსტრია-უნგრეთის დამარცხების შედეგად გათავისუფლდა) უკვე 10 წელი ჩეხოსლოვაკიის დამოუკიდებელი რესპუბლიკის შემადგენლობაში იყო.

მოთხრობის მთავარი გმირი ვახტმისტრი გეიდა პირველი მსოფლიო ომის მონაწილეა. ის ხელყუმბარას ყველაზე შორს, 14 მეტრზე, ისროდა. ამიტომაც, კარგად იცოდა, რას ნიშნავს 6-კილოგრამიანი ქვის თითქმის 20 მეტრზე გადაგდება. „ახალი რეკორდსმენის“ მოსაძებნად გეიდამ თავისი უბანი მთლიანად მოიარა და ყველას აუხსნა, რომ ქვის მსროლელს არა დასასჯელად

³ იქვე, დოკუმენტური, რეკორდი.

ეძებს, არამედ იმისთვის, რომ იგი მსოფლიოს გააცნოს. გეიდა მოსამართლეს უყვება, რომ ამის შემდეგ ბიჭებმა რიყეზე უსროლელი ქვა აღარ დატოვეს, ყველას სახელის გათქმა უნდოდა.

ბოლოს, გამოცხადდა ლისიკი და დანაშაული აღიარა. რამდენი ეცადა გეიდა, რომ ლისიკის ქვა იმავე მანძილზე გადაეგდო, მაგრამ არაფერი გამოვიდა. მოსამართლის თანხმობით, დაკავებული ვაჟი ვახმისტრმა მოსამართლეს მიჰგვარა. მას ტანზეც კი გაახდევინეს, კუნთები დაუთვალიერეს და დარწმუნდნენ, რომ ასეთი ფიზიკური მონაცემების კაცს საგნის შორს ტყორცნა არ შეეძლო. ლისიკი კი ჯიუტად ამტკიცებდა სროლის ფაქტს. საბოლოოდ, გაბრაზებულმა მოსამართლემ ის გაუშვა.

ლისიკი ხალხის წიალიდან გამოსული პერსონაჟია. ახალგაზრდა მუშა აგურის ქარხნიდან, არაფრით გამორჩეული, მაგრამ სამართლიანი და კეთილი. როგორც კი დაინახავს, რომ ბავშვს ქამრით სცემენ, ბრაზდება და დახმარებას ცდილობს; როცა აგინებენ, ძალა უათმაგდება, პირველივე ქვას იღებს და მოწინააღმდეგეს მოცეცავს.

ამ პერსონაჟის სახით, ჩაპეკი თითქოს აჩვენებს უბრალო ჩეხს, რომლის ქვეყანაც ორი საუკუნის განმავლობაში ავსტრია-უნგრეთის იმპერიას ჰყავდა დაპყრობილი, რომელმაც ომში იბრძოლა და იბრძოლა იმისთვის, რომ თავისუფალი ყოფილიყო. ძალიან გაბრაზდა, ველარ მოითმინა უსამართლობა, შეურაცხყოფა და ისე მოიქცა, მისგან რომ არავინ ელოდა (გავიხსენოთ, რომ პირველი მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, ცენტრალურ ევროპაში დემოკრატია მხოლოდ ჩეხოსლოვაკიაში იყო დამყარებული). ავტორი, სავარაუდოდ, გულისხმობს, რომ მსგავს ვითარებაში, საკუთარ თავს შეიძლება იმ ჩეხმა ბიჭებმაც აჯობონ, რომლებმაც რიყე გაცალეს ქვებისგან.

სხვა გარემო და სიტუაცია იყო 70-იან წლებში, ზოგადად მსოფლიოშიც მეტ-ნაკლები სიმშვიდე იყო. 1973 წელს ვიეტნამი ამერიკის შეერთებული შტატების ჯარებმა დატოვეს. ავღანეთის ომი 1979 წელს დაიწყო. საბჭოთა საქართველოში ამ პერიოდს ხან სტაგნაციის პერიოდს, ხან „ტკბილ სამოცდაათიანებს“ უწოდებენ. ამ წლებში გადაიღეს „ვერის უბნის მელოდიები“ (1973), „შერეკილები“ (1973), „ივანე კოტორაშვილის ამბავი“ (1974)... ეროვნული თვითგამორკვევის საკითხმა კულტურის სფეროში გადაინაცვლა ალეგორიული ფორმით, ხშირად იუმორის თანხლებითაც.

გურამ პატარაიას ფილმის პერსონაჟები ქართველები არიან, მეგრელები. რეჟისორი ფილმის მზადების პერიოდში სამეგრელოში ჩასვლის დროს აკვირდებოდა და სწავლობდა ყველაფერს: ადამიანებს, აქცენტს, ენას, სხვადასხვა დეტალს, თუმცა, ბევრი რამ წინასწარ მომზადების გარეშე, ფილმში იმპროვიზაციულადაც შეუტანია.⁴

„რეკორდი“ იმ ადამიანების პორტრეტებს აჩვენებს, რომლებიც ბისთვისაც სახელსა და ღირსებას დიდი მნიშვნელობა აქვს. მას უფრთხილდებიან, ნათქვამ სიტყვას ყურადღებას აქცევენ. აქცენტი ამ მიმართულებითაა გადატანილი და ამბავიც უფრო დამუშავებული და თანმიმდევრულია. ამირან ჭიჭინაძესა და გურამ პატარაიას მოფიქრებული აქვთ საინტერესო დრამატურგიული სვლები, სცენები, ხასიათები. ფაქტობრივად, იქ, სადაც მთავრდება მოთხრობა, ფილმის ძირითადი ნაწილი იწყება.

თუ ბრავს შეუძლია, რომ ადამიანს დიდი ძალა მისცეს, მაშინ, იქნებ ღირდეს ექსპერიმენტის ჩატარება და მისი ხელახლა გაბრაზება?

დურუ ხუნჭუა ფრანტიშეკივით მევახშე და მოთამაშე არაა, მაგრამ მასავით სახელგატეხილია, როგორც უღირსი კოლმეურნე, რომელიც მხოლოდ საკუთარ ნაკვეთში მუშაობას ცდილობს.

რა კოლმეურნეა დურუ?! ისე, ყველაფრის ღირსია მაგი, ახია მაგაზე... მაგრამ, თუ არ არის დამნაშავე, არ უნდა ვთქვათ, – ახია მაგაზეო... და, თუ ჯოტია ცაავა დამნაშავე, უნდა დავსაჯოთ ჯოტია ცაავა, – ასწავლის მილიციელ ღინტუს ხუტა უფროსი.

თავიდან ხუტა უფროსსაც გაუკვირდა – ნ-კილოგრამიანი ქვა ჯოტიამ ასე შორს როგორ ისროლაო, მაგრამ, როცა ღინტუმ ის სიტყვები ჩასჩურჩულა, რომლებიც დურუმ ჯოტიას მიაძახა, ეჭვის ნატამალიც არ დარჩენია. სწორედ უშვერი სიტყვების მოსმენის შემდეგ მიეცა ჯოტიას საოცარი ძალა (მოთხრობაშიც ასეა), მაგრამ ფილმში ამას იმეორებს მაშინ, როდესაც გულისსწორის თვალში მატყუარად გამოჩენის საფრთხე ჩნდება. ორივე შემთხვევაში ის ღირსებას იცავს. ახალგაზრდა კაცი არც ჩაურაზავი „საკნიდან“ გამოდის, რადგან სიტყვა აქვს მიცემული, რომ არ გაიქცევა. როგორც ჩანს, ასეთი თვისებების გამო მოსწონს ჯოტია სატრფოსაც და ამიტომ ამართლებს მის საქციელს – უპირო კაცი არც მე მეყვარებაო – ამბობს.

⁴ საუბარია დასახელებულ ფილმზე.

რისთვის წამოიწყო დიდი ექსპერიმენტი მილიციის უფროს-მა ხუტამ? იმისთვის, რომ უფროსის წინაშე შებღალული სახელი აღიდგინოს.

მოხუცი უჩა ბიძია გამუდმებით წინაპრების ვაჟკაცობით იწონებს თავს და მათ საგმირო საქმეებზე ჰყვება.

შვილიშვილზე ბრაზდება თეოფილე გაბუნია, როცა გაიგებს, რომ დურუს ბაღში გადაპარულა და ხილი მოუპარავს, მაგრამ ათ-მაგად აღშფოთდება, როცა ეტყვიან, რომ დურუმ დაიჭირა ბავშვი და ცემა (ოღონდ, არა ქამრით). „სად ყავს თეოფილე გაბუნის დურუს გასალახი შვილიშვილები?“ – ძლივს აკავებენ გავემებულ ბაბუას.

როგორ შეიგინოს ხალხის წინაშე დურუ ხუნჭუამ? მაშინ ცხელ გულზე შეიგინა, მაგრამ ახლა ხომ სხვაა? ახლა როგორ უნდა აკადროს ეს საზოგადოებას, წინა დღეს, სუფრაზე დამეგობრებულ ჯოტიას ან საკუთარ თავს?! არც ხუტა უფროსს შეუტანია ეჭვი დურუს სიმართლეში, ჩეხი ვახმისტრისგან განსხვავებით, ტანზე რომ გაახდევინეს ახალგაზრდა კაცს და კუნთები უთვალიერეს. ჯერ ერთი, ჯოტიას ფიზიკური მონაცემები ისედაც ცნობილია მისი თანასოფლელებისთვის და მეორეც, ამას როგორ აკადრებდნენ?!

ყველანი ღირსებას და სახელს იცავენ. ფილმში კარგად ჩანს იმდროინდელი საზოგადოების ფასეულობები, ქცევები. რეალურად, ქვეყანა დიდი იმპერიის კოლონიაა, თუმცა, ცოტათი სადავემიშვებული და ამას არ იმჩნევს. ცდილობს, შეინარჩუნოს თავის-თავადობა, დანარჩენ სამყაროს კულტურით, სპორტით, მეცნიერებით, ფოლკლორით, ისტორიით ხმა მიაწვდინოს და სახელი დაიმკვიდროს. როგორც კი სახელს საფრთხე დაემუქრება, რიგითი ქართველი ამას მტკივნეულად აღიქვამს და ბრაზდება.

დასრულებული ფილმი მოსკოვის ცენზორებმა ჩაიბარეს, მიიღეს, თუმცა, ეთერში გაშვება დაგვიანდა. ბოლოს რეჟისორი შინაგან საქმეთა სამინისტროში მინისტრ კონსტანტინე კეთილაძესთან დაიბარეს. შოთა გორგოძის (რომელიც მაშინ შინაგან საქმეთა სამინისტროში სამმართველოს უფროსად მუშაობდა) მოყოლილით, კეთილაძე კარგი კაცი იყო, ხელოვნებაში ჩახედული, მაგრამ შეუჩინდნენ, რომ „რეკორდის“ საკითხი კოლეგიაზე განეხილათ და მიეღოთ დადგენილება – პარტიის ცენტრალური კომიტეტის წინაშე ფილმის აკრძალვის თაობაზე, რადგან მილიციის მუშაკების ავტორიტეტის შემლახველიაო.

გორგოძე აკრძალვის წინააღმდეგი გამოსულა. ედუარდ შევარდნაძეს, რომელიც პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი იყო და კოლეგიას ესწრებოდა, საერთოდ არაფერი უთქვამს. იმავე საღამოს 10 საათზე ფილმი ტელევიზიით აჩვენეს. როგორც ჩანს, შსს-ში სხდომის საპასუხოდ, პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ, შევარდნაძის ხელმძღვანელობით, ფილმის ჩვენებას ნება მისცა.

ამბობენ, იმ სხდომაზე განსაკუთრებით უფროსი ასაკის ჩინოსნები ხმაურობდნენო. ალბათ, ახსოვდათ დრო, როდესაც მილიციელი ძლიერი და შიშისმომგვრელი უნდა ყოფილიყო. მაგრამ ეს უკვე სამოცდაათიანი წლები იყო და მილიციელებს სულ ცოტა იუმორი არ ეყოთ, რომ მიმხვდარიყვნენ - ამ ფილმით კი არ ილანძლებოდნენ, არამედ პირიქით, მაყურებლის თვალში, სასაცილოსთან ერთად, უფრო ადამიანურები და საყვარლებიც კი ჩანდნენ. აქაც ღირსების საკითხი იდგა (როგორც მათ ესმოდათ), ღირსების და სახელის.

ჩაპეკის მოთხრობიდან პატარაიას ფილმამდე სახე იცვალა სიუჟეტმაც, პერსონაჟებმაც, დრომ და ადგილმა, სათქმელმა. ფილმის გადაღებიდან დღემდე დაახლოებით ნახევარი საუკუნე გავიდა. დღეს რა ფასეულობებით ვცხოვრობთ? რამ შეიძლება გაგვაბრაზოს ისე, რომ საკუთარ თავსაც ვაჯობოთ? დღეს რის გამო ვამყარებთ ან არ ვამყარებთ რეკორდებს?

ბიბლიოგრაფია:

- ჩაპეკი კ., რეკორდი, კრებული „რჩეული მოთხრობები“, გამომცემლობა „დია“, თბ., 2008.
- დოკ. ფილმი „რეკორდი“ 40 წლის შემდეგ“, 2015 <https://www.youtube.com/watch?v=8hpfJ4skMpM>
- მხატვრული ფილმი „რეკორდი“, 1974, <https://1tv.ge/video/mkhatvruli-filmi-rekordi/>

ხელოვნებათმცოდნეობა

რუსუდან დოლიძე,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
ხელმძღვანელი – ასოცირებული პროფესორი ეკა კიკნაძე

რეზიუმე

დიმიტრი შევარდნაძე, როგორც მხატვარი, საინტერესო და მრავალფეროვან ფიგურას წარმოადგენს. მისი მცირერიცხოვანი მხატვრული მემკვიდრეობის შესწავლისას, იკვეთება საკუთარი მხატვრული ენის ძიების ტენდენცია. მხატვარი მიმართავს თანადროული თუ იმ პერიოდისთვის უკვე ისტორიულად არსებული მხატვრულ-სტილისტური ტენდენციების რაციონალურ გადააზრებას და საკუთარი ორიგინალური ხედვით მათ ინტერპრეტირებას. ეს არასდროს არაა რემინისცენციის ან რაიმეს კოპირების მაგალითი, ეს უფრო საფუძვლიანი ინტელექტუალური მუშაობის შედეგია. სამწუხაროა, რომ ამ მუშაობისა და ძიებების შედეგის მხილველები ჩვენ ველარ აღვმოჩნდით – როგორც ცნობილია, სამშობლოში დაბრუნებულმა მხატვარმა თავი სრულად საზოგადოებრივ საქმიანობას მიუძღვნა, მას დრო არ რჩებოდა ხატვისთვის, რაზეც წუხდა კიდევ. მისი, როგორც საზოგადო მოღვაწის, კვალი განუზომელია ქართული მხატვრული კულტურის ისტორიაში.

დიმიტრი შევარდნაძის შემოქმედება მოდერნისტული მხატვრობის კონტექსტში

*საკვანძო სიტყვები: მოდერნიზმი, პორტრეტი, რომანტიზმი,
პოსტიმპრესიონიზმი, ექსპრესიონიზმი*

მხატვარ დიმიტრი შევარდნაძის (1885-1937) ხანმოკლე მოღვაწეობა საქართველოს კულტურის განვითარების ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებს ემსახურებოდა. მას განუზომელი წვლილი მიუძღვის ქართული სამუზეუმო საქმის, კოლექციების შეკრების, ძეგლების გადარჩენისა და დაცვის, სამხატვრო აკადემიის ფორმირების, მხატვართა შემოქმედებითი გაერთიანების, ახალგაზრდა მხატვრებისთვის ხელშეწყობის, მათი საზღვარგარეთ სწავლის

ორგანიზებაში. მის მხატვრად ფორმირებაზე დიდი გავლენა მოახდინა გერმანიაში მიუნხენის სამხატვრო აკადემიაში სასწავლებლად გამგზავრებამ. 21 წლის დიმიტრი შევარდნაძე მიუნხენში 1906 წელს გაემგზავრება 10 წლით. იმ რეალობის დაახლოებით წარმოსადგენად, რომელიც ახალგაზრდა მხატვარს გერმანიაში სწავლის პერიოდში დახვდა, ვფიქრობ, საინტერესოა ამ პერიოდის ევროპული მხატვრული კულტურის მოკლე მიმოხილვა.

როგორც ცნობილია, XIX საუკუნე ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში წარმოშობილი მხატვრული სტილების მრავალფეროვნებით გამოირჩევა. საუკუნის დასაწყისში ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ ტალღას რომანტიზმი წარმოადგენდა, რომელსაც მისივე მნიშვნელოვნების რეალობი მოჰყვა. ამათთან ერთად, 1848 წელს ბრიტანეთში პრერაფაელიტები გამოჩნდნენ, 1872 წელს პარიზში იმპრესიონისტებმა გამართეს მათი ცნობილი გამოფენა, რომელსაც 1880 წლიდან ასევე უმნიშვნელოვანესი ეტაპი მოჰყვა პოსტიმპრესიონიზმის სახით. 1886 წელს სიმბოლისტების მანიფესტი დაიბეჭდა გაზეთ „ფიგაროში“. 1888 წელს პოლ გოგენმა და ემილ ბერნანმა კლუაზონიზმი ჩამოაყალიბეს. 1891 წელს გამოჩნდნენ ნაბისტები, 1895 წელს კი ბრიტანეთში სტილი „მოდერნი“ წარმოიშვა. ეს ტენდენცია მე-20 საუკუნის დასაწყისშიც გაგრძელდა. 1905 წელს, მაშინ, როცა საფრანგეთში ფოვისტები გამოვიდნენ ასპარეზზე, გერმანიის ქალაქ დრეზდენში ექსპრესიონისტთა ჯგუფი „ხიდი“ ჩამოყალიბდა. დაახლოებით 1907 წლიდან აღმოცენდა კუბიზმი, 1909-დან კი – ფუტურიზმი. 1909-11 წლებში მიუნხენში ვასილ კანდინსკიმ და ფრანც მარკმა შექმნეს დაჯგუფება „ლურჯი მხედარი“. 1910 წელს ბერლინში დაარსდა ჟურნალი „შტორმი“ (Der Sturm), რომელიც ევროპული ავანგარდული ხელოვნების ერთ-ერთ მთავარ ძალას წარმოადგენდა.¹ 1911 წელს პარიზში გაჩნდა ორფიზმი და სხვა. ჩამონათვალი, შესაძლოა გავაგრძელოთ, თუმცა, ყოველივე ზემოხსენებული, ვფიქრობ, საკმარისია იმ მრავალფეროვნების წარმოსადგენად, რომელსაც აკადემიური სახის მხატვრობის მიღმა მოწინავე მხატვრული იმპულსები განსაზღვრავდა. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, დიმიტრი შევარდნაძე, მიუნხენში სწავლის პერიოდში, 1906 წლიდან 1916 წლამდე, მეტ-ნაკლებად ყველა ამ პროცესის მოზიარე და მომსწრე იქნებოდა – თუ გავითვალისწინებთ მიუნხენის კულტურული ცხოვრების ინტენსივობა-

¹ Турчин, По лабиринтам, 1993, с. 84.

საც. შემდგომში ვეცდები, შეძლებისდაგვარად განვიხილო დიმიტრი შევარდნაძის მხოლოდ ის ნამუშევრები, რომლებიც ცნობილია, რადგან საცავში მუშაობის საშუალება, არსებული ვითარების გამო, არ შეძლება.

განხილვა დავიწყოთ მხატვრის ავტოპორტრეტით, შეიძლება ითქვას (არსებული მასალის მიხედვით), მისი პროგრამული ნამუშევრით, რომელიც 1910 წელსაა შესრულებული ტილოზე ზეთის საღებავებით, ზომით 42X35 სმ. (მცირე ზომა მხატვრის ბიოგრაფიაში ხშირ შემთხვევაში ხელმოკლეობით იყო განპირობებული).

ნამუშევარი წარმოგვიდგენს ახალგაზრდა მამაკაცის მკერდამდე გამოსახულებას, რომელიც მაყურებლისკენ $\frac{3}{4}$ ბრუნით არის მოტრიალებული. ნამუშევარში ჭარბობს მოყვითალო, მოყავისფრო ფერები, რომლითაც ფონი და მხატვრის სახეა შესრულებული. მკაფიოდ იკვეთება მუქი მოყავისფრო ტონი მხატვრის ხშირი თმის სახით. ხოლო კომპოზიციის ქვედა ნაწილში დომინირებს მოლურჯო ფერები, რითაც შესრულებულია მხატვრის პერანგი ცენტრში თეთრი (მაისურის) ფრაგმენტით. ფორმის ფერწერული მოდელირების თვალსაზრისით, გვხვდება მომწვანო და მოწითალო ფერებიც, თუმცა საბოლოოდ წამყვანი მაინც თბილი მოყვითალო ტონია, რაც ნამუშევრის ფერწერულ-დეკორატიულ გამომსახველობას უწყობს ხელს.

უპირველესად, რაც თვალში გვხვდება, წერის თავისუფალი მანერაა, ფერწერულობა, ფაქტურის გამოვლენისა და მისი მნიშვნელოვნების ხაზგასმა. კოლორიტის გათვალისწინებით, მიდგომა, რომელიც მონასმის გამოკვეთას, მის მნიშვნელოვნად ექსპრესიულ და ინტენსიურ ხასიათს გულისხმობს, მთლიანობაში მხატვრული სახის ემოციურ გამოსახულებასა და სიმძაფრეს განსაზღვრავს.

მხატვარს თავისი თავი წარმოდგენილი ჰყავს ახალგაზრდა მამაკაცად, რომელსაც სევდიანი, ჩაფიქრებული, ოდნავ შეშფოთებული გამოხედვა აქვს. საკუთარი თავის შეცნობის პროცესში, თითქოს, მისი წამიერი დაფიქსირების სურვილით არის ეს ნაწარმოები შექმნილი. ნატურის მაყურებლისგან ოდნავ ქვევით დახრილი თვალები, მართლაც ასახავს მხატვრის თავმდაბლობას და მის მოკრძალებულ ბუნებას, რაც არაერთგზის გამოიკვეთა დიმიტრი შევარდნაძის ბიოგრაფიულ ცნობებსა თუ მოღვაწეობის პერიოდში. ნაწარმოებს დაჰკრავს აშკარა რომანტიკული იერი. რომანტიზმის პერიოდისთვის მსგავსი ფაქტურულობა არ იყო დამახა-

სიათებელი, ეს უფრო პოსტიმპრესიონიზმის მონაპოვარია, თუმცა ემოციურ-კომპოზიციური კავშირი ეჟენ დელაკრუას 1837 წლით დათარიღებულ ავტოპორტრეტსა და დიმიტრი შევარდნაძის ავტოპორტრეტს შორის ნამდვილად არის (ვინაიდან შევარდნაძე გერმანიაში მოგზაურობდა, ყველა შესაძლებლობაზე ნამუშევრების პირებს აკეთებდა).² თუ რამდენად ირეკლება მასთან ევროპული მხატვრული გამოცდილება, იმის განხილვა, ვფიქრობ, საინტერესო იქნებოდა მაგალითების მიხედვით.

მსგავსება უპირველესად მდგომარეობს მოდელის პოზასა და კომპოზიციურ ჩანაფიქრში – ორივე შემთხვევაში $\frac{3}{4}$ ბრუნი მაყურებლისკენ და ოდნავ ქვევით მიმართული მხერა. ბევრია პორტრეტული მსგავსებაც – ორივე ენერგიულ ახალგაზრდა მამაკაცს ამშვენებს ულვაში, ტალღოვანი მოწაბლისფრო თმის თითქმის იდენტური ვარცხნილობა. დელაკრუას შემთხვევაში ნამუშევარი მოზრდილი ზომისაა, ფონი უფრო ნეიტრალური, რომანტიზმისთვის ჩვეულ მშვიდ მოყავისფრო ტონალობაში, რაც მთლიანად მოდელზე კონცენტრირების საშუალებას გვაძლევს. მუქ ყავისფერ ტონებზე მხატვრის მარმარილოსებრი სახე ანათებს, აქტიური შუქ-ჩრდილის საშუალებით მხატვარი შემოქმედი ადამიანის ძალზედ გამომსახველ, ერთგვარად ტიპურ პორტრეტს ქმნის. ამ მხრივ საინტერესოა, რომ დიმიტრი შევარდნაძისთვის შუქ-ჩრდილი უგულებელყოფილია, ფორმა იძერწება ფერით და ფერის მკვეთრი ინტენსიური მონასმებით. შევარდნაძის ავტოპორტრეტი მსგავსებას პოსტიმპრესიონისტული წრის მხატვრებთან ავლენს, კოლორიტის თვალსაზრისითაც ის ვან გოგის ნამუშევრებს გვაგონებს. მაგალითად ვან გოგის ავტოპორტრეტები შეიძლება მოვიყვანოთ. მისი მრავალი ავტოპორტრეტიდან ერთ-ერთი, 1887 წელს შესრულებული, ვფიქრობ, კარგი შესადარებელია (ტილო ზეთი 34/26). პირველი აღსანიშნავია ზომა, რითაც ის ძალიან ახლოს დგას შევარდნაძის პორტრეტთან; შემდეგ – კომპოზიციური წყობა – ორივე პორტრეტი თითქმის სრულად ავსებს სასურათე სიბრტყეს და, შესაბამისად, ფონი მცირე მონაკვეთით არის წარმოდგენილი (განსხვავებით დელაკრუას პორტრეტისაგან, რომელიც ზომითაც აღემატება ჩვენ მიერ განხილულ პორტრეტს და, ასევე, ბევრად დიდი სივრცეა მოდელის უკან); იგივე $\frac{3}{4}$ ბრუნი მაყურებლისკენ, თვალები მიმართული ოდნავ ქვევით, მოცისფრო პერანგი და სხვა.

² აბესაძე, ბაგრატიშვილი, დიმიტრი, 1998, გვ. 15.

ფაქტურა, რა თქმა უნდა, ორივე შემთხვევაში ძალიან ნათლად იკვეთება. განსხვავებულია მონასმები – ერთ შემთხვევაში ვან გოგისთვის დამახასიათებელი მოკლე, ინტენსიური მონასმებით ხდება ფორმის ფერწერული მოდელირება. შევარდნაძესთან, ცხადია, არის სიმძაფრე, თუმცა ქართული სახვითი ესთეტიკისათვის ჩვეული გარკვეული თავშეკავებულობით (ეს განსაკუთრებით იკვეთება პორტრეტში სახის მარცხენა მხარის დამუშავებისას). საინტერესოა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში შევარდნაძე უფრო მეტად ავლენს მოდერნულობას, ზოგში – ვან გოგი. მაგალითად, ვან გოგთან სრულიად პირობითადაა გამოსახული მოცისფრო პერანგის ნაწილი. შევარდნაძესთან პერანგის გამოსახვისას დაცულია მეტი სიზუსტე და სიღრმის ჩვენება ნაცადი (ქსოვილის ნაკეცის გათვალისწინებით). ამავე დროს ვან გოგისთვის, როგორც ჩანს, მაინც სენსიტიური ნაწილია ყური და მისი გამოსახვა, ის მეტად დამაჯერებლად არის წარმოდგენილი და კოლორიტული აქცენტითაც იკვეთება, შევარდნაძე კი ყელის და შემდეგ ყურის სრულიად პირობითი გამოსახულებებით იფარვლება.

სავარაუდოა, რომ შევარდნაძის ავტოპორტრეტი სარკის დახმარებით არის შექმნილი. როგორც ცნობილია, მხატვარი ფოტოატელიეში მუშაობდა და, შესაბამისად, ფოტოც ადვილი ხელმისაწვდომი იყო მისთვის.³ თუმცა, ეს ავტოპორტრეტი ძალიან ცოცხალია, ის თითქოს ახლა, რამდენიმე წამის წინ დასრულდა, დააფიქსირა და აღწერა წამი და ამ წამში გააერთიანა ძალზე ნიჭიერი, ენერგიული, განათლებული, თავმდაბალი, შეფარული არტისტულობით განმსჭვალული ახალგაზრდა კაცის სახე (ამ პორტრეტის შექმნისას მხატვარი 25 წლისაა). ავტოპორტრეტში ჩვენ ვერ ვხედავთ საკუთარი პიროვნების განსაკუთრებულობის აღმოჩენის, ან რაიმეს მტკიცების სურვილს. ეს არაა საზოგადოებისთვის რაიმე კონკრეტული გზავნილის შემცველი პორტრეტი. ის თავშეკავებული და მოზომილია, განსაკუთრებული მღელვარებებისა და სიმძაფრის გარეშე. დიმიტრი შევარდნაძე ავტოპორტრეტში ტიპურად, ზოგადად მხატვრის პორტრეტისთვის მოცემულ განზოგადებულ სახეს უფრო ქმნის (კონკრეტული ნიშნების გათვალისწინებით). ის გამოკვეთილი პასუხისმგებლობის გრძნობა, რომელიც მხატვარს მისი მოღვაწეობის ყველა ეტაპზე ახასიათებდა, ამ პორტრეტშიც კარგად ჩანს. ზემოთ აღვნიშნე „წერის თავისუფალი მანერა, ფერწერუ-

³ იქვე, აბესაძე, ბაგრატიშვილი, დიმიტრი, 1998, გვ. 14.

ლობა“, რაც ნამდვილად ასეა, თუმცა დაკვირვებული თვალისთვის აშკარაა თითოეული მონასმის წინ რაციონალური მსჯელობის, მისი განსაზღვრისა და აქტიური მუშაობის კვალი. პორტრეტი მხატვრის მაღალი ხარისხის ოსტატობას და მის ფართო მხატვრულ დი-აპაზონს გვიჩვენებს.

შემდეგი ნამუშევარი, რომელსაც განვიხილავ, არის „არლეკინი“ (ზეთი, მუყაო, 52X36 სმ.). კომპოზიციაზე წარმოდგენილი ანფასში წელამდე გამოსახული შუახნის მამაკაცის პორტრეტი. სახელწოდების მიხედვით, ის საესტრადო მსახიობია და მის ამ სახეში სახასიათო პოზა, მიმიკა და ჟესტიკულაციაა გაერთიანებული. ნამუშევრის ექსპრესიულობას, უპირველესად, განსაზღვრავს მსახიობის სახე – დაჭიმული თვალები, აქაჩული წარბები, ნაკვეთები. ასევე ხელის მტევნის სტილიზებული, მაჯაში არაბუნებრივად მოხრილი ფორმა, რომელიც გრძელი, დაჭიმული თითების გამოსახულებით გრძელდება. მამაკაცს თავზე შავი შლაპა ახურავს, აცვია შავი პიჯაკი (ფრაკი) თეთრი პერანგით, რომელსაც ყელთან მოწითალო ბაფთა ამშვენებს, ხელში რაღაც საგანი უჭირავს (სავარაუდოდ – ლუდის დახურული კათხა). ფონი ძირითადად ლურჯზე მოწითალო და მოყვითალო ტონებითაა წარმოდგენილი. მხატვარს თითქოს ზღაპრული, მირაჟისებური მინისამყარო აქვს შექმნილი არლეკინის გარშემო (თუმცა, მინდა აღვნიშნო, რომ არა ასეთი ფერები, მუქ ნეიტრალურ ფონზე ეს მხატვრული სახე მეტად გამომსახველი იქნებოდა).

ფორმალისტური მიდგომა აქაც აშკარაა, განსაკუთრებით სახისა და ყელის ნაწილში, რომელიც, დამუშავების თვალსაზრისით, ახლოს დგას უკვე განხილულ ავტოპორტრეტთან. საინტერესოა ნამუშევრის ქვედა ნაწილი, რომელზეც მშრალი ფუნჯით ფორმის მოდელირების განსხვავებულ ხერხს ვხედავთ.

ხელოვნებათმცოდნეობით ლიტერატურაში, კერძოდ, მკვლევარ ირინა არსენიშვილთან აღნიშნულია, რომ ეს ნამუშევარი აშკარა მსგავსებას გერმანულ ექსპრესიონიზმთან პოულობს.⁴ ავტორი დასძენს, რომ ეს მსგავსება „ფორმალური ენის ექსპრესიულობაში ვლინდება, ხოლო მხატვრული მეთოდი პრინციპულად განსხვავებულია და ადგილი აქვს ნატურის დეფორმაციას და არა მის უარყოფას, როგორც ეს გერმანულ ექსპრესიონისტებთან გვხვდება“.⁵

⁴ არსენიშვილი, ქართული, 2017, გვ. 81.

⁵ იქვე, არსენიშვილი, ქართული, 2017, გვ. 81-82.

მეც ვფიქრობ, რომ ამ ნაწარმოებს გერმანულ ექსპრესიონიზმთან დიდად საერთო არაფერი აქვს, მხატვრის მხრიდან ფორმის განსაკუთრებული გამომსახველობის და მისი აქტიური ინტერპრეტაციის სურვილის გარდა. ამ მიზნისთვის, დიახ, შევარდნაძეც და გერმანელი ექსპრესიონისტებიც ფორმის უკიდურეს სტილიზაცია-დეფორმაციას მიმართავენ (ხელის უესტი, მტევანი), თუმცა, პრინციპულია ძირითადი სხვაობა, რაც აღნიშნულიც აქვს ირინა არსენიშვილს, რომ ნატურა არაა უარყოფილი – შესაბამისად არაა უარყოფილი სიღრმე, ფორმის მოდელირება და სხვა,⁶ ექსპრესიონისტებთან ნახატი ძალზედ გამარტივებულია, დაყვანილია ლოკალური, კონტრასტული ლაქების დიფერენცირებისთვის (ხშირ შემთხვევაში მნიშვნელოვანია კონტური და მისი როლი ფორმისა და კომპოზიციის აგებისას) და სხვა. შევარდნაძესთან სულ სხვაა მიზანი და მხატვრული გადაწყვეტა. აქ საქმე გვაქვს უფრო ეპოქის გამოწვევებზე მხატვრის რეაქციასთან. ზოგადად ემოციურ-ინტელექტუალური პროცესების თანაზიარობის ფონზე, შესაბამისი რეპლიკის, საერთო რაიმე ნიშნის პოვნა იმ პერიოდის სხვადასხვა ცნობილ მხატვართან, ადვილია.⁷ ზოგადად, პირველი და მეორე თაობის ქართველი პროფესიონალი მხატვრებისგან განსხვავებით, რომლებიც სხვადასხვა მცდელობის და მაგალითის მიუხედავად, ძირითადად რეალისტური ფერწერის ტენდენციას ავითარებდნენ (და ეს სრულიად კანონზომიერი და ბუნებრივი იყო, მოსე თოიძის გამოკლებით, რომელიც გამორჩეულად წინ უსწრებდა მის უფროს კოლეგებს და თავისი „პროგრესულობით“ ქართული მოდერნიზმის სადავეებთან იდგა). 1910-იან წლებში არსებული მხატვრების თაობა იმ მრავალფეროვნებას ეხმიანება, რაც უკვე ფეხადგმული რეალიზმიდან აჩქარებული ტემპით საერთო ევროპული მხატვრუ-

⁶ ამ მხრივ საგულისხმოა, რომ „არლეკინში“ ექსპრესიულობის შთაბეჭდილებას მაყურებელზე ახდენს მხატვრული სახის დაჭიმული ნაკვთები და პროპორციადარღვეული ხელის მტევნის ფორმა (მათი ინტერპრეტაცია). გერმანულ ექსპრესიონისტებთან ასე პირდაპირ გაგებელი სახის ნაკვთის ექსპრესიის ნიმუში, ძნელი მოსაძებნია. ექსპრესიისა და ფორმის ძლიერი გამომსახველობის მიღწევისთვის სხვა ხერხები და საშუალებებია გამოყენებული.

⁷ ავტოპორტრეტის რომანტიზმის მხატვრობასთან ემოციური კავშირი უდავოა, ხოლო „არლეკინში“ ავტორის მიერ მხატვრული სახის ექსპრესიონისტულ გადაზრებას ვხედავთ, ამ მხრივ საგულისხმო იქნებოდა ვ.ს. ტურჩინის ციტატა – „ექსპრესიონიზმი, ეს არაა სამყაროს შეცნობა, მაგრამ ერთმნიშვნელოვნად მისი განცდის გარკვეული საშუალებაა. ამით ის ახლოს დგას რომანტიზმთან, რის მემკვიდრედაც ის გვევლინება“. Турчин, По лабиринтам, 1993, გვ. 73

ლი ტენდენციების დაწევას და ათვისებას გულისხმობს.

ქართული მოდერნიზმის ისტორიის შესწავლის კუთხით, შეიძლება ითქვას, რომ შევარდნადის ავტოპორტრეტი ქართული პოსტიმპრესიონიზმის ნიმუში უფროა. „არლეკინი“ ქართული ექსპრესიონიზმის მაგალითია და მასთან ერთად, შეიძლება, განიხილებოდეს სხვა ქართველი მხატვრების ნამუშევრებიც, მაგალითად, როგორებიცაა ლადო გუდიაშვილის სერიების რიგი, შალვა ქიქოძის ნამუშევრები და სხვა, თუმცა, ეს შემდგომი კვლევების საგანია.

დიმიტრი შევარდნადის ნამუშევრები, როგორც ეს არაერთხელ აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში, ერთ კონკრეტულ ხაზს არ მიუყვება. მისი შემოქმედება სხვადასხვა სტილის და ტენდენციის ინტერესი და საკუთარი მხატვრული ენის ფორმირების პროცესის ამსახველი უფროა. ვხვდებით როგორც აკადემიური სახის პორტრეტებს („მათემატიკის მასწავლებლის ვასილევის პორტრეტი“ და სხვა.), ასევე მეტად თავისუფალი მანერით შესრულებულ პორტრეტებს („ბავარიელი კაცის პორტრეტი“, „ბავარიელი ქალების პორტრეტები“ და სხვა). ზოგ შემთხვევაში გერმანული რეალიზმის მხატვრების ნამუშევრები წარმოგვიდგება თვალწინ („ქალი საკერავით“), ზოგში კი – ფრანგული მოდერნის („ქალის პორტრეტი“). საგულისხმოა ნატურმორტებიც – ერთ შემთხვევაში აშკარაა იმპრესიონისტული ფორმის აღქმა, სხვებში გამოკვეთილია პოსტიმპრესიონიზმის ნიშნები. ქალის შიშველი ნატურების ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს მხატვრული სახის, ფორმისა და ფაქტურის მოდერნისტულ აღქმასთან და ასე შემდეგ.

საბოლოოდ, კვლავ უნდა აღინიშნოს, რომ დიმიტრი შევარდნადი, როგორც მხატვარი, უდავოდ საინტერესო შემოქმედებითი პოტენციალის მატარებელია. მის თაობაში, გამორჩეულად მაღალი ხარისხის მხატვრული ნიმუშების ავტორობის გარდა, ის მრავალმხრივი ძიებების, სხვადასხვა სტილის მოსინჯვისა და მაღალ ხარისხში გადამუშავების ძალიან საინტერესო მაგალითია. ქართული მოდერნისტული მხატვრობის ისტორიისთვის დასანანია ამ შემოქმედებითი გზის განვითარების გაწყვეტა, რადგან ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მაქვს საფუძველი ვიფიქრო, რომ დიმიტრი შევარდნადის მხატვრული შემოქმედება კიდევ მრავალ საგულისხმო ნამუშევარს დაგვიტოვებდა, რომლებიც ამ პერიოდის ქართული მხატვრობისთვის განმსაზღვრელი და შემდგომი თაობებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნებოდა. მისი თითქოს

გაუბედაობა, ზოგ შემთხვევაში მხოლოდ მხატვრის ძიების, მისი მხატვრული სტილის ფორმირების პროცესზე მეტყველებს, რომლის შედეგებიც, სამწუხაროდ, ჩვენ ველარ ვიხილეთ ჯერ საკუთარი თავის საზოგადო მოღვაწეობისთვის მიძღვნის, ხოლო შემდგომ 1937 წელს ტრაგიკული დასასრულის გამო.




დომიტრი შევარდნაძე, ავტოპორტრეტი, 1910. ტილო, ზეთი, 35 X42 სმ.
საქართველოს ეროვნული მუზეუმი, თბილისი



ევენ დელაგრუა, ავტოპორტრეტი, 1937.
ტილო, ზეთი, 54,5 X65 სმ.
ლუვრის მუზეუმი, პარიზი



ვინსენ ვან-გოგი, ავტოპორტრეტი
ჩალის ქუდში, 1887. ტილო, ზეთი,
54,5 X 65 სმ. დეტროიტის
ხელოვნების ინსტიტუტი, ამერიკა



ადოლფ მენცელი, ძმის (რიჩარდის)
პორტრეტი, 1846.
ტილო, ზეთი



დომიტრი შევარდნაძე,
არლეკინი, მუყაო, ზეთი,
36X56 სმ. საქართველოს
ეროვნული მუზეუმი, თბილისი



ერნსტ ლუდვიგ კირხნერი,
ავტოპორტრეტი როგორც ჯარისკაცი,
1915. მუყაო, ზეთი. 61X69 სმ. ალენის
ხელოვნების მემორიალური მუზეუმი,
ამერიკა



ანდრე დერენი, ავტობორტრეტი ქუდში, 1905. ზეთი, ტილო. დერენის კოლექცია, საფრანგეთი



ეგონ შილე, ავტობორტრეტი ფარშევანგისფერ უილეტში, 1911. გუაში, აკვარელი და ფანქარი ქალაღღზე, 31,4 X44,8 სმ. ერნსტ პლოილის კოლექცია, ვენა

ბიბლიოგრაფია:

- აბესაძე ი., ბაგრატიშვილი ქ., დიმიტრი შევარდნაძე, თბ., 1998.
- არსენიშვილი ი., ქართული დაზგური ფერწერა XVIII საუკუნის მეორე ნახევარი - XX საუკუნის 10-20-იანი წლები, თბ. 2017.
- დანტო კ. ა., ხელოვნების დასასრულის შემდეგ, თ.ს.ს.ა. 2014.
- კიკნაძე ე., წითელი ტერორი და ქართველი მხატვრები, თბ. 2019.
- კინწურაშვილი ქ., XX საუკუნის ხელოვნება, თბ. 2019.
- ციციშვილი მ., ჭოღოშვილი ნ., ქართული მხატვრობა-განვითარების ისტორია XVIII-XX საუკუნეები, თბ. 2013.
- Janson H. W., History of Art, Third Edition, New York, 1986.
- Stokstad M., Art History, Columbia, 1999.
- Беридзе В., Езерская Н., Искусство Советской Грузии, 1921-1970, Москва, 1975.
- Куликова И. С., Экспрессионизм в Искусстве, Москва, 1978.
- Сарабьянов Д. В., Стилль Модерн, Москва 1989.
- Турчин В. С., По Лабиринтам Авангарда, Москва, 1993.

მედიის კვლევები

თეა ჭანტურია,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორი
სამეცნიერო ხელმძღვანელი – პროფესორი
ალექსანდრე ვახტანგოვი

რეზიუმე

ნაშრომის საკვლევი თემაა „ციფრული ტექნოლოგია, როგორც კულტურის ფორმა“, რომელიც შეისწავლის ციფრული ტექნოლოგიის და კულტურის კვეთას, ასევე, დიגיტალური ტექნოლოგიების მზარდ გავრცელებას და მათ გავლენას ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტზე. კვლევის მიზანია, გავაღრმავოთ ჩვენი გაგება ციფრული ტექნოლოგიებისა და კულტურის კომპლექსური ურთიერთობის შესახებ. აქტუალობის თვალსაზრისით წარმოგიდგინთ რამდენიმე ასპექტს. საყოველთაო გავლენაა ის, რომ ციფრული ტექნოლოგია გახდა ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი. გაჯეტები, სოციალური ქსელები, აპლიკაციები და ასე შემდეგ შეიძლება, კომუნიკაციის ინსტრუმენტებად მივიჩნიოთ. ციფრული საკომუნიკაციო პლატფორმების განვითარებამ გავლენა მოახდინა სოციალურ ქცევასა და კულტურულ ნორმებზე, იმოქმედა კულტურულ მრავალფეროვნებაზე, იდენტობის ფორმირებასა და იდეების გავრცელებაზე. გარდა ამისა, ციფრულმა ტექნოლოგიამ დააჩქარა ინფორმაციის გავრცელება. თუმცა, ამას როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგები აქვს, სასწრაფო რეაგირების ხელშეწყობიდან დეზინფორმაციის პოტენციურ გავრცელებამდე. ამასთან, ინტერნეტმა, ციფრულმა კომუნიკაციამ უზრუნველყო უპრეცედენტო გლობალური კავშირი. საკითხებს შორისაა ციფრული განათლება – ციფრულ ეპოქაში ინფორმაციის ადეკვატური ნავიგაცია და ინტერპრეტაცია მეტად მნიშვნელოვანია. ეფექტური პროგრამები საშუალებას მისცემს ადამიანებს, მიიღონ დასაბუთებული გადაწყვეტილებები.

საკვლევი თემა ასოცირებულია რამდენიმე პოტენციურ პრობლემასთან: ციფრული განხეთქილება, კონფიდენციალურობა/უსაფრთხოება, დეზინფორმაცია, ციფრული დამოკიდებულება, პირისპირი კომუნიკაციის ეროზია, ეთიკური დილემები, გარემოზე

ზემოქმედება და ასე შემდეგ. დასკვნის სახით დგინდება, რომ ციფრული ტექნოლოგიები გავლენას ახდენს პირადი და პროფესიული ცხოვრების სხვადასხვა ასპექტზე, აყალიბებს კულტურას, საზოგადოებას და ურთიერთობებს.

ციფრული ტექნოლოგია როგორც კულტურის ფორმა

საკვანძო სიტყვები: დიגיტალიზაცია, ტექნოლოგია, კულტურა, ციფრული კომუნიკაციის საშუალებები

ციფრული ტექნოლოგიების, როგორც კულტურის ფორმის, შესწავლისას უნდა დავფიქრდეთ კავშირების რთულ ქსელზე, რომელიც აერთიანებს ტექნოლოგიას და კულტურას და ახდენს ღრმა გავლენას კაცობრიობის აწმყოსა და მომავალზე.

XXI საუკუნის სწრაფად განვითარებად და ცვალებად ლანდშაფტზე, ციფრული ტექნოლოგია ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა. თავისი უტილიტარული ფუნქციების გარდა, ციფრულმა ტექნოლოგიამ გამოიწვია ფუნდამენტური ცვლილებები კომუნიკაციაში, თვითგამოხატვაში, გარე სამყაროსთან ურთიერთობაში. დიგიტალურ ტექნოლოგიას და კულტურას შორის მომხიბლავი ურთიერთობა გვიჩვენებს, თუ როგორ გავლენას ახდენენ ისინი ერთმანეთზე. ციფრულ ეპოქაში ნავიგაციისას სულ უფრო ცხადი ხდება, რომ ტექნოლოგია და კულტურა მჭიდროდ არის გადაჯაჭვული, რაც ქმნის ჩვენი „გლობალური საზოგადოების“ არსს. ინტერნეტის გარიჟრაჟიდან სოციალური მედიის, ვირტუალური რეალობის და ხელოვნური ინტელექტის გაჩენამდე თითოეულმა ტექნოლოგიურმა ნახტომმა წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენი კულტურული გობელენის ქსოვილზე.

ტექნოლოგიების გავლენა ვრცელდება ადამიანის ცხოვრების ყველა ასპექტზე, სამსახურიდან და სახლიდან კულტურულ ღონისძიებებამდე, განათლებამდე, სპორტზე, ტურიზმზე, ჯანდაცვასა და სამეცნიერო კვლევებზე. ჩვენ ვცხოვრობთ სპეციალურად სტრუქტურირებულ ტექნიკურ გარემოში, რომელიც თანაარსებობს, როგორც შედარებით დამოუკიდებელი „მესამე სამყარო“ ინტერპერსონალურ და ბუნებრივ სფეროებთან ერთად. ტექნოლოგიური პროგრესი საზოგადოების წარმატების გარანტიაა და უმთავრეს

როლს ასრულებს ადამიანის საწარმოო ძალებსა და კულტურის განვითარებაში.¹

სამეცნიერო ტექნიკურმა პროგრესმა შექმნა თანამედროვე ტექნოგენური ცივილიზაცია, რამაც უპრეცედენტო გავლენა იქონია ზოგადად კულტურაზე, ყველა ტიპის ტრადიციულ ხელოვნებაზე. მან წარმოშვა კულტურის ახალი სივრცე და ხელოვნების უახლესი სახეობები, რომლებიც ჩამოყალიბებულია მხოლოდ ტექნოლოგიურ საფუძველზე.²

ინდოეთის განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის წარმომადგენელი, ტამილნადუს უნივერსიტეტის მეცნიერი ერ რაჯა გამოთქვამს მოსაზრებას, რომ „ტექნოლოგია ღმერთის საჩუქარია. სიცოცხლის შემდეგ, ეს არის, ალბათ, ყველაზე დიდი ღვთიური ძღვენი. იგი არის ცივილიზაციების, ხელოვნების და მეცნიერების დედა“.³ რაჯას პოზიტიური შეხედულება ტექნოლოგიაზე, რომელიც ხაზს უსვამს მის მნიშვნელობას, როგორც ერთ-ერთ უდიდეს საჩუქარს, გვაფიქრებინებს, რომ ისტორიის მანძილზე ტექნოლოგიამ ინსტრუმენტული როლი ითამაშა კაცობრიობის პროგრესის და წინსვლის ფორმირებაში.

ციფრული ტექნოლოგიების განვითარება, კულტურის სხვადასხვა სფეროში მათი ინტეგრაცია, არის ტრანსფორმაციული მოგზაურობა მრავალი მნიშვნელოვანი ეტაპით და გამოგონებით: კომპიუტერი, ინტერნეტი, ციფრული მედია და გართობა, სოციალური მედია, სმარტფონები და მობილური ტექნოლოგია, გართობის დიგიტალიზაცია, ვირტუალური და გაძლიერებული რეალობა, ხელოვნური ინტელექტი.

ტექნოგენური ცივილიზაციის წარმატებამ, რომელიც განპირობებულია უწყვეტი ტექნიკური და ტექნოლოგიური ინოვაციებით, მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ადამიანის ცხოვრების ხარისხი. აქედან ჩამოყალიბდა მოსაზრება, რომ ეს არის კაცობრიობის განვითარების მთავარი გზა. ტექნოლოგიური წინსვლა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია პროგრესის და განვითარებისთვის, მაგრამ გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს მის ზემოქმედებას გარემოსა და

¹ Wolffgramm H., Allgemeine techniklehre elemente, strukturen, gesetzmässigkeiten, 2012.

² Ванслов В., Научно-технический прогресс и культура, Культура и искусство, 6(12) 2012.

³ https://www.researchgate.net/publication/325086709_Impact_of_modern_technology_in_education 2018.

საზოგადოებაზე გონივრული/მდგრადი პერსპექტივით. მაგალითად, ამერიკელი მწერალი და პოსტმოდერნისტი დონ დელილო ამბობს, რომ „ტექნოლოგიის მთელი აზრი არის ის, რომ, ერთი მხრივ, იგი აღძრავს უკვდავების მადას, მეორე მხრივ, უნივერსალური განადგურებით იმუქრება“.⁴ ამ საინტერესო მოსაზრების შემდეგ ის აგრძელებს – „ტექნოლოგია ბუნებისგან განყენებული ვნებაა“.⁵ ძნელია, არ დაეთანხმო ავტორს, რომელიც ზუსტად გამოხატავს ტექნოლოგიის ორმაგ ბუნებას და მის ღრმა გავლენას კაცობრიობაზე.

თუ დელილოს აზრს გავაგრძელებთ, უნდა ითქვას, რომ ერთი მხრივ, ტექნოლოგიური გარღვევა ხშირად იწვევს შიშს და გაცეხას. ეს გვაფიქრებინებს, რომ ჩვენ შეგვიძლია მივალწიოთ შედეგებს, რომლებიც ოდესღაც შეუძლებლად მიაჩნდათ და ეს აღძრავს ადამიანის მადას უკვდავებისკენ. მეორე მხრივ, ტექნოლოგიას გააჩნია განადგურების პოტენციალი. ბირთვული იარაღი და გარემოს დეგრადაცია სერიოზულ საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ ცალკეულ ადამიანებს, არამედ მთლიანად პლანეტას. მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს, ტექნოლოგია შეიძლება, იყოს პროგრესის და პოზიტიური ცვლილებების ძლიერი ძალა, მაგრამ ის, ასევე, მოითხოვს პასუხისმგებლობიან და გააზრებულ გამოყენებას მისი პოტენციური უარყოფითი ზემოქმედების შესამცირებლად.

ციფრული ტექნოლოგია, ამჟამინდელი გაგებით, ყველაზე მარტივად განიხილება, როგორც სამი კომპონენტის ერთობლიობა: არტეფაქტები, პრაქტიკა და ცოდნა. მსოფლიოში არსებული მატერიალური ობიექტები არტეფაქტებია. პრაქტიკა არის მეთოდები და ტექნიკა, რომლებიც გამოიყენება არტეფაქტებთან ურთიერთობისთვის, ხოლო ცოდნა ფუძემდებლური თეორიულ/კონცეფციური პარადიგმაა, რომლებიც გავლენას ახდენენ ტექნოლოგიაზე სხვადასხვა კულტურულ კონტექსტში.⁶ ტექნოლოგიის ეს სამი კომპონენტი ურთიერთკავშირშია და ზემოქმედებს ერთმანეთზე. ტექნოლოგიური არტეფაქტები არსებული ცოდნის საფუძველზე ყალიბდება. ამავდროულად, ამ არტეფაქტების გამოყენების პრაქტიკა გავლენას ახდენს მათ ინტეგრირებაზე ყოველდღიურ ცხოვრებაში და საზოგადოებაში. გარდა ამისა, ტექნოლოგიების გამო-

⁴ [https://delillosociety.com /arch ive/newsletter-10-1-2017/](https://delillosociety.com/arch ive/newsletter-10-1-2017/) 2017.

⁵ იქვე.

⁶ Fouche, R. D. *Technology Studies (Key Issues for the 21st Century)* 2008.

ყენების გამოცდილება არის ტექნოლოგიური წინსვლის და ცოდნის დაგროვების საწინდარი. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ტექნოლოგია არ არის ნეიტრალური ძალა, ის ასახავს იმ საზოგადოებების ღირებულებებს, პრიორიტეტებს და კულტურულ კონტექსტს, რომელშიც ის ვითარდება/გამოიყენება. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ სხვადასხვა კულტურას შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული ტექნოლოგიური პრაქტიკა და ცოდნის სისტემები, მაშინაც კი, როდესაც საქმე ეხება მსგავს არტეფაქტებს. რაც შეეხება ტექნოლოგიის მუდმივად განვითარებად ბუნებას, ის აუცილებლად უზრუნველყოფს, რომ მისი გავლენა კულტურაზე იყოს უწყვეტად შესწავლის და დაკვირვების მომხიბლავი სფერო.

სხვადასხვა სფეროზე ტექნოლოგიის გავლენის კვლევა ეხმარება მკვლევრებს, უკეთ გაიგონ, თუ როგორ აყალიბებს ტექნოლოგია ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებას, დამოკიდებულებებს და ღირებულებებს. ამ შედეგების გაგებამ კი შეიძლება, ხელი შეუწყოს ტექნოლოგიების პასუხისმგებლობიან განვითარებას და დანერგვას. ვებ და მობილური აპლიკაციების შემქმნელი ნიგერიელი ედეჰ სამუელ ჩუკვუმეკას აზრით, „ტექნოლოგია განსაზღვრავს კულტურული ევოლუციის გზას, რადგან ის გავლენას ახდენს კულტურის ყველა ასპექტზე. ტექნოლოგია ჰარმონიაში უნდა იყოს საზოგადოების სოციალურ და კულტურულ პირობებთან, რათა დაიკავოს უფრო დიდი კულტურული განზომილება...“.⁷ ეს მოსაზრება ხაზს უსვამს კულტურული სენსიტიურობის და კონტექსტური ცნობიერების მნიშვნელობას ტექნოლოგიის განვითარებასა და განხორციელებაში. მნიშვნელოვანია, ნოვატორებმა გაიაზრონ საკუთარი შემოქმედების კულტურული შედეგები, რათა ტექნოლოგიებმა ძირი კი არ გამოუთხარონ იმ თემების კულტურულ ქსოვილს, რომლებსაც ემსახურებიან, არამედ გააძლიერონ ისინი.

2023 წლის თებერვალში ჩვენ მიერ გამოკითხვის მეთოდით დაიგეგმა და განხორციელდა საზოგადოებრივი აზრის კვლევა თემაზე „ახალი ტექნოლოგიური შესაძლებლობების გავლენა საზოგადოებაზე“. შედეგები, რომლებიც მივიღეთ, მეტად საინტერესო აღმოჩნდა. გამოკითხულთა 87% სრულად, ხოლო 12,5% ნაწილობრივ ეთანხმება მოსაზრებას, რომ თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიური სამყაროს ეკოსისტემა, რომელიც გვთავაზობს ჰიბრი-

⁷ <https://bscholarly.com/impact-of-technology-on-culture-tradition-and-social-values/> 2022.

დულ, ინოვაციურ ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურას, მოქნილ გარემოს, ხელმისაწვდომობას და სერვისების მრავალფეროვნებას, სწავლის და მუშაობის ახალ გზებს, არის მეტად მნიშვნელოვანი. რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობისთვის თანამედროვე ტექნოლოგიები კულტურული ევოლუციის საწინდარი და სისტემური სიახლეების მომტანია.

ციფრული განათლება გადამწყვეტ როლს ასრულებს უნარების სწავლებაში, საინფორმაციო ნავიგაციასა და ინტერპრეტაციაში. ინფორმაციის მოძიებისას რაც უფრო მეტად ვეყრდნობით ციფრულ პლატფორმებს, მით უფრო მნიშვნელოვანია მედიაწიგნიერების და კრიტიკული აზროვნების ხელშეწყობა. თანამედროვე ეპოქაში ცოდნის შექმნის გზები მუდმივად ვითარდება, რაც ხელს უწყობს უფრო ჯანსაღი ციფრული საინფორმაციო გარემოს და მეტად ინფორმირებული საზოგადოების ჩამოყალიბებას.

თანამედროვე რეალობაში ტექნოლოგიურ პროცესებში მნიშვნელოვანი ადგილი აუდიოვიზუალურ ტექნოლოგიებს უჭირავთ. COVID-19 პანდემიის დროს სწორედ ეკრანული შემოქმედება გახდა კომუნიკაციის, ადამიანური ურთიერთობების, თანამედროვე ცივილიზაციის ფლაგმანი. იზოლაციის პერიოდში აუდიოვიზუალურმა კულტურამ ბევრი ნოვატორული გამოგონება წარმოგვიდგინა და მრავალი ფუნქცია შეითავსა და იქცა სასწავლო პლატფორმად.⁸ ჩვენი კვლევის შედეგად, გამოკითხულთა 95,9% აფიქსირებს მოსაზრებას, რომ თანამედროვე სამყაროში ეკრანი გახდა ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი, რომელიც მუდმივად აკონტროლებს საზოგადოების „ქცევის წესს“. მათ ასევე აღნიშნეს, რომ აუდიოვიზუალური ტექნოლოგიები მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესებისათვის. შესაბამისად, ახალი პლატფორმები ცოდნის მსოფლიოს საუკეთესო სასწავლო დაწესებულებებში მიღების საშუალებას იძლევა.

ციფრულმა ტექნოლოგიამ საგრძნობლად დააჩქარა ინფორმაციის და სიახლეების გავრცელება. თუმცა ამას როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შედეგები აქვს, სასწრაფო რეაგირების ხელშეწყობიდან, დეზინფორმაციის პოტენციურ გავრცელებამდე.

ციფრული ტექნოლოგია ინფორმაციის სწრაფად და ეფექტურად გავრცელების საშუალებას იძლევა. შესაძლებლობას გვაძ-

⁸ ჭანტურია თ., ეკრანული კულტურა – თანამედროვე ცივილიზაციის ფლაგმანი, სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი #2 (92), 2023.

ლევს, განახლებული გლობალური მოვლენების, ახალი ამბების და საგანგებო სიტუაციებისას ვიყოთ რეალურ დროში. ხელს უწყობს ცოდნის/გამოცდილების გაზიარებას სხვადასხვა სფეროში და კულტურაში. ინტერნეტის და ციფრული პლატფორმების წყალობით ადამიანებს უფრო დიდი წვდომა აქვთ ინფორმაციაზე, რაც ეხმარება მათ მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილებები. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმაციის გავრცელების სიჩქარემ ასევე შეიძლება გამოიწვიოს დეზინფორმაციის და ყალბი ამბების ვირუსულად სწრაფი გავრცელება, რაც სავალალო შედეგის მომტანია. ასევე, ინფორმაციის სწრაფი გაცვლა იწვევს კონფიდენციალურ შეშფოთებას, ვინაიდან პერსონალური მონაცემების გაზიარება და გამოყენება თანხმობის გარეშე შესაძლებელია. ამიტომ მნიშვნელოვანია, გვესმოდეს, რომ ციფრულ ეპოქაში ჯანსაღი, საინფორმაციო ეკოსისტემის შესანარჩუნებლად აუცილებელია პასუხისმგებელი ციფრული პოლიტიკის შექმნა და მონაცემთა დაცვის უზრუნველყოფა.

ციფრული ტექნოლოგიის, როგორც კულტურის ფორმის, შესწავლამ პოტენციური პრობლემების ფართო სპექტრის წინაშე დაგვაყენა:

- **ციფრული განხეთქილება** – არათანაბარი წვდომა ინტერნეტსა და ციფრულ ტექნოლოგიებზე ქმნის ციფრულ უფსკრულს, რაც იწვევს უთანასწორობის განცდას.
- **კიბერუსაფრთხოება და კონფიდენციალურობა** – ციფრული ტექნოლოგიების ფართო გამოყენება ქმნის მონაცემთა კონფიდენციალურობის და კიბერუსაფრთხოების რისკებს.
- **დეზინფორმაცია** – ციფრული პლატფორმებით ინფორმაციის გაცემის სისწრაფემ შეიძლება განაპირობოს ყალბი ინფორმაციის მასობრივ გავრცელება.
- **ციფრული დამოკიდებულება** – ციფრული მოწყობილობების და სოციალური მედიის გადაჭარბებული გამოყენება იწვევს ციფრულ დამოკიდებულებას და უარყოფითად მოქმედებს ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე.
- **პირისპირი კომუნიკაციის ეროზია** – ციფრული კომუნიკაციის გავრცელებამ შეიძლება გამოიწვიოს პირისპირი ურთიერთობის დაქვეითება, რაც გავლენას მოახდენს ურთიერთობების ხარისხსა და სოციალურ უნარებზე.
- **ეთიკური დილემები** – ციფრული ტექნოლოგია ბადებს ეთიკურ

კითხვებს, რომლებიც დაკავშირებულია მონაცემთა შეგროვებასთან, ხელოვნურ ინტელექტთან და ავტომატიზაციასთან, ალგორითმულ მიკერძოებასთან და ისეთი განვითარებადი ტექნოლოგიების ეთიკურ გამოყენებასთან, როგორცაა სახის ამოცნობა.

- **გარემოზე ზემოქმედება** – ციფრული ტექნოლოგიების და მონაცემთა ცენტრების სწრაფი ზრდა ხელს უწყობს ენერჯის მოხმარებას და ელექტრონული ნარჩენების მატებას, რაც იწვევს გარემოსდაცვით პრობლემებს.

ამ საკითხების გააზრებული და ერთობლივი განხილვით, ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ ციფრული ტექნოლოგიების პოტენციალი, როგორც პოზიტიური კულტურული ძალა, ხოლო შევამციროთ მათი უარყოფითი ზემოქმედება ადამიანებზე, საზოგადოებასა და გარემოზე.

დასასრულს შეგვიძლია ვთქვათ, ციფრული ტექნოლოგიების გავლენა მრავალმხრივია და მუდმივად ვითარდება. ის ცვლის ჩვენს კულტურულ ლანდშაფტს, ზემოქმედებს სოციალურ დინამიკაზე, ხელახლა განსაზღვრავს ურთიერთდაკავშირებულ სამყაროში ჩვენი ურთიერთობის და კომუნიკაციის გზას. ამ ცვლილებების პასუხისმგებლობით მიღება და ციფრული ტექნოლოგიების პოტენციალის გამოყენება გამოიწვევს უფრო ინკლუზიური, ინფორმირებული და ინოვაციური გლობალური საზოგადოების ჩამოყალიბებას.

ბიბლიოგრაფია:

- ჭანტურია თ., ეკრანული კულტურა – თანამედროვე ცივილიზაციის ფლაგმანი, სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი #2 (92), თბ., 2023.
- Anderson, J.Q., *Imagining the Internet: Personalities, Predictions, Perspectives*, 2005, <https://www.elon.edu/u/imagining/time-capsule/150-years/back-1920-1960>
- Banse, G., Grunwald, A. *Technik und Kultur, Bedingungs und Beeinflussungsverhältnisse*, KIT Scientific Publishing, 2019
- Bates, A. *Teaching in A Digital Age: Guidelines for designing teaching and learning*. A.W. (Tony) Bates, University of British Columbia, 2019.

- Chukwuemeka, S. Impact of Technology on Culture, Tradition and Social Values, 2022, <https://bscholarly.com/impact-of-technology-on-culture-tradition-and-social-values/>
- Dessauer, F. Streit Um Die Technik. Josef Knecht; 2. Aufl. Edition, 1958.
- Erdurmazli E, Effects of Information Technologies on Organizational Culture: A Discussion Based on the Key Role of Organizational Structure, 2020, <https://www.intechopen.com/chapters/72534>
- Fouche, R. D., Technology Studies (Key Issues for the 21st Century) SAGE Publications, 2008.
- From the President In the Ruins of the Present: Don DeLillo and the Age of Social Media, Newsletter 10.1., 2017, <https://delillosociety.com/archive/newsletter-10-1-2017/>
- Raja, R., Nagasubramani, P.C. Impact of modern technology in education, 2018, https://www.researchgate.net/publication/325086709_Impact_of_modern_technology_in_education
- Wolffgramm, H., Allgemeine techniklehre elemente, strukturen, gesetzmässigkeiten. Copyright by Horst Wolffgramm, 2012
- Ванслов, В. Научно-технический Прогресс и Культура, Культура и Искусство, 6(12), 2012.

ხელოვნების ფილოსოფია

სოფიო მოდებაძე,
ფილოსოფიის დოქტორი
ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
კონსერვატორიის მოწვეული ლექტორი
შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო
უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი

რეზიუმე

კვლევის მიზანია, განვიხილოთ ხელოვნების არსისა და დანიშნულების საკითხი სხვადასხვა ფილოსოფიურ მიმდინარეობასა თუ ფილოსოფოსთან მიმართებაში.

ნაშრომში განხილულია კანტის თეორია მხატვრული შემოქმედების რაობის, გენიოსის, ნიჭის, წარმოსახვის უნარების, მოქმედების სპეციფიკის შესახებ. განიხილება საკითხები – რას გულისხმობს კანტი გენიის ცნებაში? რატომ არის, მისი აზრით, გენიოსი შესაძლებელი მხოლოდ ხელოვნებაში? სულის რომელი უნარი წარმოშობს გენიას?

კანტის მოსაზრებას, რომ მხოლოდ ხელოვნებაშია შესაძლებელი გენიოსი, იზიარებს შელინგიც. ნაშრომში ასევე განხილულია შელინგის შეხედულებები ხელოვნების დანიშნულების შესახებ, ფრიდრიხ შილერის შრომა „ადამიანის ესთეტიკური აღზრდის შესახებ“, რომელიც საგანმანათლებლო ამოცანების შესრულებაში უმნიშვნელოვანეს როლს ანიჭებს ესთეტიკურ აღზრდას.

საინტერესოა შილერის აზრები თანამედროვე სინამდვილის შესახებ, რომლის მიხედვითაც ბატონობენ მოთხოვნილებები, სარგებლიანობა დროის კერპია, ამ უხეშ სასწორზე კი ხელოვნებას არ აქვს წონა და თანდათან ქრება საუკუნის ხმაურიანი ბაზრიდან. შილერი სვამს კითხვას, როგორ უნდა გადაირჩინოს თავი ხელოვანმა ეპოქის იმ მანკიერებებისაგან, რომლებითაც გარემოცულია.

ასევე განხილულია შილერის კონცეფციები ნაივური და სენტიმენტალური პოეზიის შესახებ, ისეთი მსოფლმხედველობრივი საკითხი, როგორცაა ხელოვანისა და სინამდვილის მიმართების პრობლემა, რომელიც ასევე ხაზს უსვამს ხელოვნების დანიშნულების გააზრების აუცილებლობას. დასმულია კითხვა, არის თუ არა ხელოვნება ჭეშმარიტი, როდესაც სინამდვილეს სცილდება და

სრულიად იდეალური ხდება? იარსებებს თუ არა ხელოვანი რეალობის გარეშე? – ამ მხრივ საინტერესოა ჰეგელის, ნიცშეს, შოპენჰაუერის, კამიუს, არტურ დანტოს შეხედულებები, ასევე, ალექსანდრე მენის მოსაზრება, რეალისტურ ხელოვნებაზე გადასვლა ნიშნავდა თუ არა პროგრესს, ვითარდება თუ არა ხელოვნება საბოლოოდ და რა არის მისი დანიშნულება.

კვლევის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ნამდვილ ხელოვნებას არასოდეს უცხოვრია თანამედროვეობისგან გაქცევით, თუმცა, ის ადამიანები, რომლებიც გაურბოდნენ დროს, იძირებოდნენ წარსულის ლაბირინთებში ან მისტიციზმის ნისლში ეხვეოდნენ – მაინც თანამედროვეობის გამომხატველად რჩებოდნენ, რამდენადაც ეს გაქცევა სინამდვილიდან, თანამედროვე სოციალურ ჯგუფთა თუ ფენათა მისწრაფებებს ასახავდა.

ამრიგად, ის, რაც სინამდვილეში რჩება, ხელოვნებაა, რომელიც, სიმულირებული სინამდვილისგან განსხვავებით, უფრო სტაბილური და მდგრადია. ამიტომ, სწორედ ხელოვნებას შეუძლია შეინარჩუნოს და გადაარჩინოს მსოფლიო ცივილიზაცია.

ხელოვნების არსისა და დანიშნულების საკითხი ფილოსოფიაში

საკვანძო სიტყვები: ხელოვნება, გენიოსი, არსი, დანიშნულება, ნაივური, სენტიმენტალური, კანტი, შილერი, შოპენჰაუერი

ხელოვნების არსისა და დანიშნულების საკითხი სხვადასხვა ფილოსოფოსთან და ფილოსოფიურ მიმდინარეობაში განსხვავებულად წყდებოდა.

ამ მხრივ, აღსანიშნავია გერმანელი ფილოსოფოსის, იმანუელ კანტის შეხედულებები მხატვრული შემოქმედების რაობის, გენიოსის, ნიჭის, წარმოსახვის უნარების მოქმედებისა და სპეციფიკის შესახებ.

კანტის მიხედვით, ხელოვნების ნაწარმოები მით უფრო ღირებულია, რაც უფრო ჰგავს ბუნებრივს, გამოხატავს არა პედანტურ დოგმებს, არამედ თავისუფალი შემოქმედების პროდუქტია. ამ თეზისს კანტი მიჰყავს ნიჭის, ტალანტის, გენიის კვლევამდე. აქვე აღვ-

ნიშნავ, რომ „გენიის“ ცნებაში ფილოსოფოსი გულისხმობს თვითნაბად ნიჭს არაჩვეულებრივი ნაწარმოების შესაქმნელად.

კანტი ხაზს უსვამს იმ აზრს, რომ მხოლოდ ხელოვნებაში ვლინდება გენიოსი. „სავსებით შესაძლებელია, შევისწავლოთ ყოველივე ის, რაც ნიუტონმა გადმოსცა თავის უკვდავ ნაშრომში „ბუნების ფილოსოფიის საწყისები“, მაგრამ შეუძლებელია ვისწავლოთ კარგი მელექსეობა. ვერავითარი ჰომეროსი ვერ გვიჩვენებს, როგორ ჩნდება და ერთდება მის თავში ფანტაზიით აღსავსე და ამრით მდიდარი იდეები იმიტომ, რომ თვითონაც არ იცის ეს“.¹

გენიის შესახებ კანტის განსაზღვრებაში უნდა აღინიშნოს „არაცნობიერის“ შემოტანის მცდელობა. ხელოვნება არაცნობიერის, გაუგებრის, გონებისთვის მიუწვდომლის შემოქმედებაა, ხელოვანმა არ იცის, რას ქმნის. მაგალითად, პლატონი ამ ფაქტს ხსნის, რომ მუზა იპყრობს ადამიანს და ავტომატურად ასრულებინებს მხატვრულ შედეგს, შემოქმედების მოთხოვნილება კი ისეთი ძლიერია, რომ ადამიანს არ შეუძლია არ შექმნას. „მხატვრული შემოქმედების აქტი ალოგიკურია, რომლის ახსნა არავის, თვით შემოქმედსაც არ შეუძლია. თუ რამესთან შეიძლება მისი შედარება, მხოლოდ სიზმართან ან ზმანებასთან“.²

რაც შეეხება კანტს, მისთვის ხელოვნება მიზნის გაცნობიერების შედეგია, სადაც გადამწყვეტია გონება, ამიტომ კანტი არ არის ირაციონალისტი ესთეტიკაში. იგი ამბობს, სულის რომელი უნარი წარმოშობს გენიას. ფილოსოფოსი სულში გულისხმობს „ესთეტიკური იდეების“ წარმოსახვის უნარს, რომელსაც სულიერი ძალები მიზანშეწონილ მოქმედებაში მოჰყავს და წარმოშობს თამაშს. კანტის მიხედვით, თამაში უმიზნო ქმედებაა, თვითტკბობაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მას მიზანი გარეთ კი არ ეგულება, არამედ თავისთავში ატარებს მას. ასეა ხელოვნებაშიც, გენიოსი თვითნაბადი ორიგინალია, „ბედის ნებიერია“, რომელიც თავად ქმნის წესებს.

კანტის მოსაზრებას, რომ მხოლოდ ხელოვნებაშია შესაძლებელი გენიოსის არსებობა, იზიარებს შელინგიც. თუმცა, კანტისაგან განსხვავებით, შელინგი მთლიანად ამისტიფიცირებს როგორც ხელოვანის პიროვნებას, ისე მხატვრულ შემოქმედებას. შელინგთან ხელოვნება გამოცხადებულია ღვთაებრივი შემოქმედების უშუალო გამოვლენად, ხოლო გენიოსი წარმოდგენილია იმ მედიუმად,

¹ გულიგა, კანტი, 1986, გვ. 211.

² პლატონი, იონი, დიდი ჰიპია, მენონი, 1974, გვ. 21.

რომლის მეშვეობითაც ობიექტივირდება შემოქმედება.

შესაბამისად, შელინგის აზრით, ხელოვნების თითოეულ ნაწარმოებს შეუძლია, დააკმაყოფილოს ადამიანის სასიცოცხლო ლტოლვა უსასრულობისკენ, ეს სასრული არსება, თავისი უნიკალობითა და განუმეორებლობით, აზიაროს უსასრულოს.

გენიის შესახებ მოსაზრებები გვხვდება შოპენჰაუერთანაც. არტურ დანტო ნაშრომში „ხელოვნება დასასრულის შემდეგ: თანამედროვე ხელოვნება და ისტორიის მიჯნა“ ყურადღებას ამახვილებს შოპენჰაუერის ნაშრომზე „სამყარო, როგორც ნება და წარმოდგენა“, რომელშიც ის საუბრობს ორ დაპირისპირებულ ღირებულებაზე – მშვენიერებასა და სარგებლიანობაზე.

ასევე განიხილავს რომანტიკულ წარმოდგენას გენიოსის შესახებ, რომელსაც ნებისგან დამოუკიდებლად მომუშავე ინტელექტთან აიგივებს. ამდენად, შოპენჰაუერთან გენიოსის ქმნილებები არ ემსახურება სარგებლის მქონე მიზნებს. ის მიიჩნევს, რომ უსარგებლობა გენიოსის ნამუშევრის ერთ-ერთი მახასიათებელია და მისი კეთილშობილების ნიშანია: „გენიოსის ქმნილება, შეიძლება, იყოს მუსიკა, ფილოსოფია, ფერწერა, პოეზია, რომლებშიც არაფერია გამოყენებადი ან სარგებლიანი. ყველა სხვა ადამიანური საქმიანობა კი ჩვენი არსებობის მომსახურებისა და შემსუბუქებისთვისაა; ხელოვნება მხოლოდ თავისივე თავისთვის არსებობს და მას ისე უნდა მოეპყრო, როგორც ყვავილებს. ჩვენს გულს ახარებს მისით ტკბობა, რადგან გვავიწყებს მძიმე მიწიერ ატმოსფეროს“.³

შოპენჰაუერმა გააქრო იმის შეკითხვის სურვილიც კი, თუ რა პრაქტიკული სარგებელი შეიძლება ჰქონდეს ესთეტიკურ გამოცდილებას. პრაქტიკულობის საკითხებს შოპენჰაუერი განსაზღვრავს, როგორც ინდივიდის ან ჯგუფის ინტერესებს და ამით ის ნებაზე მიუთითებს. ამრიგად, კანტის ხელოვნების, როგორც „უმიზნო მიზანშეწონილობის“ პრინციპმა შოპენჰაუერიც მოიცვა, მან ერთმანეთისაგან გამიჯნა ესთეტიკა და სარგებლიანობა.

შოპენჰაუერის აზრით, გენია წმინდა ჭვრეტის უნარია. ეს არის უნარი იმისა, რომ ჩემი შემეცნება გავათავისუფლო ნების მსახურებისაგან, ესე იგი, დავივიწყო ჩემი, როგორც ინდივიდის სურვილები, მიზნები, ინტერესები და მთლიანად საგანს მივეცე, სრული ობიექტურობას მივადწიო. ამისათვის ხელოვნება „აჩერებს დროის ბორბალს“, სამყაროს მოვლენათა მდინარებიდან გამოყოფს

³ დანტო, ხელოვნება, 2014, გვ. 78.

თავისი ჭვრეტის ობიექტს. იგი, როგორც გენიის ქმნილება, იდეათა წვდომის შესაძლებლობაა, რომელიც სუბიექტის ამაღლებას გულისხმობს. შოპენჰაუერის აზრით, ამგვარი ამაღლება არ შეუძლია ჩვეულებრივ ადამიანებს, რომლებიც, როგორც წესი, საკუთარი „მე“-სათვის სასარგებლო საგნებზე ფიქრობენ, არამედ მხოლოდ გენიოსებს.

მნიშვნელოვანია კითხვის დასმა, თუ რა არის ხელოვნების დანიშნულება, როგორი ხელოვნება სჭირდება ადამიანს – სულიერ სამყაროზე ორიენტირებული, რომანტიკული კონცეფცია თუ რეალისტური?

ხელოვნების დანიშნულების შესახებ მსჯელობს შილერიც, ნაშრომში „ადამიანის ესთეტიკური აღზრდის შესახებ“. იგი მოუწოდებს ხელოვანებს, რომ ადამიანები აღზარდონ სილამაზით, რადგან სილამაზე ადამიანის შინაგანი, იმანენტური მოთხოვნილებაა. თუმცა, იმასაც აღნიშნავს, რომ თანამედროვე სინამდვილე – რომელშიც მოთხოვნილებები ბატონობენ, ხოლო სარგებლიანობა დროის დიდი კერპია – არ არის ხელსაყრელი გარემო პიროვნების განვითარებისთვის. მისი აზრით, ამ უხემ სასწორზე ხელოვნებას არ აქვს წონა და იგი თანდათან ქრება საუკუნის ხმაურიანი ბაზრიდან.

შილერი სვამს კითხვას – როგორ გადაიჩინოს ხელოვანმა თავი ეპოქის იმ მანკიერებებისაგან, რომლებითაც გარემოცულია? იგი ამბობს, რომ ხელოვანმა გონებას უნდა მიანდოს სინამდვილის სფერო, თავად კი შესაძლებლობისა და აუცილებლობის კავშირიდან იდეალის წარმოსაქმნელად იღვწოდეს. „ხელოვნება მხოლოდ იმითაა ჭეშმარიტი, რომ სინამდვილეს სცილდება და სრულიად იდეალური ხდება“.⁴

საინტერესოა შილერის მოსაზრებები ნაივური და სენტიმენტალური პოეზიის შესახებ, რომლის მიხედვითაც წინ არის წამოწეული ისეთი მსოფლმხედველობრივი საკითხი, როგორიცაა ხელოვანისა და სინამდვილის მიმართების პრობლემა, რაც ასევე ხაზს უსვამს ხელოვნების დანიშნულების გააზრების აუცილებლობას. მისი აზრით, ნაივური პოეტები გადმოგვცემენ მშრალ სიმართლეს. ასეთ პოეტებად მიაჩნია ანტიკურობიდან ჰომეროსი და ახალი დროიდან შექსპირი. შილერი გამოცემას გამოთქვამს იმის შესახებ, რომ აღნიშნულ პოეტებს, განსხვავებით სენტიმენტალური პოეტე-

⁴ შილერი, რჩეული, 1965, გვ. 300.

ბისაგან, ახასიათებთ უკიდურესი თავშეკავებული ობიექტივიზმი ამაღლებული ტრაგიკული მოვლენების მიმართ, არ გამოხატავენ შეფასებას. შილერი ამტკიცებს, რომ ნაივური პოეზია უფრო შეეფერება ანტიკურ ეპოქას, სენტიმენტალური – თანამედროვეს, ამასთან ერთად, იგი სწორად აღნიშნავს, რომ ორივე სახის პოეზია გვხვდება, როგორც ანტიკურ ხანაში, ისე ახალ დროში. საკითხის ასეთი დასმით შილერი აყენებს ობიექტივიზმისა და სუბიექტივიზმის, რეალისტური და რომანტიკული შემოქმედებითი მეთოდების პრობლემას.

წერილში „ქოროს გამოყენება ტრაგედიაში“ მისი ძირითადი თემისია, რომ ხელოვნება არ უნდა დასცილდეს იდეალურს. შილერი ხელოვნებაში ქოროს შემოტანით ომს უცხადებს ნატურალიზმს. ჩვენ შეგვიძლია, დავსვათ კითხვა – იარსებებს ხელოვანი რეალობის გარეშე?

აღბერ კამიუ ნაშრომში „ამბოხებული ადამიანი“ აღნიშნავს, რომ „შემოქმედება ერთდროულად სამყაროს ერთიანობისა და მისი უარყოფის მოთხოვნაა. მაგრამ ის სამყაროს იმის გამო უარყოფს, რაც მას აკლია და ზოგჯერ იმის გამოც, რასაც ეს სამყარო წარმოადგენს“.⁵

„სულ უფრო მეტად ვრწმუნდები, რომ არ არის საჭირო ღმერთის განსჯა შექმნილი სამყაროს გამო, ეს უბრალოდ წარუმატებელი ესკიზია. ყოველი ხელოვანი ცდილობს ამ ესკიზის გადაკეთებას და მისთვის იმის დამატებას, რაც აკლია“⁶ – აღნიშნავდა ვან გოგი.

როგორც აღბერ კამიუ წერს, ვერანაირი ხელოვნება ვერ იარსებებს ტოტალური უარყოფით. ხელოვნება ეჭვქვეშ აყენებს რეალობას, მაგრამ არ გაურბის მას. სილამაზის შესაქმნელად მან ერთდროულად უნდა უარყოს რეალობა და აღფრთოვანდეს მისი ზოგიერთი ასპექტით. შეიძლება ითქვას, რომ ნამდვილ ხელოვნებას არასოდეს უცხოვრია თანამედროვეობისგან გაქცევით. თუმცა ის ადამიანები, რომლებიც გაურბოდნენ თავის დროს, იძირებოდნენ წარსულის ლაბირინთებში ან მისტიციზმის ნისლში ეხვეოდნენ და მაინც თანამედროვეობის გამომხატველად რჩებოდნენ – რამდენადაც ეს გაქცევა სინამდვილიდან თანამედროვე სოციალურ ჯგუფთა თუ ფენათა მისწრაფებებს ასახავდა. ხელოვნება ხომ უპირველესი სფეროა, რომელშიც აისახება სულში მიმდინარე

⁵ კამიუ, ამბოხებული, 2019, გვ. 317.

⁶ იქვე, კამიუ, ამბოხებული, 2019, გვ. 320.

ცვლილებები, სად იმყოფება სული დროის ამა თუ მონაკვეთში, რა არის მისი მოთხოვნა, რა აღელვებს და სხვა.

„ტემმარიტია ხელოვანი, რომელიც არ უშინდება ფართო მასების უკმაყოფილებას, მიჰყვება „შინაგან აუცილებლობას“ და ახალ ფორმებს ქმნის, რომლებიც ხშირად ფართო მასებისთვის მარტივად აღქმადი არ არის⁷ – წერს ვასილ კანდინსკი. მისი აზრით, სწორედ ამიტომ, რომ ხშირად ხელოვანი საზოგადოების მხრიდან ლანძღვისთვისაა განწირული.

ჯერ კიდევ ჰეგელი „ესთეტიკაში“ აღნიშნავდა, რომ ჩვენ მივართვით ხელოვნების ნაწარმოებთა თაყვანისცემისა და გაღმერთების ხანა. აზრმა და რეფლექსიამ „კაზმულ ხელოვნებას“ გაუსწრო. ეს გადააბრალებს თანამედროვეობის გასაჭირს, ცხოვრების დახლართულ-გართულებულ მდგომარეობას, რაც სულს ნებას არ აძლევს, რომ ხელოვნება მაღალ მიზანს ემსახუროს. ამ გასაჭირსა და ინტერესებს პასუხობს ინტელექტი მეცნიერებათა სახით, რომელსაც სარგებელი მოაქვს ასეთი მიზნებისთვის.

ჰეგელის მიხედვით, ხელოვნება სულიერ მოთხოვნილებათა იმ დაკმაყოფილებას ვეღარ იძლევა, უწინდელი ეპოქა და ხალხი რომ ეძებდა მასში. მისი აზრით, თანამედროვე ხელოვნება მიმართულია შემეცნებითი განხილვისკენ, მეცნიერულად გავიაროთ, თუ რა არის ხელოვნება. ამრიგად, ჰეგელთან „ხელოვნება მოწოდებულია, რომ ტემმარიტება გამოამჟღავნოს გრძნობადი განსახიერების ფორმაში“.⁸

საინტერესოა კიდევ ერთი საკითხი – ვითარდება თუ არა ხელოვნება. ამ საკითხთან დაკავშირებით, ნებისმიერი თანამედროვე მხატვარი ან ხელოვნებათმცოდნე იტყვის, რომ არქაული ბერძნული ხელოვნება განსაკუთრებული სილამაზეა, ხოლო ახალი ევროპული კულტურა ბოლო ოთხასი წელი იმყოფებოდა ანტიკურობის შესახებ რენესანსული მითის ერთგვარი ჰიპნოზის ქვეშ. ეს მითი შემდეგში მდგომარეობდა: ძველ ბერძენთა ცხოვრება, შემოქმედება, აზროვნება და ხასიათი მთლიანობაში გამოხატავდა კაცობრიობის გულუბრყვილო, თითქმის სამოთხისეულ მდგომარეობას, რაც, თავის მხრივ, ხალისიანი, სიცოცხლით სავსე და ოპტიმისტური მსოფლმხედველობაა. მაგალითად, აღექსანდრე მენის მოსაზრებით, რეალისტურ ხელოვნებაზე გადასვლა სრულე-

⁷ კანდინსკი, სულიერების, 2013, გვ. 7.

⁸ ჰეგელი, ესთეტიკა, 1973, გვ. 70.

ბითაც არ ნიშნავს პროგრესს. ეს მხოლოდ ისტორიის ერთ-ერთი ფაზაა. თავად ისტორია ადამიანური შემოქმედების ბედისწერაა. უდავოა, რომ სულიერ სამყაროში არის აღმასვლა, ოღონდ ის სულ სხვა ტიპის კანონზომიერებას ექვემდებარება. ის, რაც სულისმიერია, არა მხოლოდ წარსულის, არამედ აგრეთვე აწმყოს, დღევანდელობის კუთვნილებაა და სწორედ ეს განზომილება აერთიანებს ხელოვნების სფეროში წარსულსა და აწმყოს და ამგვარად შემოდის მარადიული სწრაფწარმავალი დროის მდინარებაში.

ალექსანდრე მენი მაგალითისთვის ასახელებს ტრაგედიებს: „ტრაგედიები არა მხოლოდ უბრალოდ ლიტერატურის ისტორიის კუთვნილება და კულტურული მემკვიდრეობაა, არამედ თითოეული მათგანი ჩვენს დღევანდელ სიმდიდრეს წარმოადგენს - ისინი დღესაც მარადიულ კითხვებს სვამენ. ამიტომ „ანტიგონე“, „მედეა“, „ელექტრა“ და სხვა დრამები განაგრძობენ არსებობას და ხდება მათი ინტერპრეტირება თეატრის სცენასა თუ კინოეკრანებზე“.⁹

ვფიქრობ, რომ ხელოვნებისაგან ადამიანი ელოდება შინაგანი ჰარმონიის აღდგენას, რასაც ისტორიულად ახერხებდა კიდევ. „არსებობს „ხელოვნებით ნუგეშისცემა“, რომლის საშუალებით გამოწვეულ თრობას სხვაზე მეტი უნარი აქვს, შენიღბოს ჯურღმულის საშინელებანი. მის ერთ-ერთ საკვირველ უპირატესობას წარმოადგენს ის, რომ ხელოვნების ენაზე გამოხატული საშინელება მშვენიერებად იქცევა, ხოლო რიტმში გადმოცემული, კადენციით ნათქვამი ტკივილი, სულს მშვიდი სიხარულით ავსებს“.¹⁰

საინტერესოა, ახლა როგორ გაართმევს თავს ამ ამოცანას? კერძოდ, ახალ რეალობაში საქმე ეხება მხატვრული შემოქმედების სტატუსს. შეძლებს კი ხელოვნება ადამიანის ცნობიერებაზე გემოქმედების უნარით კვლავ გაუწიოს კონკურენცია ფილოსოფიასა და რელიგიას? თუ ცხოვრების სამშვენიის სტატუსით უნდა დაკმაყოფილდეს, რომ ემოციური დეფიციტი აუნაზღაუროს ადამიანს?

საბოლოოდ, ხელოვნების ჭეშმარიტი დანიშნულება არის არა ის, რომ ილუზორული თვლემისაკენ გვიბიძგოს, არამედ სამყაროს საფუძვლების წვდომის საშუალება გააჩინოს. შეიძლება ითქვას, რომ ხელოვანი არის ხელი, რომელსაც ადამიანის სული, ამა თუ იმ კლავიშის (ფორმა) საშუალებით მიზანმიმართულად მოჰყავს ვიბრაციაში.

⁹ მენი, მსოფლიო, 2012, გვ. 167.

¹⁰ ბოდლერი, რომანტიკული, 1996, გვ. 128.

ამრიგად, ის, რაც სინამდვილეში რჩება, ხელოვნებაა, რომელიც, სიმულირებული სინამდვილისგან განსხვავებით, სტაბილური და მდგრადია. უფრო მეტია, ვიდრე სამყაროს ორგანული კლოუნადა, ამიტომ სწორედ ხელოვნებას ძალუძს, შეინარჩუნოს და გადაარჩინოს მსოფლიო ცივილიზაცია.

ბიბლიოგრაფია:

- ბოდლერი შ., რომანტიკული ხელოვნება, თბ., 1996.
- გულიგა ა., კანტი, თბ., 1986.
- დანტო ა., ხელოვნება დასასრულის შემდეგ: თანამედროვე ხელოვნება და ისტორიის მიჯნა, თბ., 2014.
- კამიუ ა., ამბოხებული ადამიანი, თბ., 2019.
- კანდინსკი ვ., სულიერების შესახებ ხელოვნებაში, თბ., 2013.
- მენი ა., მსოფლიო სულიერი კულტურა, თბ., 2012.
- პლატონი, იონი, დიდი ჰიპია, მენონი, თბ., 1974.
- შილერი ფ., რჩეული თხზულებანი, ტ. 3, თბ., 1965.
- ჰეგელი, გ. ვ. ფ. ჰ., ესთეტიკა, თბ., 1973.

ხელოვნების მენეჯმენტი
და
კულტურული თურიზმი

ნაირა გალახვარიძე,
საქართველოს შოთა რუსთაველი თეატრისა და
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

კურატორობის პრაქტიკის არსის გარკვევა 1988-1995 წლებში დაიწყო. 1967 წელს, ფაქტობრივად, სიგელაუბის, გემანის და ბროტარსის პროექტის პარალელურად გამოიცა „ახალი ინდუსტრიული საზოგადოება“, ცნობილი ეკონომისტისა და სოციოლოგის, ჯონ კენეტ გელბრეიტის წიგნი. საზოგადოებრივი წარმოების პარამეტრების ცვალებადობაში, გელბრეიტი ამბობს, რომ ამჟამად წარმოების აქტიური სუბიექტი ხდება არსებული ცოდნა, მეცნიერება, კრიტიკული რეფლექსია. აქედან მას გამოჰყავს შემდეგი პერსპექტივა – სულ მალე სამრეწველო კორპორაციები გახდებიან უნივერსიტეტების კათედრებისა და ლაბორატორიების დანამატები. თუმცა, რეალობაში ეს წინასწარმეტყველება განხორციელდა ზუსტად საწინააღმდეგოდ – დღეს კორპორაციები ყიდულობენ უნივერსიტეტებს (ისევე როგორც მუზეუმებს, საგამოფენო ცენტრებით), მაგრამ განვითარების ვექტორი ნაწინასწარმეტყველები იყო სწორად. თანამედროვე წარმოების ავანპოსტი არის კოგნიტიური ინდუსტრია, ესე იგი, ცოდნის ინდუსტრია.

გამოფენების ორგანიზატორი პოსტ-ინდუსტრიულ ეპოქაში საკუთარი თავის გაგებას იწყებს არა როგორც უბრალო ადმინისტრატორი, არამედ როგორც არტისტული თამაშების ფიგურა, მისი ეს ახალი როლი ფუძნდება საზოგადოებრივ პროცესებში და არსებული წლების საწარმოო გარდაქმნებში. აქედან მოყოლებული, გამოფენის ორგანიზატორი უკვე არა მცოდნე, არა მეცნიერ-მკვლევარია, რომელიც უკვე მზა ნაწარმოებების ექსპოზიციურ რიგებს გამოფენს ამა თუ იმ მეცნიერული მეთოდის მიხედვით, არამედ დღეს ის უფრო არის ცოცხალი ცოდნის მატარებელი. მისი საქმიანობის შემეცნებითი ფასეულობა იზადება მხატვართან შემოქმედებითი დიალოგის სტიქიით, ხოლო მის მიერ შექმნილი პროდუქტი უკვე არა იმდენად ექსპოზიციური ჩვენებაა, მკაცრი

გაგებით, რამდენადაც საგამოფენო მოვლენა. არ არის რთული, კიდევ ერთი დასკვნა გავაკეთოთ: საზოგადოებრივ წარმოებაში კულტურის ლიდერობის სიტუაციაში, როცა საზოგადოებრივი წარმოება ექვემდებარება კურატორის რეალურ თამაშის კონცეფციებს, ის ხდება ფიგურა, რომელიც უფრო ტევადად და სრულად წარმოადგენს წარმოებასა და წარმოებით ურთიერთობებს.

კურატორობის პრაქტიკა და ახალი ეკონომიკა

საკვანძო სიტყვები: კურატორობა, გამოფენა, ემონსტრირება, პოსტინდუსტრიული, კოგნიტიური, კომუნიკაცია, სოციალური

1969 წელს ზემანმა ორგანიზება გაუკეთა გამოფენას „როცა ურთიერთობები ხდება ფორმად“, საიდანაც იწყება კურატორობის, როგორც გაცნობიერებული პრაქტიკის ფორმირება. 1987 წელს გრენობლში (სამხრეთ-აღმოსავლეთ საფრანგეთი), თანამედროვე ხელოვნების ცენტრში იქმნება სკოლა, სადაც პირველად შეეცადნენ კურატორობა პროფესიული კვლავწარმოების საგნად ექციათ. ხელოვნების სისტემაში კურატორის პროფესიული პრაქტიკა და მისი ფუნქციები დროის სვლასთან ერთად გახდა მოთხოვნადი. საჭიროა, გათვალისწინებული იყოს საზოგადოებრივ წარმოებაში მომხდარი ცვლილებები, რომელიც წარიმართა დასავლურ ქვეყნებში კურატორობის გაჩენისას.

რატომ დაიწყო მაინცდამაინც „კურატორული შემობრუნება“ სწორედ 1960-იანი წლების ბოლოსა და 1970-იანი წლების დასაწყისში? ამ კითხვაზე ერთ-ერთი პასუხი არის შესაბამისობის ძიება ხელოვნების საგამოფენო დემონსტრირების ხასიათის ცვლილებასა და იმ წლებში საზოგადოებრივ წარმოებაში მომხდარ ცვლილებებს შორის. 1967 წელს, ფაქტობრივად, სიგელაუბის, ზემანის და ბროტარსის პროექტის პარალელურად, გამოიცა „ახალი ინდუსტრიული საზოგადოება“, ცნობილი ეკონომისტისა და სოციოლოგის, ჯონ კენეტ გელბრეიტის წიგნი. საზოგადოებრივი წარმოების პარამეტრების ცვალებადობაში გელბრეიტი ამბობს, რომ ამჟამად წარმოების აქტიური სუბიექტი ხდება არსებული ცოდნა, მეცნიერება, კრიტიკული რეფლექსი. აქედან მას გამოჰყავს შემდეგი პერსპექტივა – სულ მალე სამრეწველო კორპორაციები უნი-

ვერსიტეტების კათედრებისა და ლაბორატორიების დანამატებად იქცევიან. თუმცა, რეალობაში ეს წინასწარმეტყველება განხორციელდა ზუსტად საწინააღმდეგოდ – დღეს კორპორაციები ყიდულობენ უნივერსიტეტებს (ისევე როგორც მუზეუმებს, საგამოფენო ცენტრებით), მაგრამ განვითარების ვექტორი ნაწინასწარმეტყველები იყო სწორად. თანამედროვე წარმოების ავანპოსტი არის კოგნიტური ინდუსტრია, ესე იგი, ცოდნის ინდუსტრია.

ამგვარად, თუ ხელოვნება იწყებს ხელოვნებაზე რეფლექსიის (ადამიანის მიერ საკუთარი პიროვნების, ღირებულებების, მოტივების ემოციების, საქციელის, ცოდნისა და მდგომარეობის გაცნობიერება) წარმოებას, ხოლო გამოფენა იწყებს რეპრეზენტაციის კრიტიკის ჩვენებას, მაშინ საზოგადოებრივი წარმოების სფეროში იწყება არა იმდენად მატერიალური ნივთების, რამდენადაც იდეების წარმოება.

1973 წელს ამერიკელ სოციოლოგ დენიელ ბელს შემოაქვს განსაზღვრება „პოსტინდუსტრიული საზოგადოება“. ეს ტერმინი წარმოდგენილია უკვე მისი ცნობილი წიგნის დასახელებაში „მომავალი პოსტინდუსტრიული საზოგადოება“. მასში პოსტინდუსტრიულობაზე გამართულ კომპლექსურ ანალიზს წარმოადგენს ის, რომ კულტურას ბელი განისაზღვრავს არა იმდენად კეთილშობილ ხარისხში და მოჭარბებულ „მედნაშენში“, რამდენადაც როგორც საწარმოო „ბაზისის“ მამოძრავებელ ძალად. აქედან გამომდინარეობს ბელის მიერ შემოთავაზებული პოსტინდუსტრიული შრომის განსაზღვრება, რომლის არსი შემდეგნაირად ყალიბდება: „წარსულში ადამიანები უპირატესად ურთიერთქმედებდნენ ბუნებასთან, შემდეგ მანქანებთან, ახლა ისინი ურთიერთქმედებენ ურთიერთშორის. ის ფაქტი, რომ ადამიანები დღეს ურთიერთობენ სხვა ადამიანებთან და არ ურთიერთქმედებენ მანქანებთან, პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში შრომის ფუნდამენტურ დახასიათებას წარმოადგენს. ახალი ურთიერთობებისათვის დამახასიათებელია პიროვნებათა ურთიერთობა და დიალოგი, ადამიანებს შორის თამაშები. აქ ძირითადია ორი ურთიერთდაკავშირებული მომენტის არსებობა:

1. ნაბიჯის გადადგმა იმის შესახვედრად, რაც შემდგომში რეალაციონურ (შეტყობინება, ინფორმირება, მიღწეულ წარმატებებზე) თეორიად იყო დასახელებული, ესე იგი ადამიანთა ურთიერთობის საწარმოო პოტენციალის გახსნით, ბელი,

ფაქტობრივად, ეკონომიკურ პროცესებს გარდაქმნის სოცი-
ალური ველის ელემენტებად;

2. დაამსხვრია ფრიდრიხ შილერის კლასიკური თამაშებისა და შრომის დაყოფა, ის ესთეტიზირებას აკეთებს უკანასკნელ-
ზე.

აქედან გამომდინარე, გამოფენების ორგანიზატორი პოსტინ-
დუსტრიულ ეპოქაში საკუთარი თავის გაგებას იწყებს არა რო-
გორც უბრალო ადმინისტრატორი, არამედ როგორც არტისტული
თამაშების ფიგურა, მისი ეს ახალი როლი ფუძნდება საზოგადო-
ებრივ პროცესებში და არსებული წლების საწარმოო გარდაქმნებ-
ში. აქედან მოყოლებული, გამოფენის ორგანიზატორი უკვე არა
მცოდნე, არა მეცნიერ-მკვლევარია, რომელიც უკვე მზა ნაწარ-
მოებების ექსპოზიციურ რიგებს გამოფენს ამა თუ იმ მეცნიერუ-
ლი მეთოდის მიხედვით, არამედ დღეს ის უფრო არის ცოცხალი
ცოდნის მატარებელი. მისი საქმიანობის შემეცნებითი ფასეულობა
იბადება მხატვართან შემოქმედებითი დიალოგის სტიქიით, ხოლო
მის მიერ შექმნილი პროდუქტი უკვე არა იმდენად ექსპოზიციური
ჩვენებაა, მკაცრი გაგებით, რამდენადაც საგამოფენო მოვლენა. არ
არის რთული, კიდევ ერთი დასკვნა გავაკეთოთ: საზოგადოებრივ
წარმოებაში კულტურის ლიდერობის სიტუაციაში, როცა საზოგა-
დოებრივი წარმოება ექვემდებარება კურატორის რეალურ თამა-
შის კონცეფციებს, ის ხდება ფიგურა, რომელიც უფრო ტევადად და
სრულად წარმოადგენს წარმოებასა და წარმოებით ურთიერთო-
ბებს.

ამ თემისის მთავარ არგუმენტს, სამართლიანობის თვალსაზ-
რისით, წარმოადგენს ის, რომ სწორედ „ბელის მიერ ასახულ წიგ-
ნში“ ჩნდება კურატორის ფიგურა.

დაბოლოს, თუ გავაგრძელებთ კურატორის ცნების დაბადების
განსაზღვრას, საზოგადოებრივი და საწარმოო ცვალებადობიდან
გამომდინარე, მაშინ თეორიის სფეროდან, შეიძლება, სასარგებ-
ლო იყოს კიდევ ერთი ეპიზოდი. საუბარი ეხება ეგრეთწოდებულ
„პოსტოპერაისტებს“, რომელთა იდეებმაც მნიშვნელოვნად გან-
საზღვრა ბოლო წლების ინტელექტუალური დისკუსიები. პოსტ
წინსართი აღნიშნავს რაიმეს, ვინმეს შემდეგ მომავლობას, რომე-
ლიც მიუთითებს საწყის მოვლენაზე, 1960-1970-იან წლებში წარმო-
შობილ იტალიურ „ოპერაიზმზე“.¹

¹ ოპერაიზმი არის პოლიტიკური თეორია, რომელიც ხაზს უსვამს მუშათა კლა-

მთლიანად, „ოპერაიზმის“ იდეურ პროგრამას ავითარებდნენ და ავითარებენ ინტელექტუალური ჯგუფები, რომელთა შორის საინტერესოა პაოლო ვირნო და მისი წიგნი „სიმრავლის გრამატიკა“ (2003). თუ ბელის სახელთან საერთო გამოყენების ტერმინს „პოსტინდუსტრიული“ დავაყენებთ, მაშინ „ოპერაიზმთან“ დაკავშირებულია აშუამად ასევე განმტკიცებული ტერმინი „პოსტფორდიზმი“. თავისი არსით ორივე ეს გაგება აღწერს ერთმანეთთან ახლოს მდგომ მოვლენას – ახალი სერვისული და კოგნიტიური ეკონომიკის სივრცეს, რომელმაც უარი თქვა ინდუსტრიულ კონვეიერულ წარმოებაზე.

ოპერაისტების ყურადღების ფოკუსში ასევე თანამედროვე შრომითი საქმიანობის რელაციური და სათამაშო ხასიათი აღმოჩნდა, რამაც განაპირობა თანამედროვე წარმოებისა და შრომის, როგორც არამატერიალურის, განსაზღვრა, ესე იგი არა ნივთების, არამედ იდეებისა და ურთიერთობების მწარმოებელი.²

კურატორობის პრაქტიკა წარმოადგენს არამატერიალური წარმოების ადეკვატურ განსაზღვრას. რასაკვირველია, გამოფენა (ყველაზე ეფემერულიც კი) წარმოადგენს გარკვეული მატერიალური გამოხატულების მქონეს, მაგრამ ის წარმოებულია არა კურატორის, არამედ მხატვრის მიერ. დანარჩენი ყველაფერი, რასაც დებს კურატორი გამოფენაში – მისი იდეები, ინტელექტუალური მარაგი, საავტორო სუბიექტურობა, ერთგვარად როგორც კონცეფცია, თემატიკა, მხატვართა შემადგენლობა – შრომით ესადაგება ხელშესახებ ფორმებს. მაგრამ სწორედ ეს კოგნიტიურ-კომუნიკაციური საქმიანობა არის იმის არსი, რისთვისაც გამოიყენება ტერმინები პოსტინდუსტრიული ან პოსტფორდისტული წარმოება.

კურატორული პრაქტიკის აღიარება ახალი პოსტინდუსტრიული (ან პოსტფორდისტული) წარმოების საშუალებად გამართლებულია. თუ მატერიალურ წარმოებას აქვს მდიდარი ტრადიციული განმასხვავებელი ტიპოლოგიები და აღწერილობითი მიდგომები, რა შეიძლება ითქვას წარმოებაზე, რომელიც არ ტოვებს ფიზიკურ შედეგებს? როგორია ამ საქმიანობის რაციონალურობა?

იმ გაგებით, რომ კურატორული პრაქტიკა, როგორც არამა-

სის მნიშვნელობას. ოპერაიზმს განსაკუთრებული ადგილი ჰქონდა იტალიის მემარცხენე პოლიტიკაში. მუშა თაობა, ანუ ოპერაიზმი არის პოლიტიკური ანალიზი, რომლის ძირითადი ელემენტები იყო ავტონომიზმი შერწყმა.

² Мизиано, Ленция, 2015, с. 153-154.

ტერიალური შრომის კერძო შემთხვევა, დამკვიდრებულია კომუნიკაციასა და შუამავლობაში, მისი წარმატებულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ფლობს კურატორი კომუნიკაციურ სიახლეებს. ნებისმიერი კურატორული პროექტის პრაქტიკული განხორციელება განუყოფელია უზარმაზარი კომუნიკაციური ინვესტიციებისგან. აქვე შეიძლება ითქვას, რომ კურატორის შრომა მნიშვნელოვანი კუთხით განხორციელებულია ინტენსიური ურთიერთობებითა და კომუნიკაციებით.

ამგვარად, კურატორი მუდმივად ამყარებს კომუნიკაციას მიმოწერებსა და ბარებს პირადი ურთიერთობების მეშვეობით. თავის სამუშაოს მსვლელობაში კურატორმა კომუნიკაცია უნდა იქონიოს მხატვრებთან და მათი დამაკავშირებელი შუამავალი უნდა იყოს; ის ურთიერთობს კოლეგებთან და ექსპერტებთან, პროექტის განსახორციელებლად მათგან იღებს აუცილებელ ინფორმაციას; ამავდროულად, ის მზადაა ურთიერთობებისათვის იმ ინსტიტუტებთან, რომლებიც წარმართავენ პროექტს, მხატვარ-გალერისტების წარმომადგენლებთან, სპონსორებთან, პრესასთან, მაყურებლებთან და აკავშირებს მათ ერთმანეთთან. აქედან გამომდინარე ის, რასაც შეიძლება ვუწოდოთ სოციალური მომხიბვლელობა, წარმოადგენს არა უბრალოდ ადამიანურ მახასიათებელს ან მის პროფესიულ ატრიბუტს, არამედ რაღაც უფრო მეტს – კურატორისათვის ეს სამუშაო ინსტრუმენტია.

მსგავსი შრომა მიმართულია ემოციური რეაქციების წარმოებისათვის, პოსტოპერაისტებმა ეს განსაზღვრეს, როგორც „აფექტური წარმოება“. ვირნო „სიმრავლის გრამატიკაში“ ხსნის მის არსს და მაგალითის სახით მოჰყავს ოფიცინანტის თბილი ღიმილი, რომელიც მომსახურების ეკონომიკაში წარმოადგენს მისი პროფესიული საქმიანობის ნაწილს და, სხვა კომპონენტებთან ერთად, ექვემდებარება ანაზღაურებას. რაც შეეხება კურატორულ პრაქტიკას, რასაკვირველია, აქ საუბარი არაა იმაზე, რომ სხვადასხვა საქმის შემსრულებელ სუბიექტებს გამოფენის ავტორმა აუცილებლად მოაწონოს ერთმანეთი. თუმცა, უნდა ითქვას, რომ სწორედ ცდუნების ტექნოლოგია წარმოადგენს მხატვრული კომუნიკაციის ყველაზე გავრცელებულსა და ნორმატიულ ფორმას. კურატორის მომხიბვლელობა შეიძლება, ნეგატიურიც იყოს. მთავარია, თავის პროფესიულ მიზნებს მისდიოს ურთიერთობის განსაკუთრებული

ემოციური რეჟიმით, რომელიც მას ყველაზე ეფექტურად და პროექტის ადეკვატურ პირობად წარმოუდგენია.

კურატორის საქმიანობის მთავარ ინსტრუმენტს წარმოადგენს ენა, მეტყველება, სწორედ მისი დახმარებით, ზეპირად ან წერილობითი ფორმით ხორციელდება კომუნიკაცია. აქ ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ეს ინსტრუმენტი, განსხვავებით მატერიალური წარმოების სხვა კლასიკური ინსტრუმენტებისაგან (ჩარხები, დაზგები, მოწყობილობები და სხვა), არ და ვერ იქნება ვინმეს კუთვნილება. ენა, მეტყველება ეკუთვნის ყველას – თუ ამას კურატორი, ისევე, როგორც არამატერიალური შრომის ნებისმიერი მუშაკი, არ გაიზიარებს, მათთან კომუნიკაცია შეუძლებელი გახდება. მსგავსი საქმიანობა, ან როგორც მას ვირნო უწოდებს – „ლინგვისტური წარმოება“, „საერთო ინტელექტის“ თანაზიარია. შეიძლება ითქვას, რომ ლინგვისტური წარმოება თავისი არსით ქმნის წარმოების ახალ საშუალებებს.

დაბოლოს, პოსტოპერაისტების მიერ აღნიშნული კიდევ ერთი არამატერიალური შრომის თავისებურებაა, რომ ის დაიყვანება ემოციებსა და ენობრივ გამოყენებაზე (ოპერირებაზე), მათ შორის ჟესტების ენითა და მიმიკებით – აქ კი სამუშაო ინსტრუმენტების მატარებელი ხდება თავად ადამიანი. არამატერიალური შრომითი პრაქტიკა ხორციელდება თავად სუბიექტის კომუნიკაციისა და ემოციური რეაქციების უნარით, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მისი ბუნება ჩანერგილია „ადამიანის წარმოშობა-მოდგმის თვისებებში“.

საქართველოში, კერძოდ თბილისში, თანამედროვე ხელოვნებაში დაწყებული მასშტაბურმა პროექტებმა თუ ახალი გალერეებისა და ექსპერიმენტული სივრცეების გახსნამ, კურატორობის საქმიანობის დამკვიდრებას შეუწყო ხელი. 2019 წელს გვანცა ჩანადირის მიერ მომზადებულ სტატიაში „7 კურატორი, რომელიც თანამედროვე ქართულ ხელოვნებას წარმოადგენს“, ნაჩვენებია ისეთი ქართველი კურატორები, როგორებიც არიან ირენა პოპიაშვილი, ნინო სენიაშვილი, ნინა ახვლედიანი, ანა გაბელაია, ელენე აბაშიძე, ელენე კაპანაძე, ლიბა ჟვანია. საინტერესოდ არის წარმოდგენილი ელენე აბაშიძის მიერ გამოთქმული აზრი კურატორულ საქმიანობაზე – „ეს საინტერესო სივრცეა, მაგრამ ამასთან ძალიან რთულიც, რადგანაც ყოველი ნაბიჯი ბევრად მკვეთრად ჩანს, ვიდ-

რე სხვაგან გამოჩნდებოდა... ერთი მხრივ, ეს სივრცე თუ ათავისუფლებს მკვლევარს, ასევე ბოჭავს მას“. ასევე საინტერესოა ლიზა ჟვანიას დამოკიდებულება კურატორობის მიზანთან მიმართებით – „ჩვენი მთავარი მიზანია, შევექმნათ ახალი ტიპის პლატფორმა, რომელიც გვკვრია, რომ სიცოცხლისუნარიანია და აუცილებელია თბილისის არტ-სცენის პოტენციიდან გამომდინარე“.³

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ 2022 წლის 14 იანვარს ხელოვნების მუზეუმში რეორგანიზაციის შედეგად, ნაცვლად მუზეუმის ფონდებში არსებული 9 - საფეხურიანი თანამდებობრივი პირამიდისა, დაამტკიცა მოქნილი და კარიერულ წინსვლაზე ორიენტირებული 4-საფეხურიანი საშტატო განრიგი – ასისტენტი, უფროსი ასისტენტი, კურატორის მოადგილე და კურატორი.

კურატორული საქმიანობის სირთულეზე, კურატორის მაღალ პასუხისმგებლობაზე მიუთითებს ის შემთხვევაც, როცა კურატორ ქეთი შავგულიძის მიერ მოწყობილ გამოფენაზე მხატვარმა სანდრო სულაბერიძემ ჩამოხსნა თავისი ნახატი და კედელზე გააკეთა წარწერა „ხელოვნება ცოცხალი და დამოუკიდებელია“. მისი პროტესტი სხვადასხვა კუთხით შეიძლება იყოს აღქმული, მაგრამ ზოგადად მხატვრები კურატორულ საქმიანობას სხვა კუთხით იაზრებენ.

რასაკვირველია, კურატორს არ შეუძლია არ აღიაროს, რომ ინსტიტუციებთან კონფლიქტის დროს მხატვრის არგუმენტები არაა სრულად დამაჯერებელი, მაგრამ ხშირად კურატორი მხარს უჭერს მხატვარს, რადგანაც ნაწარმოების მიმართ პასუხისმგებლობა არის კურატორობის, როგორც პრაქტიკის იდუმალი დაფარული არსი. თუ მან რაღაცაზე უნდა იბრუნოს, უპირველესად ნაწარმოებსა და მის ავტორზე. უნდა ითქვას, რომ ორი მწარმოებლის – მხატვრისა და კურატორის – შეხვედრა, შეიძლება, წინააღმდეგობრივი ხასიათის იყოს, რადგან მხატვარი ბრალს სდებს კურატორს, რომ მას სურს, იდგეს მხატვარზე მაღლა და თავისი პროექტით ავტორის კრეატიული პოტენციალის შთანთქმას.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ კურატორობის, როგორც გაცნობიერებული პრაქტიკის ფორმირება, იწყება 1969 წლიდან. 1987 წელს გრენობლში, თანამედროვე ხელოვნების ცენტრში, იქ-

³ ჩანადირი, 7 კურატორი, Hammock, 2019.

მნება სკოლა, სადაც იყო კურატორობის, როგორც პროფესიული კვლავწარმოების საგნად ქცევის მცდელობა. ხელოვნების სისტემაში კურატორობის პროფესიული პრაქტიკა და მისი ფუნქციები დროის სვლის პარალელურად გახდა მოთხოვნადი.

ბიბლიოგრაფია:

- ბარათაშვილი ევ., ნასარაია ზ., გალახვარიძე ნ., მამულაშვილი ლ., საქართველოს ეკონომიკა, თბ., 2022.
- ბარათაშვილი ევ., გალახვარიძე ნ., ნასარაია ზ., ეთნომენჯმენტი, თბ., 2023.
- ჩანადირი, გ., 7 კურატორი, რომელიც თანამედროვე ქართულ ხელოვნებას წარმოადგენს, Hammock, მაისი 18, 2019, <https://helloworld.ge/story/635035>
- Мизиано В., Лекция Пять О кураторство, М., 2015

ნიკო კვარაცხელია,
საქართველოს საპატრიარქოს ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი

რეზიუმე

მოხსენება ეხება საქალაქო ტურიზმის გიდების მიერ ქართული მონუმენტური ქანდაკების დემონსტრირებისა და ჩვენების საკითხებს ორი გამორჩეული მოქანდაკის, ელგუჯა ამაშუკელისა და მერაბ ბერძენიშვილის მონუმენტური ქანდაკებების მაგალითზე. იმ შთაბეჭდილებებს შორის, რომლებიც უცხოელ ტურისტებს მიაქვთ საქართველოდან, უთუოდ მნიშვნელოვანია შესანიშნავი ქართველი მოქანდაკეების მიერ შექმნილი ძეგლები: „ვახტანგ გორგასლის“, „ქართლის დედის“, „ნიკო ფიროსმანის“, „ვეფხისა და მოყმის“ ქანდაკებები ელგუჯა ამაშუკელის ავტორობით; მერაბ ბერძენიშვილის ნამუშევრები – „დავით აღმაშენებლის“, „დავით გურამიშვილის“, „იეთიმ გურჯის“, მოცეკვავე ქალღმერთის – „მუზას“ განუმეორებელი პლასტიკა და სინატიფე. ეს ქანდაკებები აცოცხლებენ ქვეყნის ისტორიას, განსაკუთრებულ ხიბლს სძენენ საქართველოს დედაქალაქს. მათი ჩვენება და მიტანა უცხოელ ტურისტამდე მოითხოვს არა მხოლოდ ფაქტების ცოდნას, არამედ მნიშვნელოვან უნარ-ჩვევებს, მეტყველების კულტურას, კომუნიკაციის ხელოვნებას. ჩვენება და თხრობა არის პროფესიონალიზმის ის განმსაზღვრელი უნარი, რომელსაც საქალაქო ტურიზმის გიდები უნდა ფლობდნენ.

ქართული მონუმენტური ქანდაკების ჩვენების საკითხები საქალაქო ტურიზმში

საკვანძო სიტყვები: საქალაქო ექსკურსია, მონუმენტური სკულპტურა, ჩვენება და თხრობა ექსკურსიაში, ელგუჯა ამაშუკელი, მერაბ ბერძენიშვილი

კვლევის საგანი და რელევანტურობა: კვლევა ეხება საქალაქო ტურიზმის გიდების მიერ ქართული მონუმენტური ქანდაკების დემონსტრირებისა და ჩვენების საკითხებს ორი გამორჩეული მოქანდაკის, ელგუჯა ამაშუკელისა და მერაბ ბერძენიშვილის მონუ-

მენტური ქანდაკებების მაგალითზე. იმ შთაბეჭდილებებს შორის, რომლებიც უცხოელ ტურისტებს მიაქვთ საქართველოდან, უთუოდ მნიშვნელოვანია შესანიშნავი ქართველი მოქანდაკეების მიერ შექმნილი ძეგლები: „ვახტანგ გორგასლის“, „ქართლის დედის“, „ნიკო ფიროსმანის“, „ვეფხისა და მოყმის“ ქანდაკებები ელგუჯა ამაშუკელის ავტორობით; მერაბ ბერძენიშვილის ნამუშევრები – „დავით აღმაშენებლის“, „დავით გურამიშვილის“, „იეთიმ გურჯის“, მოცეკვავე ქალღმერთის – „მუზას“ განუმეორებელი პლასტიკა და სინატიფე. ეს ქანდაკებები აცოცხლებენ ქვეყნის ისტორიას, განსაკუთრებულ ხიბლს სძენენ საქართველოს დედაქალაქს. მათი ჩვენება და მითანა უცხოელ ტურისტამდე მოითხოვს არა მხოლოდ ფაქტების ცოდნას, არამედ მნიშვნელოვან უნარ-ჩვევებს, მეტყველების კულტურას, კომუნიკაციის ჩვენება და თხრობა არის პროფესიონალიზმის ის განმსაზღვრელი უნარი, რომელსაც საქალაქო ტურიზმის გიდები უნდა ფლობდნენ. რაოდენ სამწუხაროა, რომ ჯერ კიდევ არ არსებობს თემატური ექსკურსია, რომელიც ტურისტებს ამ ორი შესანიშნავი მოქანდაკის შემოქმედებას გააცნობს.

ლიტერატურის მიმოხილვა: თემის შესახებ არსებული ლიტერატურა დაჯგუფებულია ორი მიმართულებით: 1. ქართული მონუმენტური ქანდაკება, რომელიც კარგადაა შესწავლილი ხელოვნებათმცოდნეებისა და კულტურის ისტორიკოსების მიერ (კინწურაშვილი, ქუთათელაძე, შავგულიძე და სხვები).¹ 2. ექსკურსიების მომზადებისა და ჩატარების თეორია და პრაქტიკა, რომელიც შედარებით ნაკლებადაა შესწავლილი (ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტის 1999 წლის 28 ივლისის ბრძანება „ექსკურსიების პროექტირების, განხორციელებისა და აღრიცხვის წესის შესახებ“; ასევე, ნიკო კვარაცხელიასა და ელისო არჩვაძის წიგნი „გიდის ხელოვნება“, ნიკო კვარაცხელიას „საექსკურსიო საქმე“ და სხვა).²

ანალიზი და დასკვნა: საქალაქო ტურიზმი ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი ფორმაა. დიდი ქალაქები მომხიბვლელები არიან კულტურული ძეგლებით, მუზეუმებით, ბიბლიოთეკებით. ტურისტთა რაოდენობა ამ მიმართულებაზე მუდმივად იზრდება. მუზეუმე-

¹ კინწურაშვილი, ელგუჯა, 1984; ქუთათელაძე, თბილისის, 2017; ამაშუკელი, ელგუჯა, 1987; შავგულიძე, XX საუკუნის, 2018; ჯანბერიძე, მერაბ, 2023.

² კვარაცხელია, არჩვაძე, გიდის, 2012; კვარაცხელია, საექსკურსიო, 2015; თათეშვილი, რა გავლენას, 2016; ბოჭორიშვილი, ექსკურსია, 2013, Armstrong, A New, 1992.

ბის ექსპონატებს გააჩნიათ საინფორმაციო დაფები, უკეთეს შემთხვევაში – აპლიკაციები. ყურსასმენი აპარატის ან ადგილობრივი გიდის მეშვეობით შესაძლებელია ობიექტური ინფორმაციის ტურისტებისათვის მიწოდება, რაც გაცილებით რთულია ქალაქის სივრცეში განთავსებული მონუმენტური ქანდაკებების შემთხვევაში. აქ ერთადერთი გზა ქალაქის გიდია, რომელსაც, სხვა უამრავ საჩვენებელ ობიექტთან ერთად, აქვს ვალდებულება, აჩვენოს ვახტანგ გორგასლის, დავით აღმაშენებლის, გიორგი სააკაძის და სხვა მრავალი საზოგადო მოღვაწის ძეგლი, რომლებმაც განსაკუთრებული როლი შეასრულეს საქართველოს ისტორიაში. სასურველია, ხოლო ზოგჯერ აუცილებელია დეტალური ინფორმაციის მიწოდება: ეპოქის ანალიზი, ქანდაკების ხელოვნებათმცოდნეობითი შეფასება, პიროვნებების დახასიათება, ისტორიაში მათი როლის გამოკვეთა და ა.შ. გიდისთვის მნიშვნელოვანია საექსკურსიო მეთოდის ზედმიწევნით კარგად ცოდნა. საექსკურსიო მეთოდიკა კი ორი ნაწილისგან, ჩვენებისა და თხრობის მეთოდისგან შედგება.

ჩვენების მეთოდიკა: ჩვენება წარმოადგენს ობიექტების ვიზუალური გაცნობის ხერხს – ვიზუალური ინფორმაცია მიეწოდება ტურისტებს სპეციალისტის (გიდის) მეშვეობით. გიდის დახმარებით, ტურისტები სანახავი ადგილების შესახებ იგებენ უფრო მეტს, ხედავენ და ამასთანავე ესმით, ვიდრე ეს დამოუკიდებლად დათვალიერებისას. ექსკურსანტისთვის მთავარი მტკიცებულებაა ვიზუალური სურათები და ეს არის ის, რასაც გიდმა უნდა გაუსვას ხაზი. ექსკურსიის შესაბამისად ჩატარებისთვის აუცილებელია ობიექტების ლოგიკური თანმიმდევრობის დაცვა – ისინი ლოგიკურად უნდა დავაკავშიროთ ერთმანეთთან და ექსკურსიის თემასთან. შესაძლებელია ობიექტების ჩვენება როგორც დედუქციური, ასევე ინდუქციური გზით.

მეორე მნიშვნელოვანი ელემენტია სიუჟეტურობა – სიუჟეტური ჩვენება ექსკურსიას ერთ მთლიან ნაწარმოებად აქცევს და აცოცხლებს მას. სიუჟეტურობა მიიღწევა კონკრეტული ისტორიული პიროვნების, ისტორიული პერიოდის, გიდის მიერ ისტორიული კონტექსტების გამოყენების გზით.

ქანდაკების კავშირი ბუნებრივ სივრცესთან: ზოგადად, ცნობილია ქართველების განსაკუთრებული ინტუიცია სკულპტურისა თუ ნაგებობისთვის ადგილის შესარჩევად, საილუსტრაციოდ მცხეთის ჯვარი შესაბამისი მაგალითია. არაერთი მოსაზრების თანახმად,

ასევე ელგუჯა ამაშუკელის „ქართლის დედა“, თუმცა, ეს შეხედულება საყოველთაოდ გაზიარებული არაა. „ქართლის დედის“ იდეა მაშინვე პოპულარული გახდა და იგი აიტაცეს სხვა ქალაქებმაც. ვოლგოგრადში, კიევში, ტირანასა და ერევანში არსებულ მონუმენტებს აერთიანებს საერთო სტილი, ნაცრისფერი ან რუხი მოპირკეთება და სახის მსგავსი გამომეტყველება. მათ აბსოლუტურ უმრავლესობას ხელში რაიმე სახის იარაღი უჭირავს და გმირი დედის სიმბოლოს გამოხატავს.

გმირის პორტრეტი: ორივე მოქანდაკე ქმნის არჩეული გმირის განუმეორებელ პორტრეტს: ელგუჯა ამაშუკელის გორგასალი ტიპურ ქართველად გვევლინება ქართველთა უმრავლესობისათვის დამახასიათებელი კეხიანი ცხვირით, დიდი ნებისყოფის გამომხატველი ძლიერი ნიკაპით, ფართოდ გახეილი დიდი თვალებით, ხვეული თმით.

რაც შეეხება სამშობლოდან ბედის უკუღმართობით გადახვეწილ დავით გურამიშვილს, რომელიც იყო პროფესიონალი სამხედრო პირი, მეომარი მერაბ ბერძენიშვილმა წარმოაჩინა ლირიკოს პოეტად. აკი, თვითონაც წერდა: „მისი პოეზია ღრმა ფესვებით უკავშირდება ძველ ქართულ ქრისტიანულ პოეზიას, სიწმინდეს, ღმერთის ძიებას, სიკეთისა და სიყვარულის მუდმივ თემას. არც ერთ ქართველ პოეტში არ იგრძნობა ასეთი სიღრმე, რომელსაც ქმნის უსამშობლობა და, ამიტომაც იგი მზიან, ხალისიან ქართულ პოეზიაში ისე განცალკევებით დგას, როგორც სხვა ნიადაგში გადარგული ვაზი. მისი მარტოობა, ოცნება საქართველოზე, იმედები, ტანჯვა პლასტიკის ენით მინდოდა გამომეხატა. თითქოს სული ქცეულა სახილველად, მყარად“.³

მასალა ქანდაკებისთვის: ორივე მოქანდაკე დიდ ყურადღებას აქცევდა მასალის გამოყენებას. მონუმენტური ქანდაკებები, ძირითადად, ჩამოსხმულია ბრინჯაოში. ზოგჯერ ქანდაკებისთვის მასალის შერჩევა იძულების წესით ხდებოდა. მაგალითად, მერაბ ბერძენიშვილს უფლება არ მისცეს, ბრინჯაოში ჩამოესხა დავით გურამიშვილის ქანდაკება და ის თუჯში ჩამოასხეს. დიდი წვალების შემდეგ, როგორც მოქანდაკე იგონებს, „ჩამოსხმული ქანდაკება ჩამოვიტანე თბილისში და იგი სპილენძით დავაფარვინე“. დავით გურამიშვილის ჩვენებისას ეს გარემოება აუცილებლად გასათვა-

³ At, დღეს, მოქანდაკე.

ლისწინებელია, რადგან ტურისტების უმრავლესობამ შესაძლებელია დასვას კითხვა მასალის შესახებ.

ელგუჯა ამაშუკელის ვახტანგ გორგასალი ბრინჯაოშია ჩამოსხმული ლენინგრადის ქარხანაში „მონუმენტ-სკულპტურა“. მის გარშემო ყველაფერი ქვისაა: მეტეხის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია, დაბალი გალავანი, ეზოში დაგებული დიდი ზომის ქვები. შესაბამისად, მოქანდაკეს უნდა ეზრუნა, რომ თავისი შექმნილი ქანდაკება ორგანულად ჩაწერილიყო „ქვის“ არქიტექტურაში. მან შესანიშნავად გაართვა თავი ამ ამოცანას ქანდაკების ხორკლიანი/დრაპირებული ზედაპირით. ქვის ქანდაკებებისთვის დამახასიათებელი ასეთი ზედაპირი ბევრს აფიქრებინებს, რომ ქანდაკება ქვისგანაა გამოკვეთილი, რაც გიდმა ასევე აუცილებლად უნდა აღნიშნოს.

საექსკურსიო თხრობის ტექნიკა: ეს უკანასკნელი მჟღავნდება გიდის ინდივიდუალურ ტექსტში, რომელიც მას ეკუთვნის, მაგრამ, ამასთანავე, უნდა აკმაყოფილებდეს საზოგადოების მიერ ზეპირი მეტყველების მოთხოვნებს. დაუშვებელია ჟარგონების გამოყენება. გიდის თხრობის ნიშნებია: ჩვენების უპირატესობა თხრობასთან შედარებით, რაც გულისხმობს, რომ თხრობა ემორჩილება ჩვენების უპირატესობას და მოწოდებულია მხოლოდ ჩვენების გაუმჯობესებისათვის (საჩვენებელ ობიექტებთან დაკავშირება); ბუნების დადასტურება (დამაჯერებლობა); სუბიექტურობა (ქვეტექსტის არსებობა – მოსაზრებები, თავად გიდის აქცენტი). გიდად ჩამოყალიბებისთვის მნიშვნელოვანია წიგნიერება, სიზუსტე, ლოგიკა და საკითხის წვდომა. გიდის მეტყველება უნდა იყოს როგორც ინფორმაციული (გონების გავლენა), ასევე ემოციური (გავლენა მოახდინოს გრძნობებზე), ჰქონდეს შემეცნებითი ღირებულება და საგანმანათლებლო გავლენა, ეს ყველაფერი უნდა შენარჩუნდეს საუბრის სტილში.

გიდის მიერ ისტორიების თხრობა (Storytelling): მიმართულების ფუძემდებელია დევიდ არმსტრონგი, მან 1992 წელს საკუთარი თეორია „MBSA – მენეჯმენტი ისტორიის გარშემო“ დაუქვემდებარა მენეჯმენტის პროცესის განხორციელების პრინციპებს არასტანდარტულად და შემოქმედებითი მიდგომის გამოყენებით აღწერდა ცხოვრებისეულ სიტუაციებს.⁴

რა სახის ისტორიები არსებობს და სად ვიპოვოთ ისინი?

⁴ Armstrong, Managing, 1992.

სათქმელი ამბავი შეიძლება იყოს ხალხური, საგმირო, სიბრძნის შემცველი ან მხიარული ზღაპარი, ცხოველების ამბავი, სიყვარულის ისტორია, მოჩვენებათა ისტორია, მითი ან ლეგენდა, მოთხრობა წიგნიდან ან ფილმიდან და/ან რეალური ცხოვრებისეული ამბავი ისტორიიდან ან პირადი გამოცდილებიდან.

შეფასება გარედან: ცნობილი პიროვნების მიერ ქართველი ხელოვანის შეფასება ყოველთვის იწვევს ტურისტების ინტერესს. მაგალითისთვის მოგვყავს ცნობილი ფილოსოფოსისა და კულტუროლოგის, მოისეი კაგანის მიერ მერაბ ბერძენიშვილის „ქართველ მიქელანჯელოდ“ აღიარება: „გაჯამებ რა ამ წიგნში გაკეთებულ ანალიზს, მზად ვარ, მერაბ ბერძენიშვილს ვუწოდო „ქართველი მიქელანჯელო“, და მე ამ დასკვნას მკარნახობს მონუმენტური ქანდაკების ბუნების წვდომა და ის როლი, რომელსაც ბერძენიშვილის შემოქმედება თამაშობს ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ისტორიაში“.⁵

ექსკურსიის გამდიდრება უახლესი ინფორმაციით: გიდი მუდმივად უნდა ეცნობოდეს სამეცნიერო ლიტერატურას, ეძებდეს სიახლეებს. მაგალითისთვის მომყავს ახალგაზრდა მეცნიერის, თამთა შავვულიძის საინტერესო მოსაზრება მერაბ ბერძენიშვილთან დაკავშირებით:

ქართული ქრისტიანული ხელოვნების ტრადიციის გაზიარების სურვილმა, რომელიც მოქანდაკის შემოქმედებაში მკაფიო ტენდენციად იკითხება, შედეგად მოგვცა სამგანზომილებიან სივრცეში გადმოტანილი ქრისტიანული ხელოვნების ვიზუალური ენა („დავით გურამიშვილი“ 1966) და, შესაძლოა, მისი შემდგომი განვითარება საერო ქანდაკებაში („შოთა რუსთაველი“, 1966). ამავე ავტორის მიერ 1996 წელს შექმნილ „იოანე პეტრიწის“ ქანდაკებასაც. ნაწარმოები, აშკარად, ავლენს დამოკიდებულებას ქართულ რელიეფთან, კერძოდ მეთერთმეტე საუკუნის, ნიკორწმინდის ტაძრის დასავლეთ პორტალზე გამოკვეთილ იესო ქრისტეს რელიეფთან. ამ კონკრეტული ნაწარმოების შემთხვევაში საქმე ისეთივე რეალურ, მოცულობით სხეულთან გვაქვს, როგორც ნიკორწმინდის ოსტატის შემთხვევაში. ეს უკანასკნელი, ცხადია, მეოცე საუკუნის მოქანდაკის ფონზე ნაკლებად, მაგრამ თავის თანამედროვეთა ფონზე არაჩვეულებრივად გრძნობს

⁵ კაგანი, მერაბ, 2006, გვ. 65.

სხეულის მოცულობას და მას, ამ ამოცანის გადასაჭრელად აღარ ესაჭიროება გარედან ჩაჭრილი, დეკორატიული ხაზების სიმრავლე, იგი სულ რამდენიმე ხაზით მონიშნავს ქიტონის დრაპირებას, რომლის ქვემოდანაც ნელ-ნელა ძალას იკრებს სხეული. ასევეა „იოანე პეტრიწის“ ქანდაკებაშიც, რომელზეც მოქანდაკემ, ქსოვილის დრაპირება, ფიგურის სხეულზე დეკორატიულ ხაზებად დაიტანა.⁶

ამრიგად, მეოცე საუკუნის მონუმენტური სკულპტურა ფესვებით დაკავშირებულია შუასაუკუნეების ქანდაკებასთან/ბარელიეფებთან. ასეთი საერთო ნიშნების პოვნა და ანალიზი, შესაძლებელია, გიდისათვის აუცილებელი არ იყოს, მაგრამ მისთვის ამ მოსაზრების მიწოდება მნიშვნელოვანია ქანდაკების შინაარსის გასაგებად.

⁶ შავგულიძე, XX საუკუნის, 2018, გვ. 16.

ბიბლიოგრაფია:

- ამაშუკელი ე., ხელოვნება, თბ., 1987.
- ბოჭორიშვილი მ., ექსკურსია, როგორც სასწავლო ღონიძიება, ინტერნეტგაზეთი mastsavlebeli.ge, 2013.
<https://mastsavlebeli.ge/?p=2278>
- თათეშვილი მ., რა გავლენას ახდენს სასკოლო ექსკურსიები მოსწავლეებზე, ინტერნეტგაზეთი etaloni.ge, 2016.
<https://www.etaloni.ge/geo/main/index/912>
- კვარაცხელია ნ., არჩვაძე ე., გიდის ხელოვნება, გამომცემლობა „საუნჯე“, თბ., 2012.
- კვარაცხელია ნ., საექსკურსიო საქმე. ელექტრონული სახელმძღვანელო, თბ., 2015.
[/https://www.scribd.com/document/473401902/studentis-saxelmzgvanelo-saeqskursio-saqme-pdf#](https://www.scribd.com/document/473401902/studentis-saxelmzgvanelo-saeqskursio-saqme-pdf#)
- კინწურაშვილი ს., ელგუჯა ამაშუკელი, ხელოვნება, თბ., 1984.
- ქუთათელაძე ბ., თბილისის ქანდაკება: პოეზია ქვაში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2017.
- შავგულიძე თ., XX საუკუნის ქართული ქანდაკება, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2018.
- ჯანბერიძე გ., მერაბ ბერძენიშვილი: ჩანაფიქრიდან ქმნილებამდე, გამომცემლობა „სეზანი“, თბ., 2023.
- Armstrong D. G., Managing by Storying Around: A New Method of Leadership, First Edition, 1992.
- დღეს მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილი 91 წლის გახდებოდა
<https://at.ge/2020/06/10/merab-berdzenishvili/>

ნათია კობალეიშვილი,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

კინოფესტივალების ისტორია საქართველოში ჯერ კიდევ საბჭოთა იდეოლოგიის ხანიდან იწყება. რა თქმა უნდა, მაშინ საქართველოს კინემატოგრაფია, როგორც კავშირის ნაწილი, საბჭოთა კინოსაგან განუყოფელ მოვლენად არ განიხილებოდა. მიუხედავად ამისა, ქართული კინოს ისტორიული მნიშვნელობა მაინც ხდებოდა მსჯელობის საგანი საკავშირო თუ საერთაშორისო ფესტივალებზე.

ისტორიული რეალობა იყო ისიც, რომ ნებისმიერი ფესტივალი, საერთაშორისო ასპარეზი, სადაც ქართული კინო ან რეჟისორი საქართველოდან იქნებოდა წარდგენილი, უპირველეს ყოვლისა, განიხილებოდა, როგორც საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი. ამიტომ, საზღვრებს გარეთ, სამწუხაროდ, ქართული კინოს ისტორიულ გამარჯვებებს საბჭოთა წარმატებად აღიქვამდნენ.

მიუხედავად ამისა, ქართულმა კინომ თავისი არსებობის განმავლობაში მანძილზე მოახერხა და, სწორედ სხვადასხვა დროს გადაღებული ფილმების დღესაც არსებული წარმატების საფუძველზე, საერთაშორისო საფესტივალო ცხოვრებაში დამოუკიდებელი ადგილი დაიმკვიდრა.

საქართველოში არსებული საფესტივალო ცხოვრებაც ძალზე საინტერესოა თავისი ისტორიით, რადგან ჯერ კიდევ 1980-იან წლებში, მაშინ, როდესაც ქვეყანა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იყო, თბილისში ტარდებოდა საინსტიტუტო მასშტაბის და ახალგაზრდული ფილმების ფესტივალები. ქართული ახალგაზრდული კინოც მიემგზავრებოდა უამრავ საერთაშორისო ფესტივალზე და ქვეყანაში 90-იან წლებში დაწყებული სოციო-პოლიტიკური და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაწყებული ომის მიუხედავად, ეს პროცესი განაგრძობდა თითქმის უწყვეტ არსებობას.

კინოინდუსტრიის, კინოწარმოების განვითარებისათვის საფესტივალო დინამიკა აუცილებელი იყო. საქართველოში შექმნილი ახალი ფილმების წარდგენა და მსოფლიო კინოს ნიმუშების

ჩამოტანა, ინტერნეტსივრცის არსებობამდეც და დღევანდელ რეალობაშიც, უშუალოდ პროფესიული პროცესის უწყვეტობას ნიშნავს.

დღევანდელ დღეს საქართველოში არსებული ტრადიციული თუ ახლად ფეხადგმული ფესტივალები განაპირობებს ქართული კინოს განვითარების ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვან გზას სადებიუტო და საავტორო კინოს ხელშეწყობისთვის. რა თქმა უნდა, ნებისმიერი საფესტივალო ცხოვრება რეაგირებს გარდაქმნებსა და ძვრებზე მსოფლიოში.

კინოსაფესტივალო დინამიკა საქართველოში

საკვანძო სიტყვები: კინოფესტივალი, წარმოება, პროცესი, სამენეჯერო სიახლე, გარდაქმნები, სიახლე

ნებისმიერი ფესტივალი, საერთაშორისო ასპარეზი, სადაც ქართული კინო ან რეჟისორი საქართველოდან იქნებოდა წარდგენილი, უპირველეს ყოვლისა, განიხილებოდა, როგორც საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი. ამიტომ, საზღვრებს გარეთ, სამწუხაროდ, ქართული კინოს ისტორიულ გამარჯვებებს საბჭოთა წარმატებად აღიქვამდნენ. მიუხედავად ამისა, ქართულმა კინომ თავისი არსებობის განმავლობაში მოახერხა და საერთაშორისო საფესტივალო ცხოვრებაში დამოუკიდებელი ადგილი დაიმკვიდრა.

ამის მაგალითია რევაზ ჩხეიძის „ჯარისკაცის მამა“ (1964), მერაბ კოკოჩაშვილის „დიდი მწვანე ველი“ (1967), ლანა ლოლობერიძის „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“ (1978), თენგიზ აბულაძის „მონანიება“ (1984), გიორგი ოვაშვილის „გაღმა ნაპირი“ (2009), ლევან კოლუაშვილის „ქუჩის დღეები“ (2010), ზაზა ურუშაძის „მანდარინები“ (2013), ნანა ექვთიმიშვილის „ჩემი ბედნიერი ოჯახი“ (2017), ზაზა ხალვაშის „ნამე“ (2018), რატი ონელის, დეა კულუმბეგაშვილის, მინდია ესაძის, ანა ურუშაძის და სხვა რეჟისორთა ფილმები. სხვადასხვა დროს გადაღებული ეს და მრავალი სხვა ქართული ფილმი მდიდარი საფესტივალო ბიოგრაფიით და პრიზებით გამოირჩევა.

საქართველოში საფესტივალო ცხოვრებაც ძალზე საინტერესოა თავისი ისტორიით: ჯერ კიდევ 1980-იან წლებში თბილისში

ტარდებოდა საინსტიტუტო მასშტაბის და ახალგაზრდული ფილმების ფესტივალები. ქართული ახალგაზრდული კინოც მიემგზავრებოდა უამრავ საერთაშორისო ფესტივალზე – 90-იან წლებში დაწყებული სოციოპოლიტიკური და ტერიტორიული მთლიანობისათვის მიმდინარე ომის მიუხედავად, ეს პროცესი თითქმის უწყვეტად არსებობდა.

ჯერ კიდევ სოციალურ და იდეოლოგიურ გარდამტეხამდელ პერიოდში, 1888 და 1990 წლებში, საქართველოში, შავი ზღვის სანაოსნოს სამგზავრო თბომავალ „გრუზიაზე“¹, კომპანია „ქართული ტელეფილმის“ ინიციატივითა და ორგანიზებით, ორჯერ ჩატარდა საერთაშორისო ფესტივალი „ოქროს საწმისი“, რომელზეც დაახლოებით 40 ქვეყნის წარმომადგენლები მთელი მსოფლიოდან განიხილავდნენ და აფასებდნენ ფილმებს. იმართებოდა მასშტაბური ხასიათის რეტროსპექტიული ჩვენებები, რომელზეც მერაბ კოკოჩაშვილის, სოსო ჩხაიძის, გურამ პატარაიას, სხვა უამრავი ავტორის ნამუშევრებიც იყო წარმოდგენილი, როგორც ქართული კინოს შესაძლებლობების ნათელი მაგალითები. ამ ფესტივალმა ცხადყო, თუ რამდენად მრავალფეროვანი შეიძლებოდა ყოფილიყო საქართველოს საფესტივალო ცხოვრების საზღვრები და ის მხოლოდ ორჯერ ჩატარდა, საქართველოში ტერიტორიული მთლიანობისთვის დაწყებული სამოქალაქო კონფლიქტების გამო.

1992 წელს თბილისში გაიმართა კიდევ ერთი კინოფესტივალი სახელწოდებით „ოქროს არწივი“. სულ ცოტა ხანში მისი მასშტაბი გაიზარდა და ამ პროექტმა შავიზღვისპირა ქვეყნების კინოფესტივალის სახელი დაიმკვიდრა. ის მონაცვლეობით იმართებოდა საქართველოს ორ უმნიშვნელოვანეს ქალაქში – ბათუმსა და თბილისში. „ოქროს არწივს“ ყველა ტრადიციული ნომინაცია გააჩნდა და უკვე საკუთარი ინტერესების, მხატვრული გადაწყვეტისა და ფორმის შესახებ აზრთა სხვადასხვაობასაც იწვევდა მაყურებელში. პროექტი გამოირჩეოდა თავისი ექსპერიმენტული ხასიათითაც, სხვადასხვა ფორმის და შინაარსის ნამუშევრებით.

სწორედ ამ ფესტივალმა გაუხსნა დიდი შესაძლებლობები სტუდენტურ და სადებიუტო ფილმებს. სამენეჯერო სიახლემ, „ოქროს არწივის“ დირექტორატის ყოველწლიურმა ან პერიოდულმა

¹ რუსულიდან თარგმანში „საქართველო“. თბომავალი საბჭოთა კავშირის შავი ზღვის სანაოსნოს კუთვნილებას წარმოადგენდა და, შესაბამისად, მისი სახელწოდებაც რუსულიდან მომდინარეობდა.

ცვლილებებმა მისი ჩატარების ფორმებიც გაამრავალფეროვნა. XX საუკუნის 90-იან წლებში „ოქროს არწივმა“ მომავლის იმედი მისცა კინემატოგრაფისტებს და 2000 წელს თბილისის საერთაშორისო ფესტივალის დაარსება განაპირობა, ვინაიდან შეიქმნა დადებითი საზოგადოებრივი აზრი და ხელოვანთა განწყობა ფესტივალები-სადმი. 2000 წლიდან ორი შემდგომი წლის განმავლობაში ეს ფესტივალის საერთაშორისო ფესტივალ „საჩუქრის“ (GIFT) ფარგლებში ჩატარდა. ფართომასშტაბიანი სპონსორობის სისტემა საშუალებას აძლევდა ორგანიზატორებს, კინოფესტივალის ნაწილიც სრულფასოვნად განეხორციელებინათ. ამგვარი კოალიცია სახელოვნებო დარგების ერთიანობას უწყობდა ხელს საქართველოში, თუმცა, ორი წლის შემდეგ ფესტივალ „საჩუქარს“ პრობლემები შეექმნა. მას ცალკე დახმარებისა და დაფინანსების სხვა წყაროების მოძიებით უნდა გაეგრძელებინა თავისი არსებობა.

თანამოაზრეებმა (გიორგი ჩხეიძე, ლაშა ბაქრაძე, ბესო დანელია, გიორგი კოტეტიშვილი, გიორგი ლომიძე და სხვა) თავდაპირველად დააარსეს კინოხელოვნების ცენტრი „პრომეთე“ და ამ მოვლენამ თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის შენარჩუნება უზრუნველყო. 2002 წელს, უკვე ცენტრის ორგანიზებით, ფესტივალის სრულიად დამოუკიდებლად, შეზღუდული დაფინანსებით ჩატარდა, ტრადიციის სახე შეიძინა და მის დაფინანსებაში მონაწილეობა უკვე ბევრმა ახალმა და არსებულმა სტრუქტურამაც შეძლო.

2004 წელს უკვე გარკვეული იმიჯის მქონე ფესტივალის კერძო სპონსორთა დახმარებით და ახალშექმნილი საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დაფინანსებით გაიმართა. ყოფილი საბჭოთა ქვეყნების კინოპროცესისაგან დამოუკიდებელი და თამამი სარეპერტუარო შინაარსით გამორჩეული ეს სივრცე ირგვლივ კინემატოგრაფისტთა ახალგაზრდა თაობას იკრებდა. მომდევნო წლებში ფესტივალის ორგანიზებაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროც ჩაერთო.

უახლეს პერიოდში 2019 წლის ფესტივალის გამარჯვებულებს შორის სრულიად განსხვავებული თემატიკის, ხელწერის მქონე, სხვადასხვა თაობის რეჟისორთა ნამუშევრები გამოჩნდა: დიტო ცინცაძე, მარი გულბიანი, გიორგი სიხარულიძე და სხვა. არსებობს საპატიო „პრომეთეს“ ნომინაცია, რომელიც იმავე წელს ირაკლი კვირიკაძესა და კარლოს რეიგადასს გადაეცათ. მეტი სხვადასხვა-

ობა და მრავალფეროვნება თითქმის პირველი მოთხოვნა ხდებოდა ყველა ფესტივალისთვის.

კინოწარმოების განვითარებისათვის საფესტივალო დინამიკა აუცილებელი იყო. საქართველოში შექმნილი ახალი ფილმების წარდგენა და მსოფლიო კინოს ნიმუშების ჩამოტანა, ინტერნეტ-სივრცის არსებობამდეც და დღევანდელ რეალობაშიც, პროფესიული პროცესის უწყვეტობას ნიშნავს. ნომინაციებში მონაწილეობენ ბოლო ორი წლის განმავლობაში შექმნილი ფილმები სხვადასხვა კონტინენტიდან და ქვეყნიდან. სწორედ ეს ფესტივალი 2005 წლიდან, საქართველოში გოეთეს ინსტიტუტთან ერთად, ყოველ წელს მაყურებელს და დარგის სპეციალისტებს წარუდგენს უახლეს პერიოდში გადაღებული გერმანული ფილმების პროგრამას, სახელწოდებით „დამზადებულია გერმანიაში“.

ბუნებრივია, ამ ინიციატივამ განსაკუთრებული ინტერესი წარმოშვა ქართულ და გერმანულ კინემატოგრაფიულ წრეებში, რამაც შესაძლებელი გახადა ახალ პროექტებზე მუშაობის დაწყება. გარდა ამისა, სწორედ ამ ფესტივალის სხვა სექციები მასპინძლობს მოწვეულ რეჟისორებს (მათ შორის, სხვადასხვა წლებში, დაწყებული 2011-იდან იყვნენ – ლეო კარაქსი, ბობ რაფელსონი, მაიკლი, ჯო რაიტი, პატრიკ კაზალსი, ჰარუტინ ხაჩატრიანი, ჰიუ ჰადსონი). მთელი მისი არსებობის განმავლობაში ფესტივალი ზრდიდა და ზრდის სექციებს თავისი შინაარსითა და დანიშნულებით: „სპეციალური ჩვენება, მოქმედ პროფესიონალებთან შეხვედრები, მაგალითად, როგორც ფესტივალის მასალებიდან ვკითხულობთ: „სპეციალურ ჩვენებაში“ წარმოდგენილი პროგრამით სხვადასხვა დროს აღინიშნა ნატა ვაჩნაძისა და მიხეილ კალატოზიშვილის 100 წლის იუბილე, სერგო ფარაჯანოვის 80 წლის იუბილე, მიხეილ კობახიძის და ირაკლი კვირიკაძის 70 წლის იუბილე...“²

ფაქტია, რომ საფესტივალო პოლიტიკამ და მისი მენეჯმენტის მიზნებმა ფუნდამენტური ტრადიციის შექმნა განაპირობეს. რაოდენობრივი თუ ხარისხობრივი მაჩვენებლით ქართულმა კინომ აშკარად მოახერხა და მიმზიდველი, განახლებადი გარემოს დაარსებას შეუწყო ხელი. იმავე გვერდზე, რომელზეც თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის ისტორიას ვეცნობით, ვკითხულობთ:

გასული 12 წლის მანძილზე ფესტივალმა 500-ზე მეტ რეჟისორს, მსახიობს, კინომცოდნესა თუ პროდიუსერს უმასპინძლა.

² გელაშვილი, კინოფესტივალის.

ამ წლების განმავლობაში ფესტივალის სტუმრები იყვნენ კინოს სფეროს ისეთი ცნობილი წარმომადგენლები, როგორებიც არიან ბობ რაფელსონი, ვანესა რედგრეივი, ლეოს კარაქსი, გრეტა სკაკი, მაიკლი, ქშიშტოფ ზანუსი, მიკა კაურისმიაკი, ფრანკო ნერო, ბრუნო დიუმონი, ჰიუ ჰადსონი, ჯაფარ პანაჰი, მარიამ დაბო, აბო ფრენკო როლამი, სერგეი სოლოვიოვი, იესიმუს ტაოლლუ, ჰელმაზანდერს-ბრამსი, ჯორაითი, ჯიმს ტარკი და სხვები. აგრეთვე, უცხოეთში მოღვაწე ქართველი კინემატოგრაფისტები: ოთარ იოსელიანი, მიხეილ კობახიძე, ირაკლი კვირიკაძე, ნანა ჯორჯაძე, ნინო კირთაძე, მიხეილ კალატოზიშვილი, დიტო ცინცაძე, მერაბ ნინიძე და სხვები. ფესტივალის ორგანიზატორებს მუდმივად უწევენ კონსულტაციას ბერლინალეს „ახალი კინოფორუმის“ დამაარსებლები ერიკა და ულრიხ გრეგორები, აგრეთვე სხვა საერთაშორისო კინოფესტივალების დირექტორები, ცნობილი მსახიობები, პროდიუსერები და ამ სფეროს აღიარებული პროფესიონალები. კინოფესტივალის თანამშრომლობს საქართველოში აკრედიტებულ საელჩოებთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, გოეთეს ინსტიტუტთან და ფრანგულ ინსტიტუტთან, აგრეთვე ისეთ საერთაშორისო გამოცემებთან, როგორცაა *Hollywood Reporter* და *Screen Daily*.³

საფესტივალო პროცესის უნებლიე, 2020 წლიდან ონლაინ ფორმატზე გადასვლა რომ არა, სავარაუდოდ, ეს მასშტაბი კიდევ გაიზარდებოდა. არსებობს სხვა საფესტივალო სემინტიც საქართველოში, რომელზეც საგანმანათლებლო კომპონენტის უპირატესობაა წარმონიშნული – ახალგაზრდული კინოფესტივალის „თაობა“, რომელიც 2018 წელს დაარსდა მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის და კულტურისა და განათლების ფონდის მიერ. ის ევროპის საბავშვო ფილმების ასოციაციის (European Children's Film Association) ერთადერთი წევრია საქართველოდან და ასევე ევროპული კინოაკადემიის „ახალგაზრდა აუდიტორიის ჯილდოს“ პარტნიორი. ამ ფესტივალის არსებობა ახალგაზრდა თაობის მაცურებლის ინტერესებისკენაა მიმართული და ყველა მისი აქტივობა, ძირითადად, მსჯელობასა და კინოს განვითარების ანალიზზეა ორიენტირებული. კინოფესტივალის პარტნიორებს შორისაა თითქმის ყველა მნიშვნელოვანი კულტურისა და განათლების ორგანიზაცია.

³ თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის ისტორია.

„ჯიფონის“ საერთაშორისო ფესტივალი, რომელიც 40 წელია იმართება იტალიის ქალაქ ჯიფონი ვალე პიანაში, 2015 წელს საქართველოში პირველად გაიმართა და მასში დაახლოებით 500 ბავშვი მონაწილეობდა. ამ ფესტივალს უამრავი თავისებურება ახასიათებს და მთავარი ისაა, რომ კინოსადმი დაუძლეველ ინტერესს და სიყვარულს ზრდის ჟიურის მოზარდ წევრებში, მონაწილეებსა და უბრალოდ მაყურებელში.

განსაკუთრებით ელის მაყურებელი საქართველოში სამხრეთ კავკასიაში პირველ საერთაშორისო დოკუმენტურ კინოფესტივალს „CineDOC-TBILISI“, რომელიც დოკუმენტური კინოსადმი გაზრდილ ინტერესზე მეტყველებს. ფესტივალი შვიდჯერ ჩატარდა 2013-2019 წლებში, ხოლო მისი მერვე გამოშვება უკვე პანდემიის პირობებში, 2020 წლის აგვისო-სექტემბერში გამოცხადდა. სწორედ ამ ფესტივალის მხარდამჭერია ევროკავშირის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პროექტი „კრეატიული ევროპა“ (Creative Europe). ამ ფესტივალმა შეიძინა სოციალური და თანამედროვე პრობლემებზე ორიენტირებული, მწვავე ჟღერადობა. მაყურებელი, გარდა იმისა, რომ ეცნობოდა ფილმებს, პირისპირ ხვდებოდა მის შემქმნელებს, გმირებს, მონაწილეებს და იმ სოციალურ პრობლემებზე ესაუბრებოდა, რაც თავად ნახა ეკრანზე.

2019 წლიდან „CineDOC-TBILISI“-მა ახალი ინიციატივა შესთავაზა მაყურებელს და რეგიონალურ დონეზე შექმნა საკონკურსო სივრცე, რომელიც სექცია „Focus Caucasus“-ში აისახა. ეს პროცესიც რეგიონულ პლატფორმას უერთდება და, ფაქტობრივად, სრულიად უნიკალურ, ერთიან კავკასიურ სახლს ქმნის კინოდოკუმენტალისტიკის მიმართულებით.

ამ პროცესის კიდევ ერთი ნათელი გამოხატულებაა ბათუმის საერთაშორისო კინოფესტივალი BIAFF, რომლის მისიის ჩამონათვალშიც ერთ-ერთი პირველი ჩანაწერი ასე იკითხება: „კულტურული ინტეგრაცია და თანამშრომლობა“.

საქართველოში უკვე რამდენიმე წელია, ტარდება ანიმაციური ფილმების ფესტივალის სახელწოდებით „თოფუზი“. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ღონისძიება თავდაპირველად ანიმაციის განვითარების ფონდის არაკომერციული ორგანიზაციით დაიწყო 2007 წელს. ფონდს ძალზე კონკრეტული მიზანი ჰქონდა – ანიმაციური ფილმების წარმოების ხელშეწყობა და მსოფლიო პროცესში მისი ჩართულობის უზრუნველყოფა. ყოველწლიურმა ფესტივალ-

მა დაახლოებით ოცი რეგიონი მოიარა საქართველოში. ჩატარდა ანიმაციის ვორქშოპები და გაიხსნა სასწავლო სტუდიები, რომელთა რაოდენობა სხვადასხვა რეგიონულ ცენტრში დღეს უკვე ექვსია, თუ არ მოვიზრებთ ცენტრალურ სტუდიას. ამ ფესტივალმა ახალი შესაძლებლობები მისცა ანიმატორებს, მულტიპლიკატორ-რეჟისორებსა და მხატვრებს, მოეძებნათ მხატვრული და ტექნოლოგიური საშუალებები მედიასისტემებისა და ტრადიციული ანიმაციის გამოყენებით, შეექმნათ ექსპერიმენტული ფილმები. აშკარად გაიზარდა ამ პროექტის დაუფლების მსურველთა რიცხვიც, რაც თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში, სამხატვრო აკადემიასა და სტუდიებში ამ სპეციალობაზე მოსწავლე ახალგაზრდების რაოდენობით ფასდება.

ფესტივალების ისტორიას საქართველოში განსაკუთრებული დამსახურებით აგრძელებს ტრადიციული ფესტივალი „ამირანი“, რომელიც ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში დაარსდა. თითქმის ყველა ცნობილი რეჟისორი, რომელიც საქართველოში იმ პერიოდიდან დღემდე მუშაობდა და მუშაობს, ამ ღონისძიების პრიზიორი თუ არა, მასში მონაწილე მანც იყო რამდენჯერმე. საერთო კრიზისის ფონზე ფესტივალი დროებით დაიხურა და უკვე 2007 წელს აღდგა განახლებული სახით. „ამირანის“ განახლება ქართული საფესტივალო ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე მგრძნობიარე საკითხად იქცა, ვინაიდან ყოველწლიურად ხდებოდა სტუდენტური ნამუშევრების საკუთარ ქვეყანაში წარდგენა და სხვა ქვეყნებიდან მოწვეული სტუმრების ნამუშევართა შეფასება.

ჟიურისა და ორგანიზატორებს შორის სხვადასხვა ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლები არიან. ისინი ყოველწლიურად იცვლებიან, რაც ფესტივალის გადახალისების, მისი ხედვების გამდიდრების, სტუდენტური იდეის წახალისების საშუალებას იძლევა.

კინონდუსტრიის, კინოწარმოების განვითარებისათვის საფესტივალო დინამიკა აუცილებელი იყო. საქართველოში შექმნილი ახალი ფილმების წარდგენა და მსოფლიო კინოს ნიმუშების ჩამოტანა, ინტერნეტსივრცის არსებობამდეც და დღევანდელ რეალობაშიც, უშუალოდ პროფესიული პროცესის უწყვეტობას ნიშნავს.

საბოლოოდ, დღევანდელ დღეს საქართველოში არსებული ტრადიციული თუ ახლად ფეხადგმული ფესტივალები განაპირო-

ბებს ქართული კინოს განვითარების ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვან გზას სადებიუტო და საავტორო კინოს ხელშეწყობისთვის. რა თქმა უნდა, ნებისმიერი საფესტივალო ცხოვრება რეაგირებს გარდაქმნებსა და ძვრებზე მსოფლიოში. 2020 წლის პანდემიამ ეს პროცესი ვირტუალურ სივრცეში გადაიტანა, თუმცა, თავად პროცესმა გაუძლო გარდატეხებსა და სირთულეებს, რაც, ვფიქრობ, სამომავლოდ ახლებურად წარმოაჩინს ქართული კინოს სახეს.

ბიბლიოგრაფია:

- თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის ისტორია, https://www.tbilisifilmfestival.ge/ka/about-us/?fbclid=IwZXh0bgNhZW0CMTAAR3INMxnRqXQRvHQ8vuYytt2PJlqYLZP98TO_xNawDbJ5l6fMwJw4Y0jsw_aem_AXqz5xY-AcJShB1tUDRr5XYuC6gcF7uwwqvS09Lq8WjnG9Jxpb8za7c0U-FalX75nUxdRYHt9LlTW4j1eBwK05gf6Y
- გელაშვილი, ლ., კინოფესტივალის 20 წელი, <https://1tv.ge/elit/kinofestivalis-oci-weli/>
- ბათუმის საერთაშორისო კინოფესტივალის მისია, <http://www.biaff.org/ge/mision>
- ბათუმის საერთაშორისო კინოფესტივალის ისტორია, <http://www.biaff.org/ge/history>

გიორგი ფხაკაძე,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორი,
ხელოვნების მენეჯმენტი

რეზიუმე

ქალაქის ან რეგიონის სტრატეგიული გეგმის შემუშავება მოითხოვს დეტალური კვლევის ჩატარებას. კვლევის ნაბიჯები, რომლებიც მოცემულია მიმდინარე სტატიაში, შეიძლება, მოიცავდეს შემდგომი გამოკვლევის საჭიროებას და მონაცემთა შეგროვებას რამდენიმე სფეროში:

- კულტურული წარმოებისა და მოხმარების ახალი ტიპები: კვლევას შეუძლია, ფოკუსირება მოახდინოს კულტურული წარმოებისა და მოხმარების ახალ ტენდენციებსა და პრაქტიკაზე, როგორცაა ციფრული მოხმარება და მისი გავლენა კულტურულ გამოცდილებაზე;
- მოქალაქეთა ხელმისაწვდომობა და მონაწილეობა კულტურაში: ეს სფერო მოიცავს ყველა მოქალაქისთვის კულტურული რესურსებისა და აქტივობების ხელმისაწვდომობის შესწავლას, აგრეთვე, კულტურულ ღონისძიებებსა და ინიციატივებში მათი მონაწილეობის დონის შესწავლას;
- ხელოვნებისა და შემოქმედებითი პროფესიონალების როლი: ეს ასპექტი იკვლევს შემოქმედებითი პროფესიონალების სოციალურ და ეკონომიკურ წვლილს ქალაქის /რეგიონის კულტურის სტრუქტურის ჩამოყალიბებაში, ასევე მათ გავლენას ადგილობრივ ეკონომიკაზე.

ასეთი კვლევის გრძელვადიანი მიზანი უნდა იყოს, ხელი შეუწყოს ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ კულტურული დაგეგმვის შემუშავება-მოდერნიზებას, ამ პროცესებში კულტურის რესურსების ინტეგრირებით. გააძლიეროს მოქალაქეთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებაში, შექმნას ურბანული ცნობიერება და ხელი შეუწყოს ქალაქის მაცხოვრებლებთან აქტიური კომუნიკაციას. კვლევა, ასევე, ცდილობს, შექმნას პროდუქტიული თანამშრომლობა და გააუმჯობესოს კულტურის პოლიტიკის ლოკალიზაცია ეროვნული და საერთაშორისო ქსელების მეშვეობით.

კულტურის როლი საჯარო დაგეგმვაში გადაწყვეტია, რადგან

ის ხელს უწყობს საზოგადოების სხვადასხვა ასპექტს, მათ შორის, ქალაქის/რეგიონის განვითარებაში მონაწილეობას, ტოლერანტობას, თავისუფლებას, სამართლიანობას, მშვიდობას, შემოქმედებითობას, ჯანმრთელობასა და გარემოს პატივისცემას. კულტურის სფეროს დაგეგმვა ემსახურება ამ ღირებულებების ჩართვის საშუალებას საჯარო პოლიტიკასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში.

წარმატებული კულტურული დაგეგმვა მოითხოვს სტრატეგიულ, ინტეგრირებულ და მონაწილეობით მიდგომებს. წარმატების ძირითადი კომპონენტებია გრძელვადიანი მიზნების დასახვა, ინტეგრალური პერსპექტივის მიღება და დაინტერესებული მხარეების ჩართვა როგორც შიდა, ისე გარე წყაროებიდან. დაინტერესებული მხარეები შეიძლება მოიცავდნენ ადგილობრივი ხელისუფლების შიდა სამსახურებს, კულტურულ ინსტიტუციებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, კერძო სექტორის წარმომადგენლებს, განათლებისა და კვლევით ცენტრებსა და დამოუკიდებელ აქტორებს.

ცოდნის გაზიარებისა და თანამშრომლობისთვის, ასევე, მნიშვნელოვანია საერთაშორისო ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანიზაციებთან ურთიერთობა. ორგანიზაციები, როგორებიცაა გაერთიანებული ქალაქები და ადგილობრივი თვითმმართველობები, ევროპის საბჭოს ინტერკულტურული ქალაქები, მსოფლიო ქალაქების კულტურის ფორუმი, იუნესკოს შემოქმედებითი ქალაქების ქსელი და კულტურა ქალაქებისა და რეგიონებისთვის. რომელთა დახმარებით შესაძლებელია კულტურის სფეროს დაგეგმვის ღირებული შეხედულებებითა და რესურსებით უზრუნველყოფა.

ამრიგად, შემდეგი კვლევის ნაბიჯები მოიცავს ახალი კულტურული წარმოებისა და მოხმარების ტიპების შემდგომ შესწავლას, გრძელვადიანი მიზანია ქალაქში თუ რეგიონში კულტურული დაგეგმვის ხელშეწყობა, მდგრადი განვითარების წახალისება უფრო მეტად ინტეგრირებისთვის. ამ მიზნების მისაღწევად აუცილებელია საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა.

კულტურის სფეროს სტრატეგიული დაგეგმარების მნიშვნელობა ქალაქის, რეგიონის განვითარებაში

საკვანძო სიტყვები: სტრატეგიული დაგეგმვა, კრეატიული ეკონომიკა, კრეატიული ინდუსტრიები, რეგიონის განვითარება, კულტურის რესურსები, ადგილობრივი კულტურის პოლიტიკა

რატომ არის კულტურა მნიშვნელოვანი? იუნესკოს თანახმად, კულტურა გამორჩეული მატერიალური, ინტელექტუალური და ემოციური ელემენტების კომპლექსია, რომელიც ახასიათებს საზოგადოებას ან სოციალურ ჯგუფს. ეს ყველაფერი კი მოიცავს არა მხოლოდ ხელოვნებას და შემოქმედებას, არამედ ცხოვრების წესებს, ადამიანის უფლებებს, ღირებულებათა სისტემებს, ტრადიციებსა და რწმენას.¹

თანამედროვე გლობალიზაციის სამყაროში კულტურა განიხილება, როგორც მდგრადი განვითარების მეოთხე მექანიზმი, ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით სფეროებთან ერთად. კულტურა, რომელიც მოქმედებს როგორც შუამავალი ქალაქებში ერთად ცხოვრების დინამიკის გასაუმჯობესებლად, პოზიციონირებს განვითარების სტრატეგიების ცენტრში – ხელს უწყობს და ამაღლებს სოციალურ და ეკონომიკურ ღირებულებათა კეთილდღეობას.

რა როლს თამაშობს ადგილობრივი ხელისუფლება კულტურული პოლიტიკის შემუშავებაში? ქალაქებში, სადაც მრავალი კულტურაა გადაჯაჭვული, ადგილობრივი ხელისუფლება გამოირჩევა როგორც აქტორი, რომელიც მონაწილეობს მოქალაქეების, არასამთავრობო ორგანიზაციების, ცენტრალურ ხელისუფლებასა და საერთაშორისო ქსელებს შორის დიალოგის დამყარებაში. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებსაც აქვთ მოქალაქეებთან პირდაპირი კონტაქტის უნარი და ფლობენ თავიანთი მმართველობის რეგიონის სოციალურ-კულტურულ მახასიათებლებს, მოელან, რომ გაატარონ ყოვლისმომცველი პოლიტიკა, რომელიც მიიღებს მდგრადი განვითარების, ხალხზე ორიენტირებულ და თანასწორუფლებიან დაგეგმარებას.²

¹ Culture is Important, UNESCO conference, Florence, 1999.

² Richards, G. Duif, L. Small Cities with Big dreams, 2019.

კულტურის დაგეგმვა გულისხმობს კულტურის ჩართვას საჯარო დაგეგმარების პროცესებში, სტრატეგიულად და ინტეგრირებულად. დაგეგმვის პროცესი იწყება თანამშრომლობითი კულტურული რესურსების განსაზღვრით, რომელიც ეკუთვნის იმ რეგიონს, სადაც განხორციელდება დაგეგმვა.

მდგრადი განვითარების დამყარების მიზნით, უბნები და ქალაქები უნდა დაიგეგმოს მათ კულტურულ რესურსებთან ჰარმონიაში და უნდა შეიქმნას ქალაქები, რომლებშიც სხვადასხვა კულტურა შეიძლება თანაარსებობდეს.

მთელ მსოფლიოში სხვადასხვა ადგილობრივმა ხელისუფლებამ მდგრადი ქალაქების შესაქმნელად მიზნად დაისახა გამკვლევის წარმოდგენა, რომელიც საშუალებას მისცემს, კარგად გაიაზრონ კულტურაზე ორიენტირებული დაგეგმვა. ეს მიდგომა ეხმარება ადგილობრივ ხელისუფლებას სტრატეგიული დაგეგმვისა და განხორციელების პროცესებში, რომელიც, შემუშავებული უნდა იყოს აქტიური კომუნიკაციით და თანამშრომლობით ქალაქის აქტორებთან.

კულტურა და ქალაქი ორი განუყოფელი ცნებაა. კულტურა, რომელიც იღებს სათავეს საზოგადოებისგან და მასვე უბრუნდება კულტურული სერვისების მეშვეობით, საჭიროებს ფინანსურ მხარდაჭერას და დაგეგმვის პროცესებში ჩართვას, მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად ყველა მოქალაქისთვის. ამ სერვისების მასებისთვის ხელმისაწვდომობის შესაძლებლობით, საჯარო სექტორს აქვს მთავარი ფუნქცია – კულტურული არეალის, კულტურაში ინოვაციური მცდელობებისა და ადგილობრივი წარმოების მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად. მდგრად განვითარებას მიაღწევნ მხოლოდ ის ქალაქები, რომლებსაც ინტეგრირებული კულტურა აქვთ დაგეგმვისა და მომსახურების პროცესებში.

კულტურის როლი საჯარო დაგეგმვაში ასევე შეიძლება აღწერილი იყოს, როგორც პოლიტიკის შემუშავება, დაგეგმვა, განხორციელება და განხილვა, რადგან ის მოიცავს საერთო ღირებულებებს, გამოხატვის გზებს და ასრულებს მნიშვნელოვან როლს მდგრადობისა და კეთილდღეობის ხელშეწყობაში. საშუალებას იძლევა, შესწავლილი იყოს წარსული, განხორციელდეს მოქმედება დღეს და საუბარი წარიმართოს მომავალზე. იგი აერთიანებს უამრავ კონცეფციას, რომლებსაც ითვალისწინებს საჯარო დაგეგმვა, – კეთილდღეობა, ჰარმონია, შესაძლებლობების განვითარება,

მონაწილეობა, საკუთრება და ღიაობა.³

წარმოგიდგინებ ხელმისაწვდომ, მოქნილ და სტანდარტიზებულ ჩარჩოს, რომელიც შეიცავს ყველა სოციალურ ურთიერთობას და ამ ურთიერთობის ჩამოყალიბებულ სტილს.

კულტურული პერსპექტივა უზრუნველყოფს აუცილებელ თანამონაწილეობრივ განზომილებას საჯარო პოლიტიკისთვის, რომელიც აქცენტს აკეთებს საზოგადოების მონაწილეობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. შესაბამისად, კულტურამ რომ საჯარო დაგეგმვას ხელი შეუწყოს, შემდეგი ღირებულებების არსებობაა მნიშვნელოვანი: მონაწილეობა, ჩართულობა, დემოკრატია, ტოლერანტობა, თანაგრძნობა, ინკლუზია, თავისუფლება, სამართლიანობა, თანასწორობა, მშვიდობა, უსაფრთხოება, კრეატიულობა, წარმოსახვა, ინოვაცია, ჯანმრთელობა, კეთილდღეობა და სიცოცხლისუნარიანობა, გარემოს გაფრთხილება – ზრუნვა და პატივისცემა.

კულტურული დაგეგმვის პრაქტიკა მუდმივად განვითარებადი პროცესია, რომელიც ახალ იდეებს მოაქვს. დარგის ლექსიკა ყოველდღიურად მდიდრდება. აქ მოწოდებული განმარტებები მიზნად ისახავს კვლევის განმავლობაში გამოყენებული ტერმინოლოგიის გაგების უზრუნველყოფას.⁴

კულტურული სიცოცხლისუნარიანობა, რომელიც საფუძვლად უდევს მდგრადი და ჯანსაღი საზოგადოების შექმნას, გულისხმობს შესაძლებლობების არსებობას, აღიარებასა და მხარდაჭერას, რაც უზრუნველყოფს საზოგადოების კეთილდღეობას და ზრდის ცხოვრების ხარისხს.

კულტურული ჩარჩო ეხება ხედვას, პოლიტიკას, სტრატეგიებსა და ინდიკატორებს, რომლებიც საჯარო დაგეგმვაში კულტურული განზომილებების ჩართვის საფუძველს იძლევა.

კულტურული მრავალფეროვნება ათასობით წლის ისტორიის პროდუქტია, რომელიც გაჩნდა ყველა ერის ენებით, იდეებით, შემოქმედებითა და საქმიანობით. კულტურული მრავალფეროვნება მრავალგანზომილებიანი კონცეფციაა და ის საშუალებას აძლევს სხვადასხვა კულტურის, რწმენისა და ენის მქონე ინდივიდებს, იცხოვრონ საზოგადოებაში, ასევე უზრუნველყონ თავიანთი იდენტობებისა და განსხვავებების მუდმივი ხელახალი განსაზღვრა.

³ EU4Culture Community, 2024.

⁴ IKS, cultural planning for local authorities, 2016.

როგორც ასეთი, კულტურული მრავალფეროვნება არის მშვიდობიანი საზოგადოებისა და მოქალაქეობის ცნების გაგება, რომელიც თავის ფორმას იღებს ამ საზოგადოებაში.

კულტურული მაჩვენებელი 2005 წლის ხელოვნების პოლიტიკის სტატისტიკური ინდიკატორების ანგარიშია, რომელიც შეადგინა კულტურის საბჭოებისა და კულტურის სააგენტოების საერთაშორისო ფედერაციამ (IFACCA), განსაზღვრავს კულტურულ ინდიკატორს, როგორც „სტატისტიკას, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას გარკვეული ასპექტის გასაგებად, მონიტორინგისთვის ან შესაფასებლად. კულტურა, როგორცაა ხელოვნება, ან კულტურული პოლიტიკა, ან პროგრამები და აქტივობები“.⁵

ინტერკულტურული ქალაქები პროექტია, რომელსაც ახორციელებს ევროპის საბჭო. პროექტი მხარს უჭერს ინტეგრირებული რეგულაციების აუცილებლობას, რათა ხელი შეუწყოს სხვადასხვა კულტურის ერთად ცხოვრებას და მიზნად ისახავს, შექმნას ქალაქები, რომლებიც ხელს უწყობენ ინტერკულტურულ დიალოგს და თანაარსებობას.

კრეატიული ეკონომიკა კრეატიული აქტივებია, რომლებიც პოტენციურად გამოიმუშავენ ეკონომიკურ ზრდას და განვითარებას. **კრეატიული ინდუსტრიები**, ეკონომიკური აქტივობები ხელოვნების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების კვეთას მოიაზრებს, დიდწილად დამოკიდებულია შემოქმედებითობაზე და ექვემდებარება ინტელექტუალურ საკუთრებას.

კრეატიული ქალაქი ურბანული კომპლექსია, სადაც სხვადასხვა სახის კულტურული აქტივობა ქალაქის ეკონომიკური და სოციალური ფუნქციონირების განუყოფელი კომპონენტია.

ადგილობრივი კულტურის პოლიტიკა მიუთითებს ადგილობრივი ხელისუფლების კულტურული და ხელოვნების საქმიანობის პოლიტიკას. გარდა კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობასა და კულტურაში მონაწილეობის გაზრდისა, ეს პოლიტიკა, ასევე, მიზნად ისახავს რეგიონის ან ქალაქის ყველა მაცხოვრებლის გამოხატვის შემოქმედებითი და კულტურული საშუალებების საჯარო პოლიტიკით უზრუნველყოფას. კიდევ ერთ-ერთი მიზანია ქალაქის მდგრადი სოციალური, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი განვითარების მიღწევა.

⁵ Statistical Indicators for Arts Policy, IFACCA.2005.

კულტურული დაგეგმვის სხვადასხვა ტიპი

გლობალური ქალაქები სულ უფრო ხშირად იყენებენ კულტურული დაგეგმვის მეთოდს იმის გაცნობიერების შემდეგ, რომ ის მნიშვნელოვან როლს თამაშობს მდგრადი ქალაქების შექმნაში. კულტურული დაგეგმვა გულისხმობს ქალაქის კულტურული რესურსების სტრატეგიულ და ინტეგრირებულ გამოყენებას მისი განვითარების პროცესში. თუმცა, ურბანული დაგეგმარების ტრადიციული პროცესებისგან განსხვავებით, კულტურის დაგეგმარება ფართო მასშტაბის პროექტების შემუშავების საშუალებას იძლევა ერთ უბანზე ფოკუსირებით, რომელსაც აქვს კონკრეტული პრიორიტეტ(ებ)ი.

კულტურისა და ხელოვნების ღონისძიებების დაგეგმვა ხშირად ერთმანეთში ირევა. ხელოვნების ღონისძიებების დაგეგმვა გულისხმობს თეატრების, გალერეების, საკონცერტო დარბაზებისა და ხელოვნების ცენტრების პროგრამების შექმნას, იმის განსაზღვრას, თუ რომელი დამოუკიდებელი ხელოვან(ებ)ი, კულტურისა და ხელოვნების ინსტიტუტ(ებ)ი და საგანმანათლებლო პროექტ(ებ)ი უნდა იყოს მხარდაჭერილი, რომ წლიური გეგმების მომზადებისას ამ ღონისძიებებში ჩართულნი იყვნენ ქალაქის მცხოვრებლები.⁶

ხოლო კულტურის დაგეგმვა იყენებს კულტურაზე ორიენტირებულ და ინტეგრირებულ მიდგომას, რომელიც ითვალისწინებს ისეთ კომპონენტებს, როგორებიცაა ურბანული დიზაინი, საზოგადოებრივი ხელოვნება (Public art), ტრანსპორტი და უსაფრთხოება. სტრატეგიული დაგეგმვის ფარგლები და მახასიათებლები განსხვავდება კონკრეტული ქალაქის ან უბნის ზომის მიხედვით.

წარმატებული კულტურული დაგეგმვის ძირითადი კომპონენტები

კულტურული დაგეგმვა დინამიკური პროცესია. დაგეგმვის ზოგიერთი განსხვავებული ტიპი მოიცავს უფრო ფართო კულტურული გეგმის ზოგიერთ ქვეკომპონენტს. ადგილობრივი ხელისუფლების ადმინისტრაციული ობიექტების გათვალისწინებით, კულტურული დაგეგმვის ქვეკომპონენტზე ფოკუსირებით დაწყებული, კულტურული რესურსებისა და ფინანსური უზრუნველყოფით გამყარებული, ეს უფრო ფართო კულტურული დაგეგმვის მიზნისკენ გადასასვლელი შესაძლებლობაა. თუმცა, უნდა გვახსოვდეს, რომ

⁶ IKS, cultural planning for local authorities, 2016.

ყოველსიმომცველი კულტურის დაგეგმვა მოითხოვს პროცესის განხორციელებას სტრატეგიული, ინტეგრირებული და მონაწილეობითი მიდგომის გამოყენებით.

სტრატეგიული დაგეგმვის ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია გრძელვადიანი მიზნების დასახვა, რომელიც სცილდება ყოველდღიურ მიზნებს. კულტურული დაგეგმვა უფრო ფართო სტრატეგიების ნაწილია, როგორცაა ურბანული დაგეგმარება და სოციალური განვითარება. ის მოითხოვს ხედვას, რომელიც სცილდება ხელოვნების ღონისძიებების ორგანიზებას, რაც ერთი შეხედვით შეიძლება, შეცდომით განიშარტოს (ტექნიკურ სამუშაოებთან და ინფრასტრუქტურულ სერვისებთან ურთიერთობა; ეკონომიკური განვითარების მიზნები; სოციალური სამართალი; დასასვენებელი აქტივობების დაგეგმვა; საბინაო განაშენიანების პროექტები და საჯარო სერვისების დაგეგმვა და სხვა). ამის გათვალისწინებით, ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა შექმნას საკომუნიკაციო და თანამშრომლობის პლატფორმები სხვა ფინანსურ თუ პოლიტიკურ აქტორებთან თავიანთ რეგიონში ან ქალაქში, რომლებიც პასუხისმგებელნი იქნებიან დაგეგმვაზე საკუთარი მიზნებისა და პრიორიტეტების განსაზღვრისას.⁷

კულტურული დაგეგმარება უნდა აკვირდებოდეს არა მხოლოდ კულტურულ ინფრასტრუქტურას და სტრუქტურირებულ გარემო მახასიათებლებს და ინდიკატორებს, როგორცაა მატერიალური კულტურული მემკვიდრეობა, არამედ ყველა სხვა მახასიათებელს, მათ შორის ქალაქში არსებული ცხოვრების წესს, ყოველდღიურ ცხოვრებასა და ჩვევებს და არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობას. ამიტომ, კულტურის დაგეგმვის პროფესიონალები თავიდანვე უნდა გახდნენ საბინაო, სავაჭრო ცენტრებისა და ურბანული ტრანსფორმაციის პროექტების ნაწილი, რათა უზრუნველყონ ამ პროექტების შემუშავება კულტურულ დაგეგმარებასთან ჰარმონიაში. კულტურული დაგეგმარება არის პროცესი, რომელიც უნდა იყოს ყველა ურბანული დაგეგმარების პროცესის განუყოფელი ნაწილი და მათ ნაწილად არ იქცეს მხოლოდ შემდგომ ეტაპზე.

კულტურული დაგეგმვისას მონაწილეობითი პრინციპების მიღება უზრუნველყოფს ქალაქის მაცხოვრებლების კულტურული საჭიროებებისა და ღირებულებების ასახვას დაგეგმვის პროცესში.

⁷ IKS, cultural planning for local authorities, 2016.

ეფექტური მეთოდების გამოყენება მონაწილეობითი პროცესების განსახორციელებლად არის გეგმის მიზნების მიღწევის წინაპირობა.⁸

სტრატეგიული, ინტეგრირებული და მონაწილეობითი გეგმის ქონა ხელს შეუწყობს ამ გეგმის ძლიერ საფუძველზე აგებას.

კულტურის მნიშვნელოვანი კომპონენტია პარტნიორული ურთიერთობების დამყარება. თანამშრომლობა, რომელიც მოითხოვს ბევრი ადამიანის ჩართულობას, არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გზა ეფექტური დაგეგმვის უზრუნველსაყოფად.

საერთო მიზნის გაზიარება არის გზა, რომელსაც მივყავართ ეფექტურ თანამშრომლობამდე. შეუძლებელია ერთი უნივერსალური სქემის შექმნა, ვინაიდან თითოეულ მუნიციპალიტეტს აქვს მმართველი რგოლის განსხვავებული მოცულობა, სახელწოდება და ფუნქცია-მოვალეობები. თუმცა, პროცესში მნიშვნელოვანია სხვადასხვა დაწესებულებას შორის კომუნიკაცია, როგორცაა კულტურის სამსახურები და მათთან დაკავშირებულ ერთეულები (მაგ. ბიბლიოთეკები, განათლების, სოციალური შეღავათების სამსახურები და ა.შ.), ასევე ურბანული დაგეგმარების ერთეულები (მაგ. დაგეგმარებისა და პროექტების მენეჯმენტი, კვლევები და პროექტები, ტექნიკური სამუშაოები, პარკები და ბალები და ა.შ.). გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალიტეტმა, როგორც სტრატეგიის შემუშავების გუნდმა, იკისროს აქტიური როლი კოორდინაციის პროცესში.⁹

ადგილობრივი ხელისუფლების საერთაშორისო ორგანიზაციები

ურბანული აქტორების გარდა, ასევე, არსებობს მრავალი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლებიც თანამშრომლობენ და ახორციელებენ მამოტვირთებელ საქმიანობას საერთაშორისო პლატფორმაზე კულტურის რესურსების მდგრადი განვითარების მიზნის მისაღწევად. ასეთი ორგანიზაციების კვლევები და პუბლიკაციები წარმატებული საერთაშორისო მაგალითების შესახებ კარგი სახელმძღვანელოა დაგეგმვისათვის.

ერთ-ერთი მაგალითია იუნესკოს შემოქმედებითი ქალაქების ქსელი, რომელიც შეიქმნა 2004 წელს, რათა ხელი შეუწყოს კრეატიულ საერთაშორისო თანამშრომლობას ქალაქებთან, როგორც

⁸ IKS, cultural planning for local authorities, 2016.

⁹ იქვე, IKS, cultural planning for local authorities, 2016.

სტრატეგიული ფაქტორმა მდგრადი ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და გარემოსდაცვითი ურბანული განვითარებისათვის იუნესკოს კულტურული მრავალფეროვნების იდეალების მხარდაჭერით. ამჟამად ამ ქსელს მსოფლიოს 116 ქალაქი ქმნის. 2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგი, რომელიც საერთაშორისო საზოგადოებამ 2015 წლის სექტემბერში მიიღო, ხაზს უსვამს კულტურასა და კრეატიულობას, როგორც ურბანული განვითარების ძირითად კომპონენტებს.¹⁰

ეს ქსელი არის მნიშვნელოვანი პლატფორმა, რომელიც ხელს უწყობს, განავითარონ თანამშრომლობა კრეატიულობისა და კულტურის ინდუსტრიების გასაუმჯობესებლად საუკეთესო წარმატებული საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარებით, წაახალისონ მონაწილეობა კულტურულ ცხოვრებაში და კულტურის რესურსების ინტეგრირება ქალაქებისა თუ რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების სტრატეგიებში.

ეს საერთაშორისო ქსელები და ორგანიზაციები ხელს უწყობენ ადგილობრივი კულტურული პოლიტიკის განვითარებას. ამგვარი ურთიერთობებისა და თანამშრომლობის გაძლიერებით, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, მეცნიერები და კულტურის პროფესიონალები უფრო ინტერესდებიან, რომ ჩაერთონ სტრატეგიის შემუშავებაში და მონაწილეობა მიიღონ მიმდინარე დისკუსიებში.

ერთ-ერთი საინტერესო მაგალითია 2021 წელს, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი „EU4CULTURE“, რომელსაც ახორციელებს გოეთეს ინსტიტუტი, დანიის კულტურის ინსტიტუტი, ჩეხეთის ცენტრებისა და საქართველოს ფრანგული ინსტიტუტი. პროექტი მხარს უჭერს კულტურისა და შემოქმედებითი სფეროს გაძლიერებას აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვს ქვეყანაში: საქართველო, აზერბაიჯანი, ბელარუსი, სომხეთი, მოლდოვა და უკრაინა.

„EU4CULTURE“-ს ბიუჯეტი შეადგენს 7,85 მილიონ ევროს, რომელიც ხმარდება ქალაქების კულტურის განვითარების სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებას, არტისტებისა და კულტურის პროფესიონალების მობილობის პროგრამების დაფინანსებას, ასევე ფესტივალების, კულტურული და ინოვაციური პროექტების მხარდაჭერას. გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობა მიიღო

¹⁰ IKS, cultural planning for local authorities, 2016.

ხუთი ქვეყნის 14-მა ქალაქმა, რომელთაგანაც მხოლოდ 5 ქალაქი გამოიკვეთა მომდევნო ეტაპზე გადასასვლელად, პროექტი დასრულდება 2024 წლის 31 დეკემბერს.¹¹

ამგვარად, მინდა გამოვთქვა იმედი, რომ საქართველოს ქალაქებში თავს მოიყრის საჯარო მოხელეების მმართველი რგოლი, რომელიც, კულტურის რესურსების სწორი და ეფექტური ინტეგრირებით, შეძლებს რეგიონის, ქალაქების ფინანსური, პოლიტიკური აქტორებისა და მოსახლეობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლების გაერთიანებას ერთი საერთო მიზნის ირგვლივ – განავითარონ თავიანთი ქალაქები თუ რეგიონები იმისათვის, რომ მიმზიდველი გახდეს იქ ცხოვრება.

ბიბლიოგრაფია:

- IKSU, Cultural Planning for Local Authorities, 2016, <https://www.iksv.org/en/reports/cultural-planning-for-local-authorities>
- EU4Culture Community, 2024, <https://eu4culture.al/>
- Statistical Indicators for Arts Policy, IFACCA, 2005,
- https://ifacca.org/media/filer_public/b7/f0/b7f02ee2-a76d-426c-9eb0-49b993c4348f/statistical_indicators_for_arts_policy.pdf
- Culture is Important, UNESCO conference, Florence, 1999.
- Richards, G., Duif, L., Small Cities with Big Dreams, Netherlands, 2019.

¹¹ EU4Culture Community, 2024.

დოდო ჭუმბურიძე,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ხელოვნების მენეჯმენტის დოქტორი

რეზიუმე

წინამდებარე ნარკვევში განხილულია კულტურის სფეროში სამეწარმეო იდეების შექმნისა და განვითარების შესაძლებლობების მართვა, ასევე კულტურის სფეროს სპეციფიკურობასთან დაკავშირებული საკითხები.

ახლად შექმნილი ბიზნესის (სტარტაპი) განსაზღვრება მოიცავს ზრდის მაღალ პოტენციალს როგორც გეოგრაფიული, ისე ფინანსური თვალსაზრისითა და ინოვაციურობის გათვალისწინებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დამწყები მეწარმეების, „სტარტაპერების“, ერთ-ერთი მოტივაცია ეფუძნება ინოვაციური იდეის პროდუქტად გარდაქმნის მცდელობას და შესაძლებლობების სწორად გათვლას.

კულტურის სფეროს პროდუქტი ყოველთვის ვერ იქნება ორიენტირებული ბაზრის ხმაზე, თუმცა, იმავდროულად, კულტურის სფეროს ორგანიზაცია თავიდანვე შეიძლება შეიქმნას კომერციული ინტერესებით.

თემაში განხილულია პოტენციური იდეების წყაროების შესწავლის მნიშვნელობა, კერძოდ, იდეების გენერაციის მეთოდი, როგორც ხელშემწყობი ინსტრუმენტი დიდი რაოდენობის იდეების განხილვისას საუკეთესოს აღმოსაჩენად. გამომდინარე იქიდან, რომ იდეის მიზნად გარდაქმნაში დახარჯული ძალისხმევა შესაბამისობაში უნდა იყოს მიზნობრივი ჯგუფების მოლოდინებთან. იდეების სწორად შერჩევა და მართვა არის დამწყები მეწარმის მნიშვნელოვანი საბრუნავი. საგულისხმოა, განისაზღვროს კონკრეტული პროდუქტი, იგივე ღირებული შეთავაზება, რა პრობლემას უგვარებს მომხმარებელს.

კულტურის სფეროს მასშტაბურობისა და სპეციფიკურობის აღნიშვნასთან ერთად, თემაში, ასევე, წარმოდგენილია პრეაქსელერაციის და აქსელერაციის პროგრამების როლი ინოვაციური ეკოსისტემის განვითარებაში. კერძოდ, განხილულია კულტურის

სფეროში სამეწარმეო იდეის ჩამოყალიბებას რამდენად მიესადაგება ბიზნეს ტილოს კონცეფცია, როგორც ბიზნეს გეგმის ალტერნატიული ვერსია. გარდა ამისა, თემაში განსაზღვრულია სამეწარმეო საქმიანობაში დიზაინერული აზროვნების მნიშვნელობა და ბიზნეს ტილოს შემადგენელი კომპონენტები.

კულტურის სფეროში შემოქმედებითი და სამეწარმეო იდეების მართვა

საკვანძო სიტყვები: კულტურის სფეროს პროდუქტი, ულტურის სფეროს მენეჯერი, ბიზნეს ტილო, დამწყები მეწარმე, სტარტაპერი

კულტურის სფეროში შემოქმედებითი და სამეწარმეო იდეების მართვა გლობალურ და ლოკალურ დონეზე ეფუძნება დამწყები მეწარმეების (სტარტაპერების) მიერ აღიარებულ გამოწვევებს, რომლებიც მიზნობრივი ჯგუფის საჭიროებებს ეხმიანება. მენეჯერმა კულტურის სფეროს პროდუქტის სპეციფიკურობის გათვალისწინებით უნდა უზრუნველყოს ღირებული შეთავაზების მომზადება და წინასწარგანსაზღვრული ხედვის ფარგლებში ბაზარზე სასურველი პოზიციების დაკავება და შენარჩუნება.

ნებისმიერ, მათ შორის, კულტურის სფეროში, სამეწარმეო იდეის განხორციელების სურვილი ეყრდნობა მენეჯერის კომპეტენციებს (ცოდნა, უნარები, გამოცდილება). საგულისხმოა კომერციული ორგანიზაციების მართვასთან დაკავშირებით კანადელი მეცნიერის, ჰენრი მინცბერგის ხედვა, მან შემოგვთავაზა ათი სპეციფიკური როლი, ესენია: მეწარმე, პრობლემების მომგვარებელი, რესურსების გამანაწილებელი, მომლაპარაკებელი, ნომინალური უფროსი, ლიდერი, დამაკავშირებელი, დამკვირვებელი (მონიტორინგის განმახორციელებელი), ცოდნის გამავრცელებელი და ორატორი. აღნიშნული როლების ფლობა-გამოყენება კავშირშია კულტურის სფეროში სამეწარმეო იდეების შექმნასთან, განვითარების შესაძლებლობების გათვალისწინებასა და გრძელვადიანი ეფექტური შედეგის მიღწევა-შენარჩუნებასთან. სამეწარმეო იდეის ავტორი აღნიშნული როლების მიხედვით უნდა უზრუნველყოფდეს მისი და გუნდის წევრების განვითარების მხარდაჭერას.

სტარტაპი, როგორც პრობლემების გადაწყვეტაზე ორიენტირე-

ბული ახალი წამოწყება, ბიზნეს საქმიანობა, ხასიათდება სწრაფი ზრდის ტემპით, ინოვაციური მიდგომებით და მასშტაბზე გასვლის შესაძლებლობით. საგულისხმოა, რომ სწორედ ზრდის მაღალ პოტენციალს გეოგრაფიული და ფინანსური თვალსაზრისით განსაზღვრავს სამეწარმეო იდეის ინოვაციურობა.

სამეწარმეო იდეის ავტორმა უნდა განსაზღვროს იდეის მიზნად გარდაქმნის შესაძლებლობები, სტარტაპის, როგორც ორგანიზაციის მისია, მიზნები და ამოცანები. ასევე უნდა დადგინდეს სამეწარმეო გარემოს ანალიზის პრინციპი, კერძოდ, სიტუაციური ანალიზის მეთოდები, რომლებიც, შესაძლებლობებთან ერთად, გამოიკვლევენ ორგანიზაციის რისკ-ფაქტორებს, აღნიშნული კი იძლევა კონკურენტების, პარტნიორებისა და მიზნობრივი ჯგუფების განსაზღვრისთვის საჭირო ინფორმაციას.

დამწყებ მეწარმეს იდეის რეალიზებისთვის სჭირდება გუნდი, ინოვაციური პროდუქტი, სწრაფი ზრდის პოტენციალი და ზრდაზე ორიენტირებული ბიზნესმოდელი.

ინოვაციურობა გულისხმობს პროდუქტის ან პროცესის გაუმჯობესებას ახლებური მიდგომების გამოყენებით და მომხმარებლის მოთხოვნების გათვალისწინებით.

საგულისხმოა, კულტურის სფეროში შემოქმედებითობის და ბიზნეს ინტერესების ურთიერთკავშირი. „კულტურის ეკონომიკური პრიორიტეტების აღიარებისას აუცილებელია ფასეულობათა სისტემის შენარჩუნება, რათა კულტურის სფეროს მწარმოებელი ობიექტები არ გადაიზარდონ კომერციულ დაწესებულებებში და კულტურის სფეროს პროდუქტებმა არ დაკარგონ კულტურის პროდუქტებისთვის დამახასიათებელი ფასეულობითი სისტემა. ეკონომიკასთან კავშირი არათუ აკნინებს კულტურის სფეროს, არამედ პირიქით, მას უფრო ინტერაქციულს, ცოცხალს ხდის და გამოყენების შესაძლებლობას მატებს“.¹

კულტურის სფეროს პროდუქტი ყოველთვის ვერ იქნება ორიენტირებული ბაზრის ხმაზე, თუმცა, იმავდროულად, კულტურის სფეროს ორგანიზაცია თავიდანვე შეიძლება, შეიქმნას კომერციული ინტერესებით.

„კულტურის სფეროს საწარმოო ბაზარზე პროდუქტი არის სარგებლისა და ფასეულობათა ნაკრები, რომელსაც მომხმარებელი სხვადასხვანაირად აღიქვამს. პროდუქტი შეიძლება, დავახასი-

¹ სანადირაძე, კოპალეიშვილი, კულტურის, 2019, გვ. 40.

ათოთ მისი ტექნიკური ან სიმბოლური მახასიათებლების მიხედვით. რასაც მომხმარებელი ყიდულობს, არის სარგებლის ნაკრები, რეალური იქნება ეს თუ წარმოსახვითი. მომხმარებელი თანხმდება, რომ გადაიხადოს ფული და მიიღოს გარკვეული პროდუქტი მისი სურვილების ან მისი საჭიროებების გათვალისწინებით.

კულტურის სფეროს ინდუსტრიებზე საუბრისას კი გასათვალისწინებელია სფეროსა და პროდუქტის სპეციფიკური თავისებურებები, მათ შორის, მომხმარებლისა და პროდუქტების სივრცობრივი და ეკონომიკური მახასიათებლები, რადგანაც მომხმარებელთა სეგმენტაცია სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით წარმოებს და სეგმენტაციას კონკრეტული სფერო ან პროდუქტი განაპირობებს².

კულტურის სფეროში დამწყები მეწარმეების, იმავე „სტარტაპერების“ ერთ-ერთი მოტივაცია თვითდასაქმება და ხელოვანების მხარდაჭერაა, აღნიშნული ეფუძნება ინოვაციური იდეის პროდუქტად გარდაქმნის მცდელობას და არსებული შესაძლებლობების სწორად გამოყენებას.

„ხელოვანმა იცის, რომ მისი პროდუქტი მაძიებელი გონების შედეგია, მუდმივად ის არასდროს იქნება ერთი და იგივე, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შემოქმედებითი სამყარო ინოვაციურია“. გამომდინარე იქიდან, რომ იდეის მიზნად გარდაქმნაში დახარჯული ძალისხმევა, შესაბამისობაში უნდა იყოს მიზნობრივი ჯგუფების მოლოდინებთან თანხვედრაში, ამავე დროს იდეების სწორად შერჩევა და მართვა არის დამწყები მეწარმის მნიშვნელოვანი საზრუნავი. საგულისხმოა, განისაზღვროს კონკრეტული პროდუქტი, იგივე ღირებული შეთავაზება, რომელიც პრობლემას გადაუჭრის მომხმარებელს. პოტენციური იდეების წყაროების შესწავლის მნიშვნელობა, კერძოდ, იდეების გენერირების მეთოდი, როგორც ხელშემწყობი ინსტრუმენტი, დიდი რაოდენობის იდეების განხილვისა და მათ შორის საუკეთესოს აღმოჩენის შესაძლებლობას იძლევა.

აღნიშნული საგულისხმოა იმდენად, რამდენადაც კულტურის სფეროში კომერციულმა ორგანიზაციებმა სამეწარმეო იდეების ჩამოყალიბება, განვითარება და გადარჩენა უნდა წაახალისონ ღირებული შეთავაზების საფუძველზე.

„ხელოვნების მენეჯერებს, რომელსაც პირველ რიგში აინტერესებს დიდი მოგება, ვურჩევთ თავისი ბედი კულტურის სფეროს

² იქვე, სანადირაძე, კოპალეიშვილი, კულტურის, 2019, გვ. 35-36.

მიღმა ეძებონ. გერმანიის ერთ-ერთი თეატრის რეჟისორმა ფული-სა და სიამოვნების კომბინაცია შემდეგნაირად წარმოგვიდგინა: ჩვენ ამას ვაკეთებთ სიამოვნებისთვის და არა ფულისთვის, მაგრამ იმისთვის, რომ მივიღოთ სიამოვნება, გვჭირდება ფული“.³

კულტურის სფეროს კომერციული ორგანიზაციის მართვისას მენეჯერი კარგად უნდა იცოს გარკვეული მარკეტინგის საკითხებში, მან უნდა უზრუნველყოს საკომუნიკაციო სტრატეგიის აგება მომხმარებლის ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინებით, რათა კონკრეტული შეთავაზების მიღმა, მომხმარებელი გრძნობდეს თავის წილ სარგებელს. გადაწყვეტილების მიღების პროცესი მოიცავს რისკების გათვლას და გადაზღვევას.

თანამედროვე სამყაროში აქტიურია დამწყები მეწარმეების (სტარტაპერების) მხარდაჭერის პროგრამები, რომლებიც განათლების მიღების და გამოცდილებაზე დაყრდნობით დაგროვილი ცოდნის გაზიარების შესაძლებლობაა კონკრეტული სამეწარმეო იდეის გაუმჯობესებისთვის.

კულტურის სფეროს მასშტაბურობისა და სპეციფიკურობის აღნიშვნასთან ერთად, საგულისხმოა პრეაქსელერაციისა და აქსელერაციის პროგრამების როლი ინოვაციური ეკოსისტემის განვითარებაში, რომელიც კულტურის სფეროს სამეწარმეო პოტენციალის გაუმჯობესებას ითვალისწინებს.

